

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი და პეტრე ჟღენტის სახელობის საქართველოს  
აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო  
კვლევითი ინსტიტუტი

ნანა ფირცხელავა

სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფოებრივი  
რეგულირება ბარდამავალ პერიოდში  
(სამმართველოს რეგიონის მაგალითზე)

ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო  
ხარისხის მოსაპოვებლად

წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

08.00.13 – სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკონომიკურ მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი  
ეთერ ხარაიშვილი

<b>შესავალი</b>	<b>3</b>
<b>თავი 1. აბრარულ სფეროში საბაზრო ურთიერთობათა ფორმირების სამეცნიერო და მმართველობის ახალი ფორმების შეფასება</b>	<b>7</b>
1.1. აგრარული რეფორმის აუცილებლობა და სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა	7
1.2. მეწარმეობის ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები და მათი შედარებითი უპირატესობა	21
1.3. აგრარულ სფეროში საბაზრო ურთიერთობათა ფორმირება-ფუნქციონირების სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობა	45
<b>თავი 2. აგრობიზნესი—ფორმირება და მართვა. მარკეტინგის როლი აგრობიზნესში</b>	<b>56</b>
2.1. სახელმწიფოს როლი აგრობიზნესის ფორმირებასა და ფუნქციონირებაში	56
2.2. თანამედროვე მარკეტინგისა და მენეჯმენტის ძირითადი პრინციპების გამოყენება აგრობიზნესში	72
<b>თავი 3. აბრარული სფეროს სახელმწიფოებრივი რეგულირების ძირითადი ბერკეტები</b>	<b>93</b>
3.1. გადასახადები და საგადასახადო პოლიტიკა	93
3.2. ფასწარმოქმნა. სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის პროდუქციაზე საფასო პარიტეტის მართვა	105
3.3. სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და მომსახურების სისტემის სახელმწიფოებრივი რეგულირების მნიშვნელობა	116
<b>დასკვნები და წინადადებები</b>	<b>128</b>
<b>გამოყენებული ლიტერატურა</b>	<b>134</b>

## შესავალი

პრობლემის აქტუალობა. საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული დარგების კომპლექსურ და მდგრად განვითარებას. აღნიშნული პრობლემის გადაჭრაში დიდი როლის შესრულება შეუძლია ეკონომიკის სახელმწიფოებრივ რეგულირებას, ვინაიდან მასზეა დამოკიდებული აგრარული სექტორის სტაბილიზაცია და განვითარება; მოსახლეობის სასურსათო პროდუქციით უზრუნველყოფის გაუმჯობესება; ეკონომიკური პარიტეტის მხარდაჭერა; აგრარულ სექტორში და მრეწველობაში მომუშავეთა შემოსავლების დონის დაახლოება; სამამულო საქონელწარმოების დაცვა ადგილობრივ ბაზარზე და ა.შ.

ქვეყნის აგრარული სექტორის ორგანული და მეტად სპეციფიკური ნაწილია სამეგრელოს რეგიონის აგრარული სექტორი, რომლის განვითარებაც ბევრ სიძნელესა და წინააღმდეგობას აწყდება გარდამავალ პერიოდში. რეფორმის განვლილი პერიოდის ანალიზი აჩვენებს, რომ აშკარა გახდა ის, რომ სახელმწიფოს მიზანმიმართული ეკონომიკური პოლიტიკის გარეშე რეგიონის აგრარული სფეროს აღორძინება—განვითარება შეუძლებელია. შესაბამისად, განსაკუთრებით აქტუალურია აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებული საკითხების მეცნიერული კვლევა, რათა შემუშავდეს თეორიული თუ პრაქტიკული ასპექტით ღირებული რეკომენდაციები სადღეისო და პერსპექტიული ამოცანების გადასაჭრელად.

კვლევის მიზანი და ამოცანები. გამოკვლევის მიზანია საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდისათვის აგრარულ სექტორში მიმდინარე რთული პროცესების რეგიონულ დონეზე შესწავლა, მეცნიერული შეფასება და მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე დასახულ იქნა შემდეგი ამოცანები:

- რეფორმების აუცილებლობისა და სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის შესწავლა;
- მეწარმეობის ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ანალიზი და მათი შედარებითი უპირატესობის გამოვლენა;
- აგრარულ სფეროში საბაზრო ურთიერთობათა ფორმირება-ფუნქციონირების სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობის დასაბუთება;

- სახელმწიფოს როლის განსაზღვრა აგრობიზნესის ფორმირებასა და ფუნქციონირებაში;
- თანამედროვე მენეჯმენტისა და მარკეტინგის ძირითადი პრინციპების გამოყენების მიზანშეწონილობის დასაბუთება აგრობიზნესში;
- გადასახადებისა და საგადასახადო პოლიტიკის საკითხების შესწავლა აგრარულ სფეროში;
- ფასწარმოქმნის, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის პროდუქციაზე საფასო პარიტეტის მართვას შესწავლა;
- სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და მომსახურების სისტემის სახელმწიფოებრივი რეგულირების მნიშვნელობის დასაბუთება.

**კვლევის ობიექტი.** კვლევის ობიექტია სამეგრელოს რეგიონში შემავალი 7 რაიონის სასოფლო-სამეურნეო საწარმოები.

კვლევის საგანია საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში სამეგრელოს რეგიონის აგრარული სექტორის სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობის შესწავლა.

**კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები.** კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველია თანამედროვე ეკონომიკური თეორიის ძირითადი დებულებები, სამთავრობო პროგრამული დოკუმენტები და კონცეფციები, საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები. გამოყენებულია საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლისა და ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების საკითხებზე არსებული თანამედროვე ეკონომიკური ლიტერატურა, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალები, სამეგრელოს რეგიონის საწარმოებისა და აგროსამრეწველო გაერთიანებების წლიური ანგარიშები, პირველადი აღრიცხვის მასალები, საკვლევი რეგიონის მიწათმოქმედებისა და სტატისტიკური სამმართველოს მონაცემები, საკუთარი მეცნიერული დაკვირვებები. კვლევის პერიოდი მოიცავს 1980-2003 წლებს.

ნაშრომში გამოყენებულია დიალექტიკური, ეკონომიკური, სტატისტიკური, შედარების, ანალიზის, სინთეზის, პროგნოზირების, პროგრამულ-მიზნობრივი და სხვა მეთოდები.

**კვლევის მეცნიერული სიახლე.** სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდისათვის

როგორც ქვეყნის, ასევე სამეგრელოს რეგიონის აგრარულ სექტორში მიმდინარე ტრანსფორმაციების შესწავლა, მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა და მის საფუძველზე სახელმწიფო რეგულირების მექანიზმების დამუშავება, კერძოდ:

- შესწავლილია აგრარულ სექტორში ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების დანერგვის სპეციფიკა და წარმოჩენილია მათი უპირატესობანი;

- გამოკვლეულია აგრარულ სექტორში საბაზრო ურთიერთობათა პირობებში სახელმწიფოებრივი რეგულირების ის ბერკეტები, რომლებიც უკეთ მიესადაგება საკვლევ რეგიონში ჩამოყალიბებულ ტრადიციებს, თავისებურებებს, თანამედროვე მდგომარეობას და პერსპექტივის ამოცანებს;

- განსაზღვრულია აგრარული სექტორის გაძღოლაში თანამედროვე მარკეტინგისა და მენეჯმენტის ძირითადი კონცეფციების გამოყენებისა და მეურნეობრივ საქმიანობაში მათი ჩართვის მიმართულებები;

- სამეგრელოს რეგიონის აგრობიზნესის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურისა და შესაბამისი ეკონომიკური მექანიზმის შესწავლის საფუძველზე გამოვლენილია აგრობიზნესში არსებული კავშირები და დასაბუთებულია მათი წარმოების შედეგებზე გავლენა;

- დასაბუთებულია მეწარმეთა ტექნიკური მომსახურების ორგანიზებისათვის სახელმწიფოებრივი რეგულირებისა და მხარდაჭერი პოლიტიკის აუცილებლობა;

- საბაზრო ეკონომიკის თავისებურებათა გათვალისწინებით შესწავლილია ოჯახური და გლეხური (ფერმერული) მეურნეობების წინაშე მდგარი პრობლემები და მოცემულია მათი დაძლევისა და დარეგულირების მექანიზმები;

- სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებებიდან გამომდინარე შედარებითი ანალიზით გამოვლენილია ფერმერულ მეურნეობათა ტიპები და დასაბუთებულია მათი განვითარების აუცილებლობა;

- წარმოების ალტერნატიული მიმართულებების შერჩევით დასაბუთებულია საიჯარო ურთიერთობათა უპირატესობები და მოცემულია მათი დანერგვის მეთოდები და გზები.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, ჩატარებული ანალიზი ხელს შეუწყობს სამეგრელოს რეგიონის აგრარულ სექტორში არსებული მდგომარეობის ობიექტურად შეფასებას, საკვლევ რეგიონის ეკონომიკის

დასაბუთებულ რეგულირებას, მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას. ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა განისაზღვრება იმითაც, რომ კვლევის ზოგიერთი შედეგების გამოყენება შეუძლიათ, როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციისა და მართვის საკითხებით დაინტერესებულ სპეციალისტებს, ისე აგრარული პროფილის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს. მასში მოცემული დასკვნები, წინადადებები და რეკომენდაციები შეიძლება საფუძვლად დაედოს რეგიონში რადიკალური ეკონომიკური რეფორმების განხორციელების გარმაგებას.

კვლევის შედეგების აპრობაცია და პუბლიკაცია. სადისერტაციო ნაშრომის კვლევის შედეგები მოხსენებული იქნა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაკროეკონომიკის კათედრისა და პეტრე ჟენტიის სახელობის საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტის ერთობლივ სხდომაზე.

კვლევის ძირითადი შედეგები ავტორის მიერ გამოქვეყნებულია ჟურნალებში: „სოციალური ეკონომიკა“ და „ეკონომიკა“.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს 148 ნაბეჭდ გვერდს და შედგება შესავლის, სამი თავის, რვა პარაგრაფისა და დასკვნითი ნაწილისაგან. ტექსტში ჩართულია 23 ცხრილი და 5 სქემა. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია 179 დასახელებით.

# თ ა ვ ი 1. აგრარულ სფეროში საბაზრო ურთიერთობათა ფორმირების სპეციფიკა და მეწარმოების ახალი ფორმების შეფასება

## 1.1. აგრარული რეფორმის აუცილებლობა და სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა

აგრარული სექტორის საბაზრო ეკონომიკაზე გადაყვანის პირობების შესასწავლად აუცილებელია იმ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაანალიზება, რომელიც მემკვიდრეობით გადმოეცა მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემიდან. აგრარული სექტორის ეკონომიკურ-ორგანიზაციული ურთიერთობები ამ სისტემაში დეფორმირებული იყო. დეფორმაციის დასაწყისს საფუძველი ჩაეყარა მაშინ, როდესაც დაიწყო დიდი მასშტაბით კოლექტივიზაციის პროცესი, 20-იანი წლების ბოლოს. ამ პერიოდში გატარდა წარმოების ყველა საშუალებების, მათ შორის მიწების ნაციონალიზაცია. აგრეთვე განხორციელდა პროდუქციის წარმოებისა და განაწილების კონტროლი, რამაც რადიკალურად შეცვალა სოფლის მეურნეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობები. მბრძანებლურ-ადმინისტრაციულმა სისტემამ წარმოშვა წინააღმდეგობები, მისი არსი საწარმოო ძალებისა და წარმოებით ურთიერთობების დაპირისპირებაში მდგომარეობდა. წინააღმდეგობები არსებობდა პროდუქციის წარმოებასა და სამეურნეო შედეგების განაწილებას, წარმოებასა და დაგროვებას, გლეხის ბუნებასა და მეურნეობის ისტორიულად ჩამოყალიბებულ ფორმებს შორის და ა.შ.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში დასახელებული წინააღმდეგობები კიდევ უფრო მწვავე ფორმით გამოვლინდა. საქართველოს სოფლის მეურნეობა საკავშირო მოთხოვნების შესაბამისად უნდა განვითარებულიყო. უპირატესობა ეძლეოდა საზოგადოებრივი წარმოების განვითარებას, მათთან ერთად არსებობდა პირადი დამხმარე მეურნეობები, მაგრამ მათი მასშტაბები კლებადი ტენდენციით ხასიათდებოდა.

წლების მანძილზე აგრარულ სექტორში არათანმიმდევრული ეკონომიკური პოლიტიკა ტარდებოდა. ერთ მხრივ, მიმდინარეობდა კოლმეურნეობების განმტკიცება, ხოლო მეორე მხრივ, მექანიკურად ხდებოდა

კოლმეურნეობების სახელმწიფო საბჭოთა მეურნეობებად გარდაქმნა. ამას ისიც დაემატა, რომ დაიწყო მოძრაობა ე.წ. არაპერსპექტიული სოფლების გამოსაყენებად, სოფლად აიკრძალა კუსტარული სამრეწველო წარმოება. მაშასადამე, ჩამოყალიბდა ტოტალური სისტემა მეტად ვრცელ ტერიტორიაზე და იგი წინააღმდეგობაში აღმოჩნდა საწარმოო ძალთა განვითარების კანონზომიერებებთან.

საბჭოურ სისტემაში აგრარული სექტორი ფუნქციონირებდა მწარმოებელთა შეზღუდულ ეკონომიკურ პირობებში, რადგანაც არ არსებობდა თავისუფალი მოქმედების საწყისი-წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების ფორმა და სამეურნეო შედეგების სამართლებლივი მითვისების შესაძლებლობები.

აგრარულ სექტორში გაბატონებული იყო საზოგადოებრივი საკუთრება, რომელიც წარმოდგენილი იყო სახელმწიფო და საკოლმეურნეო-კოოპერაციული ფორმით. რესურსების განაწილება მკაცრად ლიმიტირებული გეგმური წესით ხდებოდა. გეგმური ეკონომიკის მთავარი მიზანი კი იყო სოციალური თანასწორობის დამყარება ადმინისტრაციული გზით, რაც იმას ნიშნავდა, რომ სახელმწიფო განაგებდა საკითხებს რა, რამდენი, რით და ვისთვის ეწარმოებინათ. ეკონომიკისადმი ასეთი მიდგომა ზოგჯერ პარადოქსულ სიტუაციასაც კი ქმნიდა. ზოგჯერ რესურსები ან პროდუქცია აღმოჩნდებოდა იმ ქვეყნებში ან რეგიონში, სადაც მასზე მოთხოვნილება საერთოდ არ იყო.

საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ანექსიის შედეგად დამყარებული საბჭოთა ხელისუფლების პირობებში განხორციელდა წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების ლიკვიდაცია, რასაც მოჰყვა მასობრივი კოლექტივიზაციის ლოზუნგით კოლმეურნეობების ჩამოყალიბება. ეს პროცესი ძირითადად ხდებოდა ძალდატანებით, რომლის შედეგადაც ქვეყანაში არსებულ ათიათასობით წვრილ გლეხურ მეურნეობებს ჩამოერთვათ წარმოების საშუალებები და გადაეცა კოლმეურნეობებს კოლექტიური სარგებლობისათვის. 1928 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანებული იყო გლეხური მეურნეობების

0,9%, 1932 წელს – 36,4%, 1937 წელს – 76,5%, ხოლო 1950 წელს – 99,4% [173, გვ.72].

1940 წლისათვის საქართველოში იყო 4256 კოლმეურნეობა. აღნიშნულ პერიოდში სამეგრელოს რეგიონში ფუნქციონირებდა 286 კოლმეურნეობა, ხოლო მასში შემავალ რაიონებში მათი რაოდენობა შემდეგნაირად განაწილდა: მარტვილის რაიონში – 54 კოლმეურნეობა, სენაკში – 47, ზუგდიდში – 49, წალენჯიხაში – 34, აბაშაში – 36, ხობში – 37, ჩხოროწყუში – 28 კოლმეურნეობა.

საკაეშირო მთავრობის 1950 წლის მაისის დადგენილების შესაბამისად აღგილი პქონდა კოლმეურნეობათა მასობრივ გამსხვილებას. 1950 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოში რეგისტრირებული იყო 3916 კოლმეურნეობა, ამავე წლის ბოლოსათვის იგი შემცირდა 2600-მდე, 1951 წლის დასაწყისისათვის კი შეადგინა 2538, ხოლო 1952 წლის 1 იანვრის მდგომარეობით – 2116, 1952 წლისათვის ქვეყანაში იყო 2093 კოლმეურნეობა. ე.ი. 1952 წლისათვის 1950 წელთან შედარებით კოლმეურნეობების რიცხვი საქართველოში 21%-ით შემცირდა [123, გვ.35].

აღნიშნულ პერიოდში სამეგრელოს რეგიონშიც მიმდინარეობდა კოლმეურნეობების გამსხვილება, როგორც ცხრილი 1.1.1.-დან ჩანს, მიღებული დადგენილების შედეგად 1970 წლისათვის რეგიონში კოლმეურნეობების რიცხვი 132-მდე შემცირდა, ხოლო ცალკეული რაიონების მიხედვით ეს მაჩვენებლები განსხვავებული იყო: მარტვილის რაიონში კოლმეურნეობათა რიცხვი შემცირდა 19 ერთეულით, სენაკში – 35-ით, ზუგდიდში – 20-ით, წალენჯიხაში – 14-ით, აბაშაში – 19-ით, ჩხოროწყუში – 11-ით, ხობში – 25-ერთეულით. კოლმეურნეობების რაოდენობის შემცირება გამოწვეული იყო საბჭოთა მეურნეობების ჩამოყალიბებით, რომელიც იმ დროს მეურნეობის უფრო პროგრესულ ფორმად ითვლებოდა. 1960 წლისათვის სამეგრელოს რეგიონში ფუნქციონირებდა 21 საბჭოთა მეურნეობა, ხოლო 1970 წლისათვის მათი რიცხვი გაიზარდა 38-მდე. რაიონების მიხედვით მდგომარეობა ასეთი იყო: სენაკში საბჭოთა მეურნეობების რიცხვი გაიზარდა 6-დან 11-მდე; მარტვილში 2-დან 3-მდე; ზუგდიდში 6-დან 11-მდე;



ჩხოროწყუში 1-დან 2-მდე; აბაშაში 1-დან 3-მდე; ხობში 3-დან 6-მდე; ხოლო წალენჯიხასა და ფოთში საბჭოთა მეურნეობების რაოდენობა უცვლელი დარჩა.

სამეგრელოს რეგიონში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების რაოდენობრივი ცვლილებების შესაბამისად იცვლებოდა წარმოების მასშტაბებშიც. როგორც 1.1.2. ცხრილიდან ჩანს, 1940 წელს საშუალოდ ერთ კოლმეურნეობაზე ან ერთ საბჭოთა მეურნეობაზე მოდიოდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 467 ჰა, სახნავის - 138 ჰა, ამ ტიპის ერთ მეურნეობაზე მოდიოდა აგრეთვე 52 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, მათ შორის 14 ფური და ღორი 40 სული. ხოლო გამსხვილების შემდგომ პერიოდში 1970 წლისათვის 888 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული და 304 ჰა სახნავი. მთლიანი პროდუქციის ღირებულებამ 625 ათასი მანეთი შეადგინა, მომუშავეთა საშუალო წლიური რაოდენობა იყო 498,3 კაცი.

1950 წლამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაცია მიმდინარეობდა გლეხური მეურნეობების გაერთიანების გზით, შემდგომ პერიოდში მოხდა კოლმეურნეობების გამსხვილება, ე.ი. კონცენტრაცია ძირითადად ხდებოდა ექსტენსიური გზით.

წარმოების კონცენტრაციის პროცესი 1970 წლის შემდეგადაც გრძელდებოდა. საქართველოში კოლმეურნეობების რიცხვი შემცირდა 575 ერთეულით, ამავე პერიოდში 240 ერთეულით გაიზარდა საბჭოთა მეურნეობების რაოდენობა და 471 შეადგინა. ხოლო სამეურნეობათა შორისო საწარმოების, გაერთიანებების რაოდენობა 170 გახდა.

საკვლევ რეგიონში სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაციის თვალსაზრისით ანალოგიური ხასიათის ცვლილებები განხორცილდა. კერძოდ, 1980 წლისათვის კოლმეურნეობების რიცხვი შემცირდა 27 ერთეულით და შეადგინა 105, ხოლო საბჭოთა მეურნეობების რიცხვი გაიზარდა 58-მდე, ამ პერიოდისათვის რეგიონში ფუნქციონირებდა 24 სამეურნეობათა შორისო საწარმო, ორგანიზაცია და გაერთიანება.

1980 წლისათვის ერთ კოლმეურნეობაზე ან საბჭოთა მეურნეობაზე საშუალოდ 1076 ათასი მანეთის მთლიანი პროდუქცია მოდიოდა, 1040 ჰექტა-

წარმოების მასშტაბების დინამიკა სამეგრელოს რეგიონში  
(1940-1990 წწ)<sup>1</sup>

ცხრილი 1.12.

წლები	კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების რაოდენობა	მთლიანი პროდუქცია (ათასი მან.)	მომუშავეთა საშუალო წლიური რიცხოვნება	სასოფლო სამეურნეო სავარგული (ჰა)	მათ შორის სახნავი (ჰა)	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	მათ შორის ფური	ღორი
1	2	3	4	5	6	7	8	9
1940	286	-	-	467	138	52	14	40
1970	170	625	498,3	888	304	253	63	230
1980	163	1076	467,8	1040	340	308	77	288
1990	164	1600	443,3	1078	396	307	77	351

<sup>1</sup> ცხრილი შედგენილია საკლდე რეგიონის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს და ზუგდიდის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევის რეგიონთაშორისო სამეცნიერო ცენტრის მასალების საფუძველზე

რი სასოფლო-სამეურნეო სავარგული, რაც 17%-ით მეტია 1970 წლის შესაბამის მაჩვენებელზე. ამ პერიოდში ერთ კოლმეურნეობაზე ან საბჭოთა მეურნეობაზე მოდიოდა სახნავი – 340 ჰა, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი 308 სული, მათ შორის ფურები 77 და 288 სული ღორი. მომუშავეთა საშუალოწლიური რიცხოვნება შემცირდა 467,8 კაცით.

1980-1990 წლების მასალების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ამ პერიოდში ქვეყნის მასშტაბით ადგილი ჰქონდა როგორც კოლმეურნეობების, ისე საბჭოთა მეურნეობების რიცხოვრივ ზრდას, კოლმეურნეობების რიცხვმა შეადგინა 781, ხოლო საბჭოთა მეურნეობები – 644. ხოლო აღნიშნული პერიოდში სამეურნეობათა შორისო საწარმოები, ორგანიზაციები და გაერთიანებები ორჯერ მეტად გაიზარდა. 1990 წლისათვის მათი რიცხვი იყო 351, რაც ადასტურებს, რომ 1980-1990 წლებში ქვეყნის მასშტაბით ადგილი ჰქონდა დეცენტრალიზაციის პროცესს, იგი გამოწვეული იყო ყოფილი საზოგადოებრივი მეურნეობების ოპტიმალური სიდიდის ფაქტიურ სიდიდეზე სიდაბლით.

იგივე ტენდენცია აღინიშნებოდა სამეგრელოს რეგიონში. აღნიშნულ პერიოდში რეგიონში კოლმეურნეობების რიცხვი შემცირდა 99 ერთეულამდე, თუმცა ამას არ მოჰყოლია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საერთო რაოდენობის ცვლილება. შემცირებული კოლმეურნეობების ხარჯზე ყოველგვარი გამსხვილების გარეშე მოხდა საბჭოთა მეურნეობების ჩამოყალიბება. ამას ადასტურებს საკვლევი რეგიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების რაოდენობრივი განაწილებაც. 1990 წლისათვის მარტვილის რაიონში კოლმეურნეობების რიცხვი 19-მდე შემცირდა, ხოლო საბჭოთა მეურნეობების 7-ამდე გაიზარდა, შესაბამისად სენაკის რაიონში 7-დან 12-მდე, ხოლო აბაშაში კოლმეურნეობების რიცხვი 7-მდე შემცირდა და საბჭოთა მეურნეობების რიცხვი 7-მდე გაიზარდა, წალენჯიხის რაიონში კოლმეურნეობების რიცხვი 19-მდე შემცირდა, ხოლო საბჭოთა მეურნეობების რიცხვი დარჩა უცვლელი. 1980 წელთან შედარებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების რიცხვი უცვლელი დარჩა ზუგდიდის, ხობის, ჩხოროწყუს რაიონებსა და ქ. ფოთში.

1990 წლისათვის სამეგრელოს რეგიონში საშუალოდ ერთ კოლმეურნეობაზე ან საბჭოთა მეურნეობაზე 1600 ათაის მანეთის მთლიანი პროდუქცია, 107 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული და 396 ჰექტარი სახნავი, აგრეთვე 307 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, მათ შორის 77 ფუტკარი, 351 ღორი მოდიოდა, მომუშავეთა საშუალო წლიურმა რიცხოვნებამ 443,9 შეადგინა.

1921 წლიდან 1990 წლამდე საქართველოს და მათ შორის სამეგრელოს რეგიონის სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა ყალიბდებოდა ყოფილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ე.წ. შრომის საერთაშორისო დანაწილების პრინციპების საფუძველზე. (იხ. ცხრილი 1.1.3.)

აღნიშნულ პერიოდში უპირატესად განვითარდა ის დარგები, რომელთა პროდუქციაზე დიდი იყო საკავშირო მოთხოვნა. ასეთი დარგები იყო: მევენახეობა, მეხილეობა, მეჩაიეობა და მეციტრუსეობა. მათი ფართობი 1921 წელს 68,1 ათასი ჰა-დან 1990 წელს 331,3 ათას ჰექტრამდე გაიზარდა. სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის წარმოებაში ამ დარგების ხვედრითმა წონამ 45,7% შეადგინა. მემცენარეობის დარგების საერთო პროდუქციაში მრავალწლიანი კულტურების პროდუქციის ხვედრითი წონა 67% იყო. ეს მაშინ, როცა ამ კულტურებს ნათეს-ნარგაეების საერთო ფართობის მხოლოდ 31,4% ეკავა. მრავალწლიანი ნარგაეების ფართობი ძირითადად მარცვლეული კულტურების ფართობის შემცირების ხარჯზე იზრდებოდა. 1921-1990 წლებში მარცვლეულის ფართობი 524 ათასი ჰექტარიდან 270-ათას ჰექტრამდე შემცირდა. შესაბამისად 29,4-დან 3,8 პროცენტამდე შემცირდა პროდუქციის ხვედრითი წონა მემცენარეობის დარგების საერთო პროდუქციაში. მიუხედავად ამისა, 1990 წელს, 1921 წელთან შედარებით, საქართველოში მარცვლეულის წარმოება 309 ათასიდან 693 ათას ტონამდე გაიზარდა, რაც განპირობებული იყო საჰექტარო მოსავლიანობის 5,9-დან 25,6 ცენტნერამდე ზრდით. ყოველივე ამან კი განაპირობა მემცენარეობის ხვედრითი წონის გადიდება სოფლის მეურნეობის მთლიან პროდუქციაში 1921 წლის 29,8%-დან 1990 წლის 68,2 პროცენტამდე.

მემცენარეობის დარგობრივი სტრუქტურის დინამიკა საქართველოში<sup>1</sup>

ცხრილი 1.13.

სასოფლო-სამეურნეო კულტურები	სასოფლო-სამეურნეო კულტურების მიხედვით დაკავებული ფართობები ყველა კატეგორიის მეურნეობებში				პროდუქციის წარმოება ათ. ტ		ხვედრითი წონა (მთლიან პროდუქციაში) %	
	ათასი ჰექტარი		%		1921 წ.	1990 წ.	1921 წ.	1990 წ.
	1921 წ.	1990 წ.	1921 წ.	1990 წ.				
	1	2	3	4	5	6	7	8
ჩაი	1	62,3	0,2	5,9	0,9	478	0,7	23,8
ციტრუსი	0,3	24,7	-	2,3	-	246	-	12,3
ვენახი	36	112,8	5,9	10,7	35,5	323	29,4	16,1
ხეხილი	30,8	131,5	4,3	12,4	19,4	296	16,0	14,8
მარცვლეული	524	270	83,8	26,5	35,6	76	29,4	3,8
ბოსტნეული	6,5	36	0,9	3,4	14,4	129	11,9	6,4
კარტოფილი	4,1	28	0,6	2,6	5,5	56	4,5	2,8
შაქრის ჭარხალი	8	1,2	1,3	0,1	4,1	2	3,4	0,1
საკვები კულტურები	2	32,5	0,3	30,8	5	268	4,1	13,4
მემცენარეობის სხვა დარგები	13,3	65,5	7,1	6,3	0,6	131	0,6	6,5
სულ მემცენარეობა	62,5	10,57	100	100	121	2005	100	100

<sup>1</sup> ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე  
\* მილიონი მანეთებით 1983 წლის შესადარი ფასებით

არსებითი ცვლილებები განიცადა რეგიონის მემცენარეობის დარგობრივმა სტრუქტურამ (იხ. ცხრილი 1.1.4). მეჩაიეობის და მეციტრუსეობის სახით საკვლევ პერიოდში ჩამოყალიბდა ახალი დარგები, მათი ფართობი 1990 წლისათვის, შესაბამისად, 23,6 ათას და 1,5 ათას ჰექტარს შეადგენდა, ხოლო სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის წარმოებაში ამ დარგების ხვედრითმა წონამ 46,9% შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში განვითარდა მევენახეობა და მეხილეობაც. მათი ფართობი 1921 წლის 1,8 ათასი ჰექტარიდან 1990 წლისათვის 4,5 ათას ჰექტარამდე გაიზარდა. მრავალწლიანი კულტურების პროდუქციის ხვედრითი წონა მემცენარეობის მთლიან პროდუქციაში 1921 წელს 11,4%-ის ნაცვლად 1990 წლისათვის 73% იყო. რეგიონის ამ დარგის პროდუქციის ხვედრითმა წონამ საქართველოს მრავალწლიანი კულტურების მთლიან პროდუქციაში 1990 წლისათვის 15,6% შეადგინა. ამავე პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა რეგიონში მარცვლეულის ფართობი. მაგალითად, თუ 1921 წელს ეს მაჩვენებლები იყო 96,6 ათას ჰექტარს, 1990 წლისათვის იგი 28,2 ათასი ჰექტარი იყო. ასევე შემცირდა მარცვლეულის პროდუქციის ხვედრითი წონა რეგიონის მემცენარეობის დარგის საერთო პროდუქციაში და 1921 წლის 71,9 პროცენტის ნაცვლად 1990 წელს 3,9% შეადგინა. მარცვლეულის საჰექტარო მოსავლიანობის 7,04-დან 35,8 ცენტნერამდე გაზრდამ შესაძლებელი გახდა დასახელებულ პერიოდში პროდუქციის წარმოების გადიდება 68 ათასი ტონიდან 100,9 ათას ტონამდე. მნიშვნელოვნად გაიზარდა რეგიონის სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის წარმოებაში მემცენარეობის ხვედრითი წონა და 1921 წლის 21 პროცენტის ნაცვლად 1990 წლის 68 პროცენტი შეადგინა. რეგიონის მემცენარეობის დარგის პროდუქციის ხვედრითი წონა ქვეყნის ამ დარგის მთლიან პროდუქციაში 1921 წელს იყო 9,4 %, ხოლო 1990 წელს—13,9%.

მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ქვეყნის მეცხოველეობის დარგობრივ სტრუქტურაშიც (იხ. ცხრილი 1.1.5). თუ 1921 წელს მეცხოველეობის მთლიან პროდუქციაში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის წილად—64,2%, მელორეობის—15,2%, ხოლო მეცხვარეობის წილად — 20,0% მოდიოდა,

მემცენარეობის დარგობრივი სტრუქტურის დინამიკა სამეგრელოს რეგიონში

ცხრილი 1.14.

სასოფლო-სამეურნეო კულტურები	სასოფლო-სამეურნეო კულტურების მიხედვით დაკავებული ფართობები, კვადრატკმ		პროდუქციის წარმოება ათ. ტონა		სემინარული პროდუქტების პროდუქციაში %
	ათასი ჰექტარი		1921 წ.	1990 წ.	
	1921 წ.	1990 წ.	1921 წ.	1990 წ.	
ჩაი	-	23,0	-	172	-
ციტრუსი	-	1,5	-	26,1	-
ვენახი	0,5	1,1	0,5	3,1	4,4
ხეხილი	1,3	3,4	1,3	8,2	7,0
მარცვლეული	96,6	28,2	94,3	11,1	71,9
ბოსტნეული	0,3	2,5	0,3	9,0	6,1
საკვები კულტურები	0,04	23,2	0,4	23,4	8,8
მემცენარეობის სხვა	3,3	14,5	3,2	94,1	1,8
სულ მემცენარეობა	108,4	97,4	100	287	100

<sup>1</sup> ცხრილი შედგენილია სტატისტიკის დეპარტამენტის და ზუგდიდის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევის რეგიონთაშორის სამეცნიერო ცენტრის მასალების საფუძველზე

\* მილიონ მანეთებით 1983 წლის შესაღარი ფასებით

მეცხოველეობის დარგობრივი სტრუქტურის დინამიკა საქართველოში<sup>1</sup>

ცხრილი 1.1.5.

მეცხოველეობის დარგები	პირუტყვის სულადობის მიხედვით ყველა კატეგორიის მერყუნებაში			პროდუქციის წარმოება ათ. ტონა	ხევედრითი წონა პროცენტობით
	ათასი პირობითი სული		პროცენტობით (მთელ სულადობასთან) 1990 წ.		
	1921 წ.	1990 წ.			
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	828	1002	63,9	1921 წ. 1990 წ.	1921 წ. 1990 წ.
მეღორეობა	124	308	9,6	182,7	64,2
მეცხვარეობა და მე- თხევეობა	238	243	18,4	4,3	15,2
მეფრინველეობა	-	423	-	190	20,4
მეცხოველეობის სხვა დარგები	105	23	8,1	56,8	20,0
სულ მეცხოველეობა	1295	2010	100	203	100

<sup>1</sup> ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალების საფუძველზე

\* მილიონ მანეთობით 1983 წლის შესაღარიხი ფასებით

1990 წელს ამ მაჩვენებელმა, შესაბამისად, 45,7; 20,4 და 9,8 პროცენტი შეადგინა. მეფრინველეობის ხვედრითი წილი 21,8%-ს შეადგენდა. აღნიშნულ პერიოდში მარცვლეულის წარმოების 384 ათასი ტონით გადიდება შესაძლებელი გახდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის წარმოების ზრდა 37 ათასიდან 82 ათას ტონამდე და რძისა – 238 ათასიდან 659 ათას ტონამდე.

ასევე ცვლილებები განიცადა რეგიონის მეცხოველეობის დარგობრივმა სტრუქტურამ (იხ. ცხრილი 1.1.6.). მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის წილი მეცხოველეობის მთლიან პროდუქციაში 1921 წელს 74,1%-ს შეადგენდა, 1990 წელს ამ მაჩვენებელმა–53,2% შეადგინა, მეღორეობის ხვედრითი წონა 20,8%-დან 29,2%-მდე გაიზარდა, ხოლო მეფრინველეობის ხვედრითმა წონამ 1990 წელს 13,6% შეადგინა. 1921-1990 წლებში გაიზარდა რეგიონის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის წარმოება 5,8 ათასიდან 12,2 ათას ტონამდე, ხოლო რძის წარმოება 1990 წლისათვის 92,8 ათას ტონას შეადგინა. რეგიონის მეცხოველეობის დარგის პროდუქციის ხვედრითი წონა, ქვეყნის ამ დარგის საერთო პროდუქციაში 1921 წელს 15%-ს შეადგინა, ხოლო 1990 წლისათვის 14,5% იყო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1921 წლიდან 1985 წლამდე სტაბილურად იზრდებოდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ღორის სულადობა, ხოლო 1985 წლიდან იგი კლებადი ტენდენციით ხასიათდებოდა.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგობრივი სტრუქტურის ცვლილებების პარალელურად აღნიშნულ პერიოდში რადიკალურად გარდაიქმნა საკუთრებითი ურთიერთობებიც. კერძო საადგილმამულო მეურნეობებიდან მასობრივად (კოლექტივიზაციის ღოზუნგით) ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი მეურნეობების მფლობელობაში გადავიდა მიწის, პროდუქტიული პირუტყვის და სხვა ძირითადი საწარმოო საშუალებების დიდი ნაწილი.

1990 წლის ბოლოს საქართველოს 1282 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან (საძოვრების გარეშე) საზოგადოებრივ მეურნეობებზე მთელი სავარგულების 94%, ხოლო საკარმიდამო მეურნეობებზე 6% მოდიოდა. აგრეთვე საზოგადოებრივ მეურნეობებზე მსხვილფეხა რქოსანი

მეცხოველეობის დარგობრივი სტრუქტურის დინამიკა სამეგრელოს რეგიონში<sup>1</sup>

ცხრილი 1.1.6.

მეცხოველეობის დარგები —	პირუტყვის სულადობის მიხედვით — კეკლა კატეგორიის მერყეობაში			პროდუქციის წარმოება ათ. ტონა		სეკდრითი წონა პროცენტობით	
	ათასი პირობითი სული		პროცენტობით (მოელ სულადობასთან)	1921 წ.	1990 წ.	1921 წ.	1990 წ.
	1921 წ.	1990 წ.	1921 წ.	1990 წ.			
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	121	149	76,1	57,3	31,7	71,9	53,2
მეღორეობა	24	64	15,1	24,6	8,9	39,5	29,2
მეცხვარეობა და მეთხევლეობა	5	1	3,1	0,4	1,8	0,3	0,2
მეფრინველეობა	—	40	—	15,4	—	18,4	13,6
მეცხოველეობის სხვა დარგები	9	6	5,7	2,3	0,4	5,1	3,8
სულ მეცხოველეობა	159	260	100	100	42,8	135,2	100

<sup>1</sup> ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო აგენტატის და სუბილდის მკონომიკური და სოციალური პრიბლეების კვლევის რეგიონალური სამეცნიერო ცენტრის მასალების საყუყულზე

\* მიღონ მანეყებით 1983 წლის შესადარისი ყასებით

პირუტყვის 35%, ხოლო რეგიონის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 170 ათასი ჰექტარიდან საზოგადოებრივ მეურნეობებზე მოდიოდა 140 ათასი ჰექტარი, ანუ 82,4%, ხოლო საკარმიდამო მეურნეობაზე 30 ათასი ჰექტარი ანუ 17,6%. საზოგადოებრივ მეურნეობებზე მოდიოდა აგრეთვე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის 26,5% და ღორის 34,4%.

1921-1990 წლებში სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის ფორმირების პროცესის ანალიზიდან ნათელია, რომ ქვეყნისა და რეგიონის სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბება-განვითარება მიმდინარეობდა არა საქართველოსა და მისი რეგიონის სასურსათო ბაზრის მოთხოვნილების გათვალისწინებით, არამედ ყოფილი საბჭოთა კავშირის სასურსათო რესურსების ფორმირებაში მათი შესაძლებლობების სრულად გამოყენების მიზნით.

აქედან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ სოფლის მეურნეობის არსებული სტრუქტურა რადიკალურ შეცვლას მოითხოვდა ეს, რა თქმა უნდა, თვითმისანი კი არ იყო, არამედ დროის მოთხოვნა იყო, რამაც გამოიწვია რეფორმების აუცილებლობა.

## 12. მეწარმეობის ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები და მათი შედარებითი უპირატესობა

საქართველოში აგრარული რეფორმების წარმატებით განხორციელებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ჩამოყალიბებას, ორგანიზაციას და მათ მეცნიერულ მართვას.

საქართველოს აგრარული პოლიტიკის კონცეფციით მეურნეობრიობის ახალი, სოციალურად და ეკონომიკურად ეფექტიანი ფორმების დამკვიდრება, ქვეყნის აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად არის მიჩნეული, რომლიც წარმატებით განხორციელებას სახელმწიფო ხელს უწყობს: „კანონშემოქმედებით, ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო პოლიტიკით, ორგანიზაციული ღონისძიებებით, საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურებით, უცხოური ინვესტიციების მოზიდვით“ [60, გვ.17].

სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ადეკვატური ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების შექმნა და ურთიერთშეხამება. სამომხმარებლო ბაზრის ფორმირებისა

და ფუნქციონირების საფუძველია სასურსათო პროდუქტების მწარმოებელი დარგების განვითარება ინტენსიფიკაციის გზით. ამ პრობლემის გადაწყვეტაში ცენტრალური როლი უნდა შეასრულოს საკუთრების და მეურნეობრიობის შესაბამისი ფორმების დანერგვამ. აგრარული სექტორის ეკონომიკური განვითარების საფუძველი კერძო საკუთრება უნდა იყოს, თუმცა საჭიროა შეიქმნას პირობები მეურნეობის სხვადასხვა ფორმების ჩამოყალიბებისთვისაც.

დღევანდელი ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე, ეკონომიკური პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს შერეული ეკონომიკის განვითარებას, რომელიც გულისხმობს კერძო, სახელმწიფო და კოლექტიური საკუთრებისა და მათი შესაბამისი მეურნეობრიობის სხვადასხვა ფორმების ერთობლიობას. მათი თანაარსებობისა და ურთიერთშეხამებისთვის უნდა არსებობდეს ხელსაყრელი ეკონომიკური გარემო.

აგრარულ სექტორში ასეთი ტიპის ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს მისი ორგანიზაციული ფორმების ეფექტიან ფუნქციონირებას. შერეულ ეკონომიკას შესაძლებლობა აქვს უზრუნველყოს ისეთი ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარება, რომლებიც საზოგადოებისა და საწარმოს განვითარების მამოძრავებელ ძალებს წარმოადგენენ. სახალხო მეურნეობის დონეზე ასეთი მამოძრავებელი მოტივია საზოგადოების ეროვნული სიმდიდრის გაზრდა, რითაც დაინტერესებულია საწარმოს ყველა მონაწილე, ხოლო საწარმოს დონეზე ამ ინტერესს წარმოადგენს პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ზრდა, მოგების მიღება იმ ზომით, რომელიც უზრუნველყოფს ერთი მხრივ, საწარმოს ეკონომიკურ ზრდას და მეორე მხრივ, მომუშავეთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

მრავალწობიანი ეკონომიკური სისტემა ეფექტიანია იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს საკუთრების ზემოთ დასახელებული ფორმების საფუძველზე ფუნქციონირებად ერთეულთა ერთობლივ მოქმედებას. ასეთ შემთხვევაში ეკონომიკა და მისი შესაბამისი მექანიზმი უზრუნველყოფს არა მარტო მეწარმეთა მოვალეობებისა და უფლებების დადგენას, არამედ თვით

ორგანიზაციული ფორმები განსაზღვრავენ პირადი ინტერესების საზოგადოებრივ ინტერესთან შეხამების მოთხოვნებს.

მრავალწობიანი ეკონომიკური სისტემის დროს საკუთრების თითოეულ ფორმას უნდა გააჩნდეს შესაბამისი სამართლებრივი, ეკონომიკური და ორგანიზაციული გარემო. აგრეთვე, საკუთრების არც ერთ ფორმას არ უნდა ჰქონდეს ხელოვნურად შექმნილი უპირატესობა. საწყის ეტაპზე საკუთრების ყველა ფორმისათვის თანაბარი პირობები უნდა შეიქმნას, შემდეგ კი ეკონომიკური გარემოსა და სიტუაციური ცვლილებების მიხედვით შესაძლებელია განსხვავებული თანაფარდობა ჩამოყალიბდეს.

ცივილიზებული ქვეყნების გამოცდილება ადასტურებს, რომ თანამედროვე პირობებში და მომავლის პერსპექტივაშიც კერძო საკუთრება სოციალურად ორიენტირებული ხდება. ეკონომიკური მოდელების შინაგანი განვითარების თავისებურებები ადასტურებენ, რომ ეკონომიკის „ჰუმანიზაცია“ მისი სოციალურად ორიენტაცია თანამედროვეობის კანონზომიერი მოთხოვნაა. „თანამედროვე ცივილიზებულ საზოგადოებაში სოციალურად ორიენტირებული საზოგადოებრივი საკუთრება იგივე კერძო საკუთრებაა მაღალ ჰუმანურად მოწესრიგებული. ისინი ერთმანეთში გადაიან. საკუთრების ორივე ფორმა კაცობრიობის პროგრესის უდიდესი მიღწევაა. აქ იგულისხმება მათი მაღალჰუმანური ერთიანობა, საუკეთესო მხარეების შერწყმა, მათი კონგლომერაცია, რომელიც სულ უფრო მეტად ემყარება საზოგადოების სოციალური დაცვის უმაღლეს პრინციპებს“. მოგებაც არსობრივად სულ უფრო მეტად სოციალურად ორიენტირებული ხდება [42 გვ.3]

ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია არის უპირველეს ყოვლისა, მომხმარებლისკენ მკვეთრი შემობრუნება, ეკონომიკური სისტემის ძირითადი მიზანი ამ შემთხვევაში ადამიანის ცხოვრების დონის ამაღლებაა.

აგრარული სექტორისათვის დამახასიათებელია საკუთრების ფორმების მრავალგვარობა, ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა სოფლის მეურნეობაში. საკუთრების ფორმების შესაბამისად ფუნქციონირებენ ისეთი წარმოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, როგორიცაა: გლეხური, ფერ-

მერული მეურნეობები; სოლიდური პასუხისმგებლობის საზოგადოება; კომანდიტური საზოგადოება; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება; სააქციო საზოგადოება; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი და სახაზინო საწარმო.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ამ ახალი ფორმების ჩამოყალიბების ძირითადი პრინციპებია: 1. ნებაყოფლობის პრინციპი; 2. მიწის ნაკვეთის გამოყოფა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე; 3. საკუთრების უფლება საცხოვრებელ სახლზე, ტექნიკაზე, პირუტყვზე; 4. სრული ეკონომიკური პასუხისმგებლობა მიღებულ სამეურნეო შედეგებზე; 5. სრული დამოუკიდებლობა წარმოების სტრუქტურაზე, პროდუქციის გადამუშავებაზე, რეალიზაციაზე და შემოსავლის გამოყენებაზე. 6. სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური დახმარების გაწევა. 7. საწარმოთა უფლებების ხელშეუხებლობა და სახელმწიფოს მიერ მათი დაცვა; 8. დამოუკიდებელი ანგარიშსწორების გახსნა ბანკებში.

ინდივიდუალური მფლობელობა ფართოდ არის გავრცელებული ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საერთოდ მომსახურების სფეროში. მაგ. აშშ-ში ინდივიდუალურ საკუთრებაშია 11.9 მილიონი საწარმო (საწარმოთა საერთო რიცხვის 70%). საქართველოში 1993-1994 წ.წ. შეიქმნა 18 ათასი ინდივიდუალური საწარმო, თუმცა ბევრმა მათგანმა ვერ შეძლო ფუნქციონირება ხელშემშლელ გარემოებათა გამო.

ინდივიდუალური მეწარმეობა, როგორც ყველაზე მეტად გავრცელებული ფორმა, ხასიათდება მთელი რიგი უპირატესობებით:

1. მარტივი ორგანიზაცია; 2. მოქმედების სრული დამოუკიდებლობა, თავისუფლება და ოპერატიულობა; 3. წამახალისებელი მოტივის მაქსიმუმი; 4. საქმიანობის კონფიდენციალობა; 5. დაბალი საორგანიზაციო ხარჯები; 6. მოქნილობა და მობილურობა.

ინდივიდუალური მეწარმეობის ნაკლოვანებებია: 1. დიდი კაპიტალის მოზიდვის სიძნელე; 2. დაეალიანებაზე განუსაზღვრელი პასუხისმგებლობა; 3. სპეციალიზირებული მენეჯმენტი; 4. საქმიანობის ხანგრძლივობის გაურკვეველობა;

მეწარმეობის ინდივიდუალური ფორმის ღონისძიებებისა და ნაკლოვანებების ანალიზს მიეყვართ დასკვნამდე, რომ წარმოების ორგანიზაციას ამ ფორმით მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, თუკი 1. მეწარმეობისათვის საჭირო არ არის დიდი კაპიტალი; 2. ფირმის მართვა შეუძლია ერთ პირს ან ოჯახს; 3. არ არის აუცილებელი წარმოების საკითხებთან დაკავშირებით მესაკუთრემ პირადი კონტაქტები იქონიოს ბევრ ადამიანთან.

მეწარმეობის ეს ფორმა განსაკუთრებით მიმზიდველია როცა საქმე მხოლოდ იწყება. სამეგრელოს რეგიონის აგრარულ სექტორში 2003 წლისათვის ფუნქციონირებდა 2 ინდივიდუალური საწარმო.

სოლიდური პასუხისმგებლობის საზოგადოება ერთ-ერთი ძველი და მეტად გავრცელებული სამეწარმეო ფორმაა.

სოლიდური პასუხისმგებლობის შემთხვევაში თითოეული პარტნიორი პასუხს აგებს უშუალოდ, მთლიანად, პირდაპირ, შეუზღუდავად მთელი თავისი ქონებით.

სოლიდური პასუხისმგებლობის საზოგადოების უპირატესობებია:

1. ფინანსური ძალა;
2. მოქმედების თავისუფლება და ოპერატიულობა;
3. დამატებითი შესაძლებლობები მენეჯმენტში;
4. სოციალურ-ფსიქოლოგიური ვითარება;
5. უბრალოება ორგანიზაციაში.

სოლიდური პასუხისმგებლობის საზოგადოების ნაკლოვანებებია:

1. პარტნიორის შეუზღუდავი პასუხისმგებლობა;
2. ურთიერთუნდობლობის ალბათობა;
3. გამოცდილების უკმარისობა.

სოლიდური პასუხისმგებლობის საზოგადოების ქონების ბაზის ფორმირება ხორციელდება პარტნიორების მონაწილეობის საფუძველზე. ყოველი სამეურნეო წლის ბოლოს ბალანსის საფუძველზე დგინდება წლიური მოგება ან ზარალი და გამოითვლება მასში ყოველი პარტნიორის წილი.

სოლიდური პასუხისმგებლობის საზოგადოება ლიკვიდირებულ იქნება:

- ა) იმ ვადის გასვლისას, რა ვადითაც იგი შეიქმნება;
- ბ) პარტნიორთა

გადაწყვეტილებით; გ) საზოგადოების საბანკროტო წარმოების გახსნით; დ) სასამართლოს გადაწყვეტილებით.

სამეგრელოს რეგიონის აგრარულ სექტორში 2003 წლისათვის რეგისტრირებული იყო 3 სოლიდური პასუხისმგებლობის საზოგადოება.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების უპირატესობა ის არის, რომ ის მიზიდავს მათთვის, ვისაც შეუძლია კაპიტალის ინვესტირება და ამდენად მას კაპიტალის მოზიდვის საშუალება აქვს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ჩამოყალიბება ხდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.

სამეგრელოს რეგიონში 2003 წლისათვის რეგისტრირებული იყო 28 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

სააქციო საზოგადოება ეკონომიკური ცხოვრების ხანგრძლივი განვითარების შედეგია, ამიტომ შეუძლებელია იმის თქმა, რომ სააქციო საზოგადოების მზა მოდელი ერთ დღეს იქნა წარმოდგენილი. ეკონომიკურ ლიტერატურაში დღესაც სადაოა საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი იყო პირველი სააქციო საზოგადოება. თუმცა მეცნიერთა უმრავლესობა პირველი სააქციო საზოგადოების წინამორბედად მიიჩნევს St Georgbank-ს და Ambr-siabank-ს გენუაში (XV ს.), რომელთათვისაც უკვე დამახასიათებელი იყო პასუხისმგებლობის შეზღუდვა და წილთა გადაცემის შესაძლებლობა. სააქციო საზოგადოების ადრეული ფორმად მიიჩნევენ სავაჭრო კომპანიებს (1600წ) (კერძოდ, ბრიტანულ-აღმოსავლეთ ინდური და ჰოლანდურ-აღმოსავლეთ ინდური სავაჭრო კომპანიები). თუმცა თანამედროვე სააქციო საზოგადოებები გაჩნდნენ მხოლოდ XVIII საუკუნეში, უწინარეს ყოვლისა საფრანგეთში. სააქციო საზოგადოებებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს სამთო საწარმოების, მსხვილი სამრეწველო ორგანიზაციებისა და რა თქმა უნდა რკინიგზის განვითარების საქმეში.

დღეს სააქციო საზოგადოებები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის და მათ შორის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სფეროს განვითარების საქმეში.

სააქციო საზოგადოებას აქვს შემდეგი დადებითი მხარეები: დამა-

ტებითი კაპიტალის მოზიდვის შესაძლებლობა, მესაკუთრეთა შეზღუდული პასუხისმგებლობა, საკუთრების უფლების გადაცემის ოპერაციის სიმარტივე, ხანგრძლივი სიცოცხლისუნარიანობა, სპეციალიზირებული კვალიფიციური მენეჯმენტის გამოყენების შესაძლებლობა.

საქაცო საზოგადოების უარყოფითი მხარეებია: ორგანიზაციული ხარჯები და სიძნელეები, ორმაგი დაბეგვრა, წვრილ მესაკუთრეთა არასაკმარისი ინტერესი, წვრილ აქციონერთა საზოგადოების მართვა-გამგეობაში მონაწილეობის უფლების ფორმალურობა, საზოგადოების მომსახურეთა და აქციონერთა ინტერესების ხშირად შეუთავსებლობა.

სამეგრელოს რეგიონში 2003 წლის მონაცემებით აგრარულ სექტორში რეგისტრირებული იყო 10 სააქციო საზოგადოება

მეწარმეობის ფორმებიდან მნიშვნელოვანია კოოპერატივი. ისტორიულად კოოპერატივები XIX საუკუნეში წარმოიშენენ, რაც ევროპაში კაპიტალიზმის განვითარების შედეგია. კოოპერატივების წარმოშობის ძირითადი მოტივი იყო თვითდახმარება, ე.ი. ეს იყო წვერთა ორგანიზაციის ისეთი ფორმა, რომლის ძირითად მიზანს შეადგენდა მასში გაერთიანებული პირების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ამ მიზნით შეიქმნა პირველი სამომხმარებლო კოოპერატივი ინგლისში (1827-1844 წლებში), რაიფაიზენის კოოპერატივი გერმანიაში (1871 წ.) და ა.შ.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 60.1 მუხლის თანახმად ჩამოთვლილი კოოპერატივები შეიძლება დაიყოს ორ ძირითად ჯგუფად: შემძენ-გამსაღებელი და საწარმოო კოოპერატივები. განსხვავებებს კოოპერატივების სამეურნეო საქმიანობის შინაარსში ეს კანონი იურიდიულ შედეგს არ უკავშირებს. აქედან გამომდინარე, კანონში მოცემული კოოპერატივების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და შესაძლებელია შეიქმნას სხვა კოოპერატივებიც.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი წარმოადგენს მნიშვნელოვან რგოლს საზოგადოებრივი ურთიერთობების სისტემაში. როგორც არ უნდა შეიცვალოს მისი პერსონალური შემადგენლობა, ის მაინც განაგრძობს ფუნქციონირებას, როგორც ერთიანი საწარმო.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ჩამოყალიბება ხდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.

სამეგრელოს რეგიონში 2003 წლისათვის აგრარულ სექტორში რეგისტრირებული იყო 65 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი.

სახაზინო საწარმოებს აგრარული პოლიტიკის განხორციელებაში განსაკუთრებული, სტრატეგიული დანიშნულება აქვთ, ამიტომ მათ გემ-მაზომიერ განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

სამეგრელოს რეგიონის აგრარულ სექტორში 2003 წლის მონაცემებით ფუნქციონირებს 9 სახაზინო საწარმო.

რეფორმის შემდგომ პერიოდში „მეწარმეთა შესახებ“ კანონის საფუძველზე სამეგრელოს რეგიონში ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით ჩამოყალიბდა 2 ინდივიდუალური საწარმო, 3 სოლიდური პასუხისმგებლობის საწარმო, 10 სააქციო საზოგადოება, 65 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, 9 სახაზინო საწარმო, 2 სახელმწიფო საწარმო. საკვლევ რეგიონში 2003 წლისათვის სულ ფუნქციონირებდა 119 სასოფლო-სამეურნეო საწარმო. სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რიცხოვნების დინამიკის შესწავლამ გვჩვენა, რომ 2003 წლისათვის 1990 წელთან შედარებით მათი რიცხვი გაიზარდა 29 ერთეულით, თუმცა 2003 წელი 1998 წელთან შედარებით მათი რიცხვი შემცირდა 83 ერთეულით. კერძოდ, ვალენჯიხაში 1998 წლისათვის ფუნქციონირებდა 33 სასოფლო-სამეურნეო საწარმო, 2003 წლისათვის მათმა რიცხვმა 22 ერთეული შეადგინა. ე.ი. შემცირდა 11 ერთეულით, შესაბამისად ზუგდიდში შემცირდა -5, ჩხოროწყუში -18, მარტვილში -27, ხობში-5, სენაკში-14, აბაშაში 3 ერთეულით შემცირდა. (იხ. ცხ. 1.2.1).

აღნიშნული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებიდან რეგიონში ყველაზე უფრო გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, ეს იმით აიხსნება, რომ ყოფილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამართალმემკვიდრეები კოოპერატივები გახდნენ. კოლმეურნეობების წევრებმა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციული ფორმებიდან სწორედ ამ სახეს მიანიჭეს უპირატესობა.

სამეტრელოს რეგიონის სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რეცხოვნობის დინამიკა  
 ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით 1998-2003 წწ

ცხრილი 12.1.

დასახელება	1998 წ.						2000 წ.						2003 წ.											
	ინდივიდუალური საწარმო	სპს	შპს	სააქციო საზოგადოება	სასოფლო-სამეურნეო კოლექტივი	სახაზინო საწარმო	სახელმწიფო საწარმო	სულ	ინდივიდუალური საწარმო	სპს	შპს	სააქციო საზოგადოება	სასოფლო-სამეურნეო კოლექტივი	სახაზინო საწარმო	სახელმწიფო საწარმო	სულ	ინდივიდუალური საწარმო	სპს	შპს	სააქციო საზოგადოება	სასოფლო-სამეურნეო კოლექტივი	სახაზინო საწარმო	სახელმწიფო საწარმო	სულ
მოდირანდ რეგიონში მათ შორის წალკეჯიხა	1	4	30	16	109	10	32	202	2	3	28	10	65	9	2	119	2	3	28	10	65	9	2	119
ზუგდიდი	1	1	5	6	26	5	3	47	2	-	2	1	31	4	2	42	2	-	2	1	31	4	2	42
ფოთი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ჩხოროწყუ	-	-	-	1	16	2	1	20	-	-	-	-	2	-	-	2	-	-	-	-	2	-	-	2
ხობი	-	-	1	-	6	-	15	22	-	-	5	-	12	-	-	17	-	-	5	-	12	-	-	17
სენაკი	-	-	1	2	11	-	9	23	-	-	1	-	5	-	-	6	-	-	1	3	5	-	-	9
აბაშა	-	1	14	3	1	-	2	21	-	2	11	-	4	-	-	7	-	2	11	1	4	-	-	18
მარტვილი	-	1	-	-	30	3	2	36	-	-	3	5	-	5	-	13	-	-	3	1	-	5	-	9

2003 წლისათვის წალენჯიხაში-11 სასოფლო სამეურნეო კოოპერატივი, ზუგდიდში-31, ჩხოროწყუში-2, ხობში-12, სენაკში-5, აბაშაში-4 სამეურნეო კოოპერატივი მოქმედებდა.

ცივილიზებულ ქვეყნებში ფუნქციონირებს ეკონომიკის სახელმწიფოებრივი სექტორი, რომლის საქმიანობაც ძირეულად განსხვავდება კერძო სექტორისგან. მისი ეკონომიკური საქმიანობა აუცილებელი ხასიათისაა. აგრეთვე, სახელმწიფო მთავრობის სახით უმსხვილესი ბიზნესმენია, მისი შემოსავლები და გასავლები ბევრად აჭარბებს შეზღუდული პასუხისმგებლობის უმსხვილეს კომპანიათა შემოსავლებს. უნდა აღინიშნოს, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიათა მსგავსად მათი მიზანი მოგების მიღება კი არ არის, არამედ მისი ძირითადი ამოცანაა საქმიანობა საერთო-სახალხო კეთილდღეობისათვის. ამიტომაც მათ გარკვეულ დახმარებას ზარალის კომპენსაციაში მთავრობა უწევს, განსაკუთრებით მომსახურების იმ სახეობებში, რომელთაც დიდი სოციალური მნიშვნელობა აქვთ. მართალია სახელმწიფო კორპორაციების მიზანი მოგების მაქსიმისაცია არ არის, მაგრამ ისინი მოწოდებული არიან დაფარონ ხარჯები და მიიღონ განსაზღვრული მოგება.

უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად სახელმწიფო სექტორი აგრარულ სფეროში ფაქტიურად არ ფუნქციონირებს და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თითქმის 100% კერძო სექტორში იწარმოება.

სახელმწიფო საწარმოები კერძო საწარმოებისაგან განსხვავდებიან ორი ძირითადი ასპექტით. სახელმწიფო საწარმოებს არ ემუქრებათ გაკოტრება და კონკურენციულ ბრძოლაში დამარცხება. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ სახელმწიფო საწარმოს ფაქტიურად კონკურენტი არ გააჩნია.

თუ კერძო საწარმოების მთავარი მიზანია მოგების მაქსიმისაცია, სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები იძულებულნი არიან იზრუნონ მრავალმხრივი განაწილებითი ურთიერთობების სრულყოფის უზრუნველსაყოფად.

კერძო საწარმოები უპირატესად მოქმედებენ საკუთარი ინტერესების შესაბამისად, რასაც ვერ ვიტყვით ბიუროკრატიაზე. ბიუროკრატიას არ

გაანჩია მოტივაციური სისტემა, რის გამოც იგი ცდილობს სამოქმედო არეალის გაფართოებას, რათა საბოლოო ჯამში გაზარდოს ხარჯები და შესაბამისად საბიუჯეტო დაფინანსება. მაშინ, როდესაც კერძო საწარმოების საქმიანობა დიდ რისკთან არის დაკავშირებული, სახელმწიფო ბიუროკრატია ამ მხრივ თავისუფალია. ამ უკანასკნელის მიზანია „დანახარჯები-სარგებლიანობის“ დევიზით ცხოვრება, რაც სახელმწიფო მმართველობის საქმიანობას კიდევ უფრო არაეფექტიანს ხდის.

ეკონომიკის კერძო სექტორის ჩამოყალიბება უკვე მომხდარი უდიდესი მნიშვნელობის ფაქტია, მაგრამ იგი ჯერჯერობით არასაკმარისადაა განვითარებული. ამიტომ მისი დაჩქარებული განვითარების მიღწევა უახლოესი მომავლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ამ ამოცანის წარმატებით გადასაწყვეტად აუცილებელია იმ მიზეზების აღმოფხვრა, რაც კერძო სექტორის განვითარებას აფერხებს. მათგან მთავარია, პირველ რიგში, ინსტიტუციონალური გარდაქმნების გაუმართლებლად დაბალი ტემპი, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის გახანგრძლივება, საგადასახადო სისტემის მოუწესრიგებლობა, ჩრდილოვანი ეკონომიკის, კორუფციის მაღალი დონე და სხვა.

ეკონომიკის კერძო სექტორის განვითარება რთული პრობლემაა, მაგრამ მისი დაჩქარება საქართველოსთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, სხვანაირად ქვეყანა სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევის ვერ შეძლებს.

ზემოთ ჩამოთვლილ წარმოების ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებთან ერთად ფუნქციონირებენ საოჯახო მეურნეობები. იგი საბჭოთა სისტემამ შექმნა. მაშინ მ ის არსებობას საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების რეალური შესაძლებლობების გამოუყენებლობითა და კომლთა შემოსავლების გაზრდის ინტერესებით ხსნიდნენ. გარდამავალი ეკონომიკის პირობებში, როცა კერძო საკუთრებით ურთიერთობებზე დამყარებულ საწარმოებს მიეცათ ფართო ასპარეზი, ოჯახურმა მეურნეობებმა უნდა დაკარგონ თავიანთი მნიშვნელობა და გადაიზარდონ ე.წ. ფერმერული მეურნეობათა კატეგორიაში.

საოჯახო მეურნეობებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ აგრარული სექტორის სისტემაში. ისინი დიდ როლს ასრულებენ სასურსათო ბალანსის ფორმირებაში, აწოდებენ ნედლეულს გადამამუშავებელ მრეწველობას, ხელს უწყობენ სოფლის მეურნეობის ფულადი შემოსავლების ზრდას.

საოჯახო მეურნეობებს დიდი სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობა და უპირატესობები აქვთ: 1. ისინი დიდ როლს ასრულებენ მოსახლეობის სასურსათო პროდუქტებზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების დონის ამაღლებაში; 2. საშუალებას იძლევიან სრულად გამოიყენონ შრომითი რესურსები; 3. საოჯახო მეურნეობებში გამოიყენება ისეთი რესურსები, რომლებიც საზოგადოებრივ მეურნეობებში არ მოიხმარება. ესენია: ოჯახის ნარჩენები, გამოუყენებელი სათიბი ფართობი, სადაც არ შეიძლება მექანიზაციის გამოყენება, ბუჩქნარი ადგილები და სხვა; 4. ამ მეურნეობის გაძღოლა არ თხოულობს დიდ კაპიტალდაბანდებებს, მისთვის გამოიყენება სოფლის მოსახლეობის ეზოს ნაგებობანი; 5. საოჯახო მეურნეობა სოფლის მოსახლეობათა შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა; 6. აღნიშნულ მეურნეობებში გაცილებით ნაკლებია მოსავლის დანაკარგები.

ყოველივე აქედან გამომდინარე, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ საოჯახო მეურნეობებში პროდუქტთა მნიშვნელოვანი ნაწილი იწარმოება იმ რესურსების ხარჯზე, რომლებიც საზოგადოებრივ მეურნეობებში გამოუყენებელი რჩება.

საოჯახო მეურნეობების ეკონომიკური როლი პირველ რიგში განისაზღვრება იმით, რომ იგი სოფლის მეურნეობის პროდუქტთა წარმოების მნიშვნელოვანი რეზერვი და სასურსათო პროგრამის რეალიზაციის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა.

საქართველოში საოჯახო მეურნეობები ძირითადად სამომხმარებლო ტიპისაა. 2003 წლის მონაცემებით სამეგრელოს რეგიონის საოჯახო მეურნეობებში იწარმოებოდა ხილის 100%, ყურძნის –100%, სიმინდის –98,4%, ლობიოს –96,3%, კარტოფილის – 100%, ბოსტნეულის 99,2%, ციტრუსის 100%, თხილის 100%, ხორცის 100%, რძის – 100%, კვერცხის – 100% და ა.შ. (იხ. ცხრილი 1.2.2; 1.2.3).

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების  
სტრუქტურა ოჯახურ მეურნეობებში და სახელმწიფო სექტორში (2000-2003 წწ.)  
(ათასი ტონა)

ცხრილი 12.2.

№	დასახელება	2000				მათ შორის				2001				მათ შორის				2002				მათ შორის				2003				მათ შორის					
		საქლმწიფო სექტორი		ოჯახური მეურნეობები		საქლმწიფო სექტორი		ოჯახური მეურნეობები		წარმოება ოჯახური მეურნეობები		სახელმწიფო სექტორი		ოჯახური მეურნეობები		წარმოება		სახელმწიფო სექტორი		ოჯახური მეურნეობები		წარმოება		სახელმწიფო სექტორი		ოჯახური მეურნეობები		წარმოება		სახელმწიფო სექტორი		ოჯახური მეურნეობები			
		ათ.ტ.	%	ათ.ტ.	%	ათ.ტ.	%	ათ.ტ.	%	ათ.ტ.	%	ათ.ტ.	%	ათ.ტ.	%	ათ.ტ.	%	ათ.ტ.	%	ათ.ტ.	%	ათ.ტ.	%	ათ.ტ.	%	ათ.ტ.	%	ათ.ტ.	%	ათ.ტ.	%	ათ.ტ.	%		
1	სიმინე	295,9	11,8	4	288,6	270,3	94	18,3	6	400,1	385,1	96	15,0	4	461,9	448,1	97,0	13,8	3,0																
2	ლობი	420,5	395,9	94	25,2	6	10,0	10,0	100																										
3	კარტოფილი	302,0	299,0	99	3,0	1	422,2	371,5	88	50,7	12	415,3	366,1	88	49,2	12	425,2	420,9	99,0	4,25	1,0														
4	ბოსტნეული	354,2	350,7	99	3,5	1	396,0	375,2	95	20,8	5	405,9	378,8	93	27,1	7	430,1	421,5	98,0	8,6	2,0														
5	სუია	2,5	2,4	96	0,1	4	1,4	1,4	100																										
6	შუკუშხირა	2,6	2,1	81	0,5	9	41,8	40,4	93	1,4	3	21,2	19,8	93	1,4	7	22,8	21,5	94,2	0,7	0,3														
7	ბანჯეული	80,0	79,2	99	0,8	1	83,9	83,9	100																										
8	ხილი	250,0	247,5	99	2,5	1	200,0	199,5	99,7	0,5	0,3	172,6	172,2	99,8	0,4	0,2	260,0	254,8	98,0	15,2	2,0														
9	თხილი	14,2					11,4					13,9																							
10	ხურბი	210,0	207,9	99	2,1	1	150,0	132,3	88	17,7	12	90,0	89,9	99,9	0,1	0,1	200,0	194,0	97,0	6,0	3,0														
11	ციტრუსი	40,0	39,6	99	0,4	1	60,0	59,3	99	0,7	1	30,1	33,1	100																					
12	ჩაი	24,0	8,2	34	15,8	66	23,0	21,5	93	1,5	7	24,0	17,9	75	6,1	2,5	25,5	19,4	76,0	6,1	24,0														
13	ჩაქ	618,9	615,7	99,5	3,2	0,5	710,0	707,8	99,7	2,2	0,3	742,1	739,6	99,7	2,5	0,3	765,1	763,6	98,8	1,5	1,2														
14	კვერცხი შენკალი	361,4	357,2	98,8	4,2	0,2	395,4	385,3	97,4	10,1	2,6	408,8	370,0	90,5	38,8	9,5	458,1	391,3	85,4	66,8	14,6														
15	ხორცი	107,9	107,9	99,4	0,6	0,6	102,4	101,8	99,4	0,6	0,6	106,9	106,8	99,9	0,1	0,1	108,8	108,8	99,9	0,1	0,1														
16	თაფლი	1,4	1,4	100			1,7	1,7	100			1,8	1,8	100			1,9	1,9	100																
17	მაკალი	1,8	1,7	94,4	0,1	5,6	1,9					1,9	100				2,0	2,0	100																

<sup>1</sup> ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე

სამეგრელოს რეგიონში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების სტრუქტურა ოჯახურ მეურნეობებში და სახელმწიფო სექტორში<sup>1</sup>

ცხრილი 123.

№	დასახელება	2000				2001				2002				2003							
		ოჯახური მეურნეობები	სახელმწიფო სექტორი	მათ შორის	პროცენტები	ოჯახური მეურნეობები	სახელმწიფო სექტორი	მათ შორის	პროცენტები	ოჯახური მეურნეობები	სახელმწიფო სექტორი	მათ შორის	პროცენტები	ოჯახური მეურნეობები	სახელმწიფო სექტორი	მათ შორის	პროცენტები				
1	სომინდი	129,1	126,4	97,9	2,7	2,1	73,6	72,6	98,6	1,0	1,4	66,8	65,8	98,4	1,0	1,6	130,6	127,5	98,0	2,5	2,1
2	ღვინე	27,0	27,0	100	-	-	28,4	28,4	100	-	-	22,5	14,1	62,7	0,8	3,7	22,8	21,9	96,3	0,9	3,7
3	კარტოფილი	4,2	4,2	100	-	-	1,9	1,9	100	-	-	1,2	1,2	100	-	-	2,6	2,6	100	-	-
4	ბოსტნეული	8,5	8,4	99,9	0,1	0,1	8,8	8,8	100	-	-	8,2	8,2	99,1	7,5	0,9	11,0	10,9	99,2	0,1	0,8
5	ციტრუსი	13,4	13,3	99,5	0,1	0,5	3,5	3,5	98,8	-	-	1,1	1,1	100	-	-	14,8	14,8	100	-	-
6	თხილი	10,5	10,5	100	-	-	6,7	6,7	100	-	-	5,8	5,8	100	-	-	4,9	4,9	100	-	-
7	ხილი	90,0	90,0	100	-	-	9,3	9,3	100	-	-	15,4	15,4	100	-	-	39,6	39,6	100	-	-
8	ჟურბენი	15,0	15,0	100	-	-	2,0	2,0	100	-	-	1,8	1,8	100	-	-	7,8	7,8	100	-	-
9	ჩაი	12,5	12,5	100	-	-	11,4	11,4	100	-	-	9,3	9,3	100	-	-	9,6	9,6	100	-	-
10	სოიო	0,6	0,5	87,8	1,0	12,1	0,5	0,4	87,7	0,1	12,3	0,6	0,4	62,3	0,2	37,7	6,8	5,4	79,4	1,4	20,6
11	რძე	115,3	115,3	100	-	-	71,9	71,9	100	-	-	74,2	74,2	100	-	-	122,5	122,5	100	-	-
12	კმრეცხი	68,8	68,8	100	-	-	43,2	43,2	100	-	-	43,2	43,2	100	-	-	93,0	93,0	100	-	-
13	ხორცი	11,5	11,5	100	-	-	6,6	6,6	100	-	-	7,7	7,7	100	-	-	17,0	17,0	100	-	-
14	თაფლი	0,1	100	100	-	-	1,5	1,5	100	-	-	1,8	1,8	100	-	-	99	99	100	-	-

<sup>1</sup> ცხრილი მოთხოვნილია ხაზგარეშე-შ/საქმიანობის მხარის სტატისტიკის საშემართველს მიზანშეწინააღმდეგობა

საკვლევე რეგიონში წვეწს მიერ გამოკითხულ იქნა 2440 ოჯახი, მათ შორის ზუგდიდში - 600, აბაშაში-300, ჩხოროწყუში-200, ხენაკში-280, ლაღიწყისაში-240, მარტვილში-420, სობში-400 ოჯახი გამოკითხვის საფუძველზე დადგინდა, რომ სამეგრელოს რეგიონში ოჯახურ მეურნეობებში დასაქმებულია 6526 კაცი მათ საკუთრებაშია შემდეგი სახის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა ტრაქტორი-56 (3; მინიტრაქტორი-13; სატვირთო ავტომანქანა-37, გუთანო-72, სათესი-26, კულტივატორი-27; შესახსკრებელი და დასამტვრევი მოწყობილობა 368; საწვეელი აპარატი-1 ერთეული.

ზემით აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ოჯახურ მეურნეობათა საქმიანობა ძირითადად ხელით შრომასზე დამყარებული და სასოფლო სამეურნეო ტექნიკა მსოფლივ უმნიშვნელო რაოდენობითაა წარმოდგენილი მიუხედავად ამისა, მათი ხვედრითი წონა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში მნიშვნელოვანია.

თანამედროვე ეტაპზე, არა მარტო პრაქტიკაში, არამედ აგრარულ ეკონომიკურ მეცნიერებაშიც ჯერ კიდევ არ არსებობს საბოლოოდ განსაზღვრული გლეხური, ფერმერული მეურნეობების, როგორც სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ორგანიზაციის ერთ-ერთი ქვედაზე მასობრივი ფორმის არსი.

დღეს საქართველოში მეცნიერთა უმეტესობა არ ასხვავებს გლეხურ და ფერმერულ მეურნეობებს, რაც პირდაპირაა გადმოტანილი რუსულიდან. კერძოდ, საკანონმდებლო აქტებში თუ სპეციალურ ღიებურაქურაში, სადაც გლეხურ მეურნეობასზეა საუბარი, იქვე ფრჩხილებში ხასხელთა ხიცევა ფერმერულიც.

ოჯახური მეურნეობები აღრე ფეოდალიზმამდეც არსებობდა, მაგრამ ტიპური იყო ფეოდალიზმის ეპოქისათვის იგი, არსებითად ნატურალურ და ნასეკრად ნატურალურ მეურნეობად დარსა.

გლეხური (ფერმერული) მეურნეობები კვიან განხდა თავდაპირველად იმ ქვეყნებში, რომლებმაც ვეროპელთა კოლონიზაცია განიცადეს (ამერიკა, ავსტრია, ახალი ზელანდია და სხვ.), სადაც ფეოდალიზმი არ არსებობდა საერთოდ და აგრარული ურთიერთობები იმთავითვე განვითარდა კაპიტალ-

ლისტურ ურთიერთობებად ისტორიულად ეს გზა ხოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარების ამერიკულ გზად არის ცნობილი ასევე არსებობს კაპიტალიზმის ხოფლის მეურნეობაში განვითარების მეორე გზა-პრეხიული, რაც დამახასიათებელი იყო ევროპის ქვეყნებისათვის და კერძოდ, რუსეთის და საქართველოსათვისაც. იგი უშკალოდ ფეოდალური მეურნეობების ბაზაზე ჩამოყალიბდა და გადაიზარდა კაპიტალისტურში. მეურნეობის ამ ფორმებ შორის განსხვავება არსებობს მეურნეობის გაძღვლის კულტურაში, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების გამოყენების დონეებში, სასაქონლო პროდუქციის წარმოებისა და მეურნეობის ხიდდგენში, დაქირავებული მეშახელის რიცხოვნობისა და მის გამოყენების სასაითში და ა.შ ასევე ფერმერული მეურნეობები დამახასიათებელია განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნებისათვის, იგი ნატურალურ მეურნეობებად არ ყალიბდება, როგორც ეს დამახასიათებელია ოჯახური მეურნეობისათვის ამ უკანასკნელის ფორმირება ძირითადად საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურება და ბაზარზე გადის მხოლოდ ნაძეცი თანამედროვე ფერმერის ძირითადი მამოძრავებელი მოტივია წარმოება ბაზრისათვის მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით. ისინი მძლავრ ინტენსიტივად საფუძველს ემყარებიან. ამიტომ გლეხური (ფერმერული) მეურნეობა მსხვილი მაღალსაქონლური მეურნეობაა. ტრადიციულად, ნახევრად ნატურალური ოჯახური მეურნეობები შემდგომში, თუ ამის პირობები მომზადდება, აღბათ უნდა ჩამოყალიბდნენ ფერმერულ მეურნეობად.

როგორც ვხედავთ, ოჯახური მეურნეობა უმარტივესი წმინდა ნატურალური ან ნახევრადნატურალური ხაზის მეურნეობაა, ფერმერული მეურნეობა კი მაღალსაქონლური თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების ფართოდ გამოყენებას და მეურნეობის გაძღვლის მაღალ კულტურას ემყარება.

თუ ეს განსხვავება ვერ დაინახეთ, მაშინ ვერც იმ ღონისძიებებს დაგხსახავთ რაც აუცილებელია იმისათვის, რომ შემდგომში ოჯახური მეურნეობები ფერმერულში გადაიზარდონ.

ფერმერული მეურნეობის განსახლებრისათვის აუცილებელია შეს-

აბამისი კრიტიკურიუმების შემოღება. ჩვენი აზრით, ეს კრიტიკურიუმები უნდა იყოს შემდეგი შემოსავლების სიდიდე, ინტენსივიტეტის დონე, მიწის ფართობი, დასაქმებულთა რიცხვი და სხვა.

საქართველოში აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტას ართულებს სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის უქონლობა, პირველ რიგში კი აგლუხური (ფერმერული) მეურნეობების შესახებ საქართველოს კანონის მიღების გაჭიანურება „სახოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი თავის, მეოთხე მუხლის, პირველი პუნქტის თანახმად: „სააღვიღამაშელო (ფერმერულ) მეურნეობად ითვლება სახოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების, მასზე არსებული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, აგრეთვე შესაბამისი გადამამუშავებელ მრეწველობების ობიექტებისა და მოწყობილობების ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს სახოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველს“ (14.) ამ მუხლის მეოთხე პუნქტით სააღვიღამაშელო (ფერმერული) მეურნეობად, მიიხსევა მუბაღეობისა და მეზისტნეობის ამხანაღობათა სააღარაკო ნაკვეთი, თუ მისგან მიღებული შემოსავალი შეადგენს ოჯახის შემოსავლის ნახევარზე მეტს, ხოლო ამავე მუხლის შესამე პუნქტის თანახმად „სააღვიღამაშელო (ფერმერული) მეურნეობა შეიღლება არსებობდეს საკომლო (გღესური, ფერმერული) მეურნეობისა და სახოფლო-სამეურნეო თურიდიული პირის სასით“ [69, გვ4] ასეთი დეფინიცია საკმაო გაეგებრობას იწვევს, რადგან ამ ფორმულირებიდან გამომდინარე, არსებითი მნიშუნელობა აღარ აქვს გღესურ, ფერმერულ მეურნეობებს ოჯახურ ფერმერულ, გღესურ-ფერმერულ თუ სააღვიღამაშელო ფერმერულ მეურნეობას ვეწოდებთ

ფერმერული მეურნეობები გადამწვევტ როდს ასრუღებენ ეკონომიკაში. აშტში ფერმერული მეურნეობები შეადგენენ ფერმერის საერთო რაოდენობის 87%-ს, მათ ხარგებლობაშია სახოფლო-სამეურნეო ხავარგუღების 67% და მათზე მიღის რეაღიშებული პროდუქციის 59%, კარცხიორობის წიღად მიღის ფერმერის საერთო რაოდენობის 10%, ხავარგუღების - 17% და რეაღიშებული პროდუქციის - 17% სახოფლო-სამეურნეო კოოპერაციებში შეადგენენ მეურნეობათა მხოლოდ 3%-ს, ამუშავებენ ხავარგუღების 14%-ს


და იძლევიან რეალიზებული პროდუქციის 34%-ს

დღეს საკითრა იხეით ოჯახური მეურნეობები, რომელთა მთავარი დანიშნულებაა, არა მარტო საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, არამედ ბაზრისათვის პროდუქციის მიწოდებაც.

ცხადია, ოჯახურ მეურნეობებს ყოველმხრივ უნდა მსარდატერა, მაგრამ იგი ვერ განსაზღვრავს ქვეყნის მომავალს, მისი ადგილი თანდათანობით მძლავრმა ფერმერულმა მეურნეობებმა უნდა დაიკაონ.

საქართველოში დღეს გლეხური (ფერმერული) მეურნეობა არა მარტო მწარმოებელს, არამედ მომხმარებელსაც წარმოადგენს. ფერმერული მეურნეობის ამ ურთიერთდაკავშირებულ ფუნქციას შორის არსებობს უკუკავშირი


გლეხური (ფერმერული) მეურნეობა ასრულებს საწარმოო, ეკონომიკურ, სოციალურ, დემოგრაფიულ და სხვა ფუნქციებს ამ ტიპის მეურნეობებს გააჩნიათ განვითარების გარე და შიგა პირობები. შიგა გარემო ძირითადად



სქემა 1.2.1.

განისაზღვრება მეურნეობის რესურსებით (ბუნებრივი, ექსპნიკური, შრომითი) მისი საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე, გარე პირობები (სამართალი, ეკონომიკა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, ეკოლოგია) გააუღუნას ასდენს ფერმერული მეურნეობის განვითარების და მისი მიზნების შესაგან პირობებზე. ეს გააუღუნა ბაზრის მეშვეობით ხორციელდება (იხ. სქემა 1.2.2).

საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული ფერმერული მეურნეობა შესაბამისი მექანიზმის ჩამოყალიბებას მოითხოვს. რეფორმამდელი სასურსათო სფეროს ანალიზისა და დარგობრივი სტრუქტურის დღევანდელი მდგომარეობის შეფასების საფუძველზე შესაძლებელი ხდება ბაზრის რეკვალიბათა



სქემა 1.2.2.

შესწავლა (საშინაო და საგარეო ბაზრების გათვალისწინებით) და ფერმერული მეურნეობათა ადგილისა და როლის განსაზღვრა ბაზრის სტრუქტურაში. ამისთვის კი პირველ რიგში საჭიროა შევისწავლოთ სახელმწიფო და კერძო სექტორში ნედლეულისა და სურსათის წარმოების შესაძლებლობები.

2003 წელს სახელმწიფო სექტორში წარმოებული პროდუქციის მოცულობა 1990 წელთან შედარებით შემცირდა 95%-ით და ზოგჯერ მეტადაც კერძო სექტორში კი თითქმის გაორმაგდა ისეთი პროდუქციის წარმოება, როგორცაა მარცვლეული, ბოსტნეული, ხორცი, რძე და კვერცხი. ასეთი ზრდა ძირითადად პრივატიზაციის შედეგებითაა გამოწვეული. 1991 წელთან შედარებით მოსახლეობის საკუთრებაში გადასული მიწის ნაკვეთის ფართობი 3,5-ჯერ გაიზარდა და 1992 წლიდან დღემდე 145541 მიწათმოსარგებლზე საკუთრებაში გადაცემულია 93,2 ათასი ჰექტარი მიწის საერთო ფართობი, საიდანაც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა 91,3 ათასი ჰექტარი, ხოლო არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების კი 1,9 ათასი ჰექტარი.

მემცენარეობის დარგებში პროდუქციის წარმოების დინამიკის შესწავლამ გვიჩვენა, რომ მათი უმეტესი ნაწილი კერძო სექტორში იწარმოება.

2000 წლის მონაცემებით კერძო სექტორში იწარმოებოდა სიმინდის–97,9%  
2001 წელს–98,6%, 2002 წელს–98,4%, 2003 წელს–98,0% შესაბამისად  
თხილი–1000%, 100%, 100%, 100%, სოია–87,8%, 87,7%, 62,3%; 79,4%; კარტო-  
ფილი–100%, 100%, 100%, 100%; ბოსტნეული–99,7%, 99,9%. 100%, 100%;  
ხილი–100%, 100%, 100%, 100%, ყურძენი–100%, 100%, 100%, 100%; ლობიოს –  
100%, 100%, 62,7%; 96,3%; ციტრუსის –99,5%; 98,8%; 100%; 100%; (იხ. გვ. 34)

იგივე მდგომარეობა გვაქვს მეცხოველეობის დარგებში. ამ დარგებში  
სულადობის დინამიკის შესწავლამ გვიჩვენა, რომ მათი აბსოლუტურად უმე-  
ტესი ნაწილი კერძო სექტორშია თავმოყრილი. (იხ. ცხრილი 1.2.4; 1.2.5) მაგ.  
2000–2003 წლებში კერძო სექტორში იყო მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის,  
ღორის, ცხვრის და თხის სულადობის თითქმის 100%; ასევე ფრინველისა და  
ფუტკრის ოჯახის–100%; ხორცის, რძის, კვერცხის, თაფლის–100%.

როგორც მონაცემები გვიჩვენებს, სახელმწიფო სექტორში მეცხოველეობის  
პროდუქციის წარმოება საერთოდ არ ხდება.

საქართველოში ფერმერულ მეურნეობათა ფორმირება რამდენიმე  
მიმართულებით წარიმართა: 1. კერძო საკუთრებაში არსებულ მიწებზე; 2.  
არენდით აღებულ მიწებზე;

ფერმერულ მეურნეობათა პირველი ტიპი შეიძლება განვიხილოთ, როგორც  
სოფლის მცხოვრებთა მეურნეობა, რომელსაც არასასაქონლო სახე აქვს. ამ  
ტიპის მეურნეობებს კონკურენციას უწევს, არენდით აღებულ მიწებზე ფო-  
რმირებული მეურნეობები, რომელთათვისაც საქმიანობის მთავარი სფეროა  
სოფლის მეურნეობა და წარმოებაში დაბანდებული აქვთ საკუთარი მატ-  
ერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსები, ოჯახის შრომა.

ფერმერულ მეურნეობათა დასახელებული ორი ჯგუფი დიდად შრომატ-  
ევადია, ამდენად მათი განვითარება რეალური და ეფექტიანია. დასახელე-  
ბული ორი ჯგუფიდან პირველი ჯგუფი ძალზე წერილმასშტაბურია და  
შედარებით ნაკლებკონკურენტუნარიანია, მათი საქმიანობა ძირითადად  
ხელით შრომაზეა დამყარებული. სამეურნეო საქმიანობის შედეგების  
მიხედვით საბაზრო სიტუაციებს და პირობებს ყველაზე კარგად მეორე ჯგ-  
უფის ფერმერული მეურნეობები ეგუებიან, უფრო მეტიც, ისინი ახერხებენ

საქართველოში პირუტყვის სულადობისა და ფუტკრის ოჯახის რაოდენობის  
დინამიკა კერძო და სახელმწიფო სექტორში<sup>1</sup>

ცხრილი 12.4.

№	დასახელება	1998 წ						2000 წ						2001 წ						2002 წ						2003წ					
		კერძო სე- ქტორი		სახელმწიფო სექტორი		კერძო სე- ქტორი		სახელმწიფო სექტორი		კერძო სე- ქტორი		სახელმწიფო სექტორი		კერძო სე- ქტორი		სახელმწიფო სექტორი		კერძო სე- ქტორი		სახელმწიფო სექტორი		კერძო სე- ქტორი		სახელმწიფო სექტორი		კერძო სე- ქტორი		სახელმწიფო სექტორი			
		%	ათასი სულ	%	ათასი სულ	%	ათასი სულ	%	ათასი სულ	%	ათასი სულ	%	ათასი სულ	%	ათასი სულ	%	ათასი სულ	%	ათასი სულ	%	ათასი სულ	%	ათასი სულ	%	ათასი სულ	%	ათასი სულ	%	ათასი სულ		
1	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	98,5	1035,6	15,3	1,5	94	170,5	0,6	1175,0	9,6	5,2	0,4	1211,7	99,6	4,3	0,4	1239,0	99,7	3,5	0,3											
2	ღორი	99,2	362,9	3,0	0,8	99,8	442,6	0,2	445,2	99,9	0,2	0,1	445,9	99,9	0,2	0,1	473,1	99,8	0,7	0,2											
3	თხა და ცხვარი	82,4	542,2	44,5	7,6	95,5	599,8	4,5	633,5	96,1	25,7	3,9	675,6	96,6	23,9	3,4	699,6	96,9	22,4	3,1											
4	ფრინველი მლნ. ფრთა	98,7	8,1	0,1	0,3	98,7	7,7	0,1	8,4	98,8	104,4	1,2	8,4	94,5	485,2	5,5	8,6	91,5	0,6	8,5											
5	წიქტარი ათ. ოჯახი	91,8	68,6	6,1	8,2	95,9	90,4	3,8	104,6	99,7	0,3	0,3	117,6	99,7	0,3	0,3	120	96,7	0,4	2,3											

<sup>1</sup> ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე

პირუტყვის სულადობისა და ფუტკრის ოჯახების რაოდენობის დინამიკა  
სამეგრელოს რეგიონის კერძო სექტორში (1998-2003 წ.წ.)<sup>1</sup>

ცხრილი 12.5.

№	წლები დასახელება	1998 წ.	2000 წ.	2001 წ.	2002 წ.	2003 წ.
		ათასი სული	ათასი სული	ათასი სული	ათასი სული	ათასი სული
1	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	166,4	192,2	202,1	197,1	198,3
2	ღორი	108,0	129,4	134,3	131,9	136,8
3	თხა და ცხვარი	14,5	17,0	19,6	20,5	21,8
4	ფრინველი ათასი ფრთა	51,9	101,0	1919,5	2067,4	2140,1
5	ფუტკარი ათასი ოჯახი	5,9	8,7	11,8	13,3	14,1

<sup>1</sup> ცხრილი შედგენილია - სამეგრელო ზესეანეთის მხარის სტატისტიკის სამმართველოს მონაცემების საფუძველზე

საგარეო ბაზარზე გასვლასაც. შედარებით მაღალია მათი კონკურენტუნარიანობა, რადგან გამოიყენებენ მანქანურ შრომას.

დღეს სამეგრელოს რეგიონში იჯარით გაცემულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულის 12,2%, ხოლო კერძო საკუთრებაშია 24,6%. წარმოების წერილმასშტაბურობის მიუხედავად, კერძო სექტორი კულტურების მოსავლიანობის მაღალი დონით გამოირჩევა (ცხრილი 1.2.6).

ასე მაგალითად, 2003 წლის მონაცემებით სიმინდის მოსავლიანობა კერძო სექტორში 1,5 ცენტნერით მეტია ვიდრე არენდით აღებულ მიწებზე, კარტოფილის მოსავლიანობა კერძო სექტორში შედარებს 35,5 ცენტნერს, ხოლო არენდით აღებულ მიწებზე ეს მაჩვენებელი 32,1 ცენტნერია; მევნახობაში შესაბამისი მაჩვენებლები ერთი და იგივეა 36 ცენტნერი, ხოლო ამ კულტურების მოყვანას სახელმწიფო სექტორში ადგილი არა აქვს. თხილის მოსავლიანობა კერძო სექტორში არის 22, ხოლო არენდით აღებულ მიწებზე 21, სახელმწიფო სექტორში 14 ცენტნერი; ჩაის მოსავლიანობა არენდით აღებულ მიწებზე 33 ცენტნერია, ხოლო კერძო და სახელმწიფო სექტორში მისი წარმოება არ მიმდინარეობს.

შეიძლება ითქვას, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწის ყველა მესაკუთრე დღეს არ მისდევს ფერმერულ მეურნეობას. ჩვენს მიერ ჩატარებული ანკეტური გამოკითხვის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ სამეგრელოს რეგიონის 2440 ოჯახიდან პირველი ჯგუფის ფერმერები—27%-ს, მეორე—9,5%, ხოლო მესამე—4,9%-ს შეადგენენ. დანარჩენები ფლობენ 0,06-დან 0,22 ჰექტარამდე მიწის ფართობს, რაც არასაკმარისია სასაქონლო წარმოებისათვის.

აგრარულ სექტორში ეკონომიკის აღმავლობა დამოკიდებული იქნება არა მარტო კერძო სექტორის განვითარებაზე, არამედ არენდისა და კერძო სექტორის შეთანაწყობასა და სახელმწიფო სექტორის ამოქმედებაზე აღნიშნული სამი მიმართულების ოპტიმალურმა თანაფარდობამ უნდა განსაზღვროს საქართველოს საბაზრო აგროსამრეწველო ურთიერთობები. განვითარების ეს გზა უზრუნველყოფს ჯანსაღი კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებას, შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს, გამოიწვევს აგრარული სექტორის შემდგომ სტრუქტურულ ცვლილებებს, გააფართოებს

სასოფლო სამეურნეო კულტურების ფართობის, მოსავლისა და მოსავლიანობის მაჩვენებლები სექტორების მიხედვით სამეგრელოს რეგიონში 2003 წელს<sup>1</sup>.

ცხრილი 12.6.

№	დასახელება	კერძო სექტორი			იჯარა			სახელმწიფო სექტორი		
		ფართობი ჰა	მოსავალი ცენტნერი	მოსავლიანობა ც/ჰა	ფართობი ჰა	მოსავალი ცენტნერი	მოსავლიანობა ც/ჰა	ფართობი ჰა	მოსავალი ცენტნერი	მოსავლიანობა ც/ჰა
1	სიმინდი	44421	606937	13,7	4720	57584	12,2	-	-	-
2	ლობიო	216	734,4	3,4	-	-	-	-	-	-
3	კარტოფილი	352	12496	35,5	112	35252	32,1	-	-	-
4	სოიო	120	1320	11	800	8800	11	-	-	-
5	ჩაი	-	-	-	2818	93000	33	-	-	-
6	ვენახი	503	18108	36	58	2088	36	-	-	-
7	ხილი	-	212792	-	-	-	-	-	-	-
8	ციტრუსი	1070	62060	58	2160	46980	5,8	120	6600	55
9	თხილი	2094	46068	22	190	3990	21	175	2454	14

<sup>1</sup> ცხრილი შედგენილია სტატისტიკის რეგიონული სამმართველოსა და რაიონების სოფლის მეურნეობის სამმართველოების მიერ მოწოდებული მასალების საფუძველზე.

სამომხმარებლო სექტორს, გაზრდის საექსპორტო პოტენციალს.

### 13. აგრარულ სფეროში საბაზრო ურთიერთობათა ფორმირება- ფუნქციონირების სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობა

ეკონომიკური კრიზისის დაძლევისა და რეფორმების საფუძვლიანად გატარებისათვის აუცილებელია ეროვნული მეურნეობის სექტორული სისტემის სრულყოფა. საჭიროა გამოიყოს ისეთი სექტორები, რომელიც ქვეყნის ძლიერების საფუძვლად იქცევა. ერთ-ერთი ასეთი სექტორია აგრარული სექტორი, რომლის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია განვითარებული ქვეყნების გამოცდილების შესწავლა და მისი მორგება ჩვენი ქვეყნის კონკრეტული პირობებისათვის. მთელი რიგი თავისებურებების გამო, აგრარული სექტორი განვითარებული სახელმწიფოების მიერ საკმაოდ მკაცრად რეგულირდება.

„მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ აუცილებელია ეროვნული მეურნეობის განვითარებაში სახელმწიფოებრივი რეგულირება. მან უნდა უზრუნველყოს, როგორც პროდუქციის მწარმოებელთა, ისე მომხმარებელთა ინტერესების დაცვა, ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის საიმედო ეკონომიკური და სოციალური პირობების შექმნა, ბუნებრივ-მატერიალური და შრომითი რესურსების სრულად და ეფექტიანად გამოყენება“ [15, გვ.219].

გარდამავალ პერიოდში ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებამ უნდა უზრუნველყოს, როგორც ეკონომიკური პროცესების რეგულირების ფუნქცია, ასევე სისტემათშემქმნელი ფაქტორების როლიც. ე.ი. უნდა ჩამოყალიბდეს ისეთი ეკონომიკური სისტემა, რომელიც განვითარებული ქვეყნების გამოცდილებით შექმნილი უარყოფითი მხარეებისაგან იქნება განთავისუფლებული. ამ ფუნქციას სრულყოფილად თანამედროვე პირობებში საბაზრო მექანიზმი ვერ შეასრულებს. საჭიროა ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების სრულიად ახალი გააზრება. სწორედ ამის გამო სახელმწიფო რეგულირება გახდა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გადამწყვეტი პირობა.

ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოიყოფა ეკონომიკის სახელმწიფო-ებრივი რეგულირების ერთმანეთთან დაკავშირებული სხვადასხვა მიზანი: ეკონომიკის სტაბილური ზრდა; დასაქმების მაღალი დონე; მყარი ფასები; საგარეო ეკონომიკური წონასწორობა; თითოეული დასახელებული მიზანი ერთმანეთთან უშუალო კავშირშია.

პროფ. ლ. ჩიქავა ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ძირითად მიზნად მიიჩნევს: „საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების გარდაუვალი ნეგატიური შედეგების შერბილებას და მათი უარყოფითი მოქმედების მინიმუმამდე დაყვანას, საბაზრო ეკონომიკის რაციონალური ფუნქციონირებისათვის სათანადო წინამძღვრების შექმნას, საზოგადოების არაშრომისუნარიანი და მძიმე ეკონომიკურ პირობებში მყოფი ფენების დაცვას“ [91, გვ.86].

განასხვავებენ ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ობიექტებს. ასეთი ობიექტებია: პირობები, პროცესები, ურთიერთობები, ეკონომიკის სექტორები, რომლებიც არააღამაკმაყოფილებლად ფუნქციონირებენ. ტრადიციულად ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მრავალრიცხოვანი ობიექტებიდან გამოყოფენ შემდეგს: ეკონომიკური ციკლი, სამეურნეო კონიუქტურა, კაპიტალის დაგროვება, ფულის მიმოქცევა, დასაქმება, კონკურენციის პირობები, ფასები, სამეცნიერო ტექნიკური პროგრესი, კადრების მომზადება, საგადასახადო ბალანსი, სოციალური ურთიერთობები, გარემოს დაცვა და ა.შ.

სახელმწიფო რეგულირების საკითხი აგრარული სექტორის საქმიანობაში ყოველთვის იყო სახელმწიფოს ყურადღების ცენტრში. მის ამოცანებს აგრარულ სექტორში წარმოადგენს:

1. აგროსამრეწველო წარმოების სტაბილიზაცია და განვითარება;
2. მოსახლეობის სასურსათო პროდუქციით უზრუნველყოფის გაუმჯობესება;
3. ეკონომიკური პარიტეტის მხარდაჭერა;
4. აგრარულ სექტორში და მრეწველობაში მომუშავეთა შემოსავლების დონის დაახლოება;

5. სამამულო საქონელწარმოების დაცვა ადგილობრივ ბაზარზე.

სახელმწიფო რეგულირების ძირითად მიმართულებებს აგრარულ სექტორში წარმოადგენენ:

1. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, ნედლეულის და სურსათის ბაზრის ფორმირება და ფუნქციონირება;

2. დაფინანსება, დაკრედიტება, დაზღვევა, შეღავათიანი საგადასახადო სისტემა;

3. შიდაეკონომიკური საქმიანობის წარმართვისათვის სამამულო საქონელწარმოების ინტერესების დაცვა;

4. მეცნიერების განვითარება და სამეცნიერო საქმიანობის განხორციელება;

5. სოფლის სოციალური სფეროს განვითარება.

ისევე, როგორც ეკონომიკის სხვა სფეროში, აგრარულ სექტორშიც რეფორმების რთული და მრავალმხრივი პროცესები მიმდინარეობენ.

აგრარული რეფორმის წარმატება დამოკიდებულია ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ სიტუაციაზე, სამწუხაროდ იგი საქართველოში არ იყო ხელსაყრელი რამაც ხელი შეუშალა რეფორმების მსვლელობას.

განვითარების დაბალი დონის მიუხედავად საქართველოს ეროვნულ მეურნეობაში აგრარულ სექტორს წამყვანი ადგილი უკავია. ამ დარგში იწარმოება საქართველოს შიდა პროდუქტის 13 პროცენტზე მეტი და დასაქმებულია მატერიალური წარმოების მუშაკთა ნახევარზე მეტი. აღნიშნულ სფეროში იქმნება ქვეყნის მთლიანი სასურსათო რესურსების 97-98 პროცენტი და მის ბაზაზე ფორმირდება სახალხო მოხმარების საქონლის ფონდის სამი მეოთხედი.

ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების დროს უნდა გავითვალისწინოთ ის ნაკლოვანებები და თავისებურებები, რომლებიც დამახასიათებელია აგრარული სექტორისათვის, კერძოდ:

- ეროვნული მეურნეობის სხვა დარგებთან დამყარებული ეკონომიკური კავშირების გარკვეულად ჩაკეტილი სისტემა, რაც დარგობრივი სპეციალიზაციის ჩარჩოებს არ სცილდება;

- რეფორმის პერიოდში ვერ ამუშავდა დარგთაშორისი და შიდადარგობრივი ეკონომიკური კავშირები, რის გამოც ქვეყანაში გაჩერდა რეგიონულ პროდუქტთა ქვეკომპლექსის მუშაობა.

- აუცილებელია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დროული დანერგვა და სოფლის ინფრასტრუქტურის განმტკიცება, რაც აუცილებელია აგრარულ სექტორში ეფექტიანი კვლავწარმოების პირობების შესაქმნელად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო აგრარული სექტორი ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას სასურსათო პროდუქტებით.

2003 წელს მოსახლეობის ერთ სულზე მოხმარებულ იქნა მხოლოდ 19,8 კგ. ხორცი, მაშინ, როდესაც ადამიანმა რეკომენდირებული ნორმით აუცილებლად უნდა მოიხმაროს 63 კგ. ხორცი, რძე და რძის პროდუქტების შესაბამისი მაჩვენებლებია 213,5 და 293 კგ, კვერცხის—129,2 (ცალობით) და 210, თევზისა და თევზის პროდუქტების—1,2 და 10,2 კგ. შაქრის—21,2 და 32 კგ, მცენარეული ზეთის—8,0 და 9 კგ, კარტოფილის—48,5 და 61 კგ, ბოსტნეულისა და ბალჩეულის (ერთად) 5,19 და 135 კგ, ხილის—51,3 და 90 კგ, პურის და პურის პროდუქტების—180,3 და 140 კგ.

თითქმის ყველა სახის პროდუქტების (გარდა პურისა და პურპროდუქტების) მწვავე დეფიციტია მოხმარებაში. ეს იმაზე მიუთითებს, რომ სასურსათო დანაკლისი კვების ულუფაში ივსება ნაკლებად ყუათიანი პროდუქტებით, კერძოდ პურით, რაც არასასურველია. ქვეყანაში მკვეთრად არის შემცირებული პროდუქტების მოხმარების დონე, გაუარესდა მისი სტრუქტურა, რაც ადამიანის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის.

სამომხმარებლო კალათის ამჟამად არსებულ სტრუქტურაში სურსათის ხვედრითი წონა 70%-ს აღემატება, მეცნიერულად დასაბუთებული ნორმით კი—30%-ს არ უნდა აღემატებოდეს.

ქვეყნის აგრარულმა პოლიტიკამ აგრარული სექტორის დაგეგმვისა და მართვისას უნდა გაითვალისწინოს ამ სექტორში ჩამოყალიბებული თვისებრივად ახალი და თანაც მძიმე ვითარება. ამ თვალსაზრისით ეკონომიკური

პოლიტიკის ახალი კურსის უმნიშვნელოვანეს ამოცანად უახლოესი პერიოდისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია ისეთი ღონისძიებების განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს სასურსათო კომპლექსის ფუნქციონირებისათვის მინიმალურ პირობებს მაინც.

საქართველო ღრმა კრიზისს განიცდის, აგრარული კრიზისი მარტო-ოდენ სასურსათო პრობლემის გამწვავება როდია, მისი არსი უფრო ღრმაა და მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს, ეკონომიკას, სოციალურ სფეროს, პოლიტიკას და ა.შ. კრიზისიდან თავის დაღწევისათვის აუცილებელია რადიკალური აგრარული რეფორმების სწორად გატარება.

აგრარული პოლიტიკის სწორი კურსის გატარებით უნდა ავამოქმედოთ ეკონომიკური ზრდის ისეთი ბერკეტები, როგორიცაა: მიწა, კაპიტალი, შრომა, მეწარმეობა და სახელმწიფოს მართვა. სამწუხაროდ ჩვენს ქვეყანაში აგრარული პოლიტიკა არასწორი კურსით წარიმართა და არ მოხდა ზემოთ დასახელებული ბერკეტების კომპლექსურად ამოქმედება.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელად საჭიროა პოლიტიკური და სოციალური გარემოს შექმნა. ეს სახელმწიფოს უმთავრესი ფუნქციაა და მთელი პასუხისმგებლობა მან უნდა იკისროს. სწორი აგრარული პოლიტიკის კურსის გატარებით შესაძლებელია მოკლე დროში წარმატებუ-ბის მიღწევა, რომლის მაგალითია იაპონია, ჩინეთი, ჩრდილოეთ კორეა, პოლონეთი, ისრაელი, პოლანდია, რომლებმაც ამ გზით მიაღწიეს წარმატებუ-ბს მოკლე დროში.

დღეს საკვებით ნათელია, რომ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში საკუთრებითი ურთიერთობების გარდაქმნის, მეურნეობრიობის სხვადასხვა ფორმის ფუნქციონირების უზრუნველმყოფელი ეკონომიკური და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის შექმნის, სასოფლო-სამეურნეო საქონელმწარმოებლისათვის სახელმწიფოს მხრიდან დახმარების აღმოჩენის გარეშე სიტუაცია აგრარულ სექტორში კი არ გაუმჯობესდება, არამედ პირიქით, კატასტროფული აღმოჩნდება. სახელმწიფოს პრიორიტეტული ინტე-რესი მთლიანად უნდა შეიცვალოს მეწარმის პრიორიტეტული ინტერესის სასარგებლოდ, რაც ჩვენთან დღემდე არ მომხდარა. ფერმერებს უნდა შე-

ექმნას რეგულარულ ბაზარზე გასასვლელი პირობები. ამისათვის საჭიროა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს შეეუქმნათ თავისუფალი საქონელმწარმოებლის რეალური პირობები, პირველ რიგში, კერძო საკუთრებით ურთიერთობაზე დამყარებული წარმოება და პროდუქციის თავისუფალი ვაჭრობა. იგი უნდა ემყარებოდეს სწორ საგადასახადო, საკრედიტო, საფინანსო და სადაზღვევო პოლიტიკის გატარებას, მეორე, საჭიროა თავისუფალი ფასწარმოქმნის პრინციპების სრულად გამოყენება, საწარმოების კონკურენცია და პროდუქციის კონკურენტუნარიანობა. სწორედ ცუდი საკრედიტო, საფინანსო და სადაზღვევო პოლიტიკა გახდა საქართველოში მეწარმეობის განუვითარებლობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი დღეისათვის ქვეყანაში არ არსებობს სოფლად ნამდვილი მეწარმე, რომელიც მუშაობს თანამედროვე აგრობიზნესის შესაბამისად. თუ მომავალში ასე გაგრძელდება ვერ შეიქმნება პროდუქციის წარმოების გადიდებისათვის ხელსაყრელი გარემო პირობები.

ბაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების პირველ ეტაპზე აშკარა იყო პროცესების სტიქიურად განვითარების ტენდენცია, რაც განსაკუთრებით მწვავედ აისახა ეკონომიკის ისეთ ტრადიციულ სფეროში, როგორცაა აგრარული სექტორი.

აგრარული რეფორმა ყველა ქვეყანაში განსხვავებულად მიმდინარეობდა, გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს. აქ შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე თავისებურება. კერძოდ, მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა საკუთრებით ურთიერთობებში. მიწის პრივატიზაციის შედეგები 2003 წლის 1 აპრილის მდგომარეობით ასეთია: სულ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულები შეადგენს 3022,7 ათას ჰექტარს. (მათ შორის პრივატიზირებულია 763,0 ათასი ჰექტარი, ანუ 25,2%), სახნავი ფართობი სულ შეადგენს 795,3 ათას ჰექტარს (მათ შორის პრივატიზირებულია 436,6 ათასი, ანუ 54,9%), საძოვარი – 1797,2 ათასი ჰექტარი (მათ შორის პრივატიზირებულია 83,6 ათასი, ანუ 4,7%), მრავალწლიანი ნარგავები 767,9 ათასი ჰექტარი (მათ შორის პრივატიზირებულია 181,1 ათასი ჰექტარი, ანუ 67,6%).

განსაკუთრებული საქმიანობისათვის გამოყენებულ გაუნაწილებელ

მიწებს და იმ მიწებს, რომლებიც მათი დაბალი ნაყოფიერების გამო ფაქტობრივად დღეს არ არსებობენ, უჭირავთ სავარგულების საერთო მოცულობაში 48,3%, სახნავი ფართობის 12,4%, მრავალწლიანი ნარგავების 21,9%, სათიბის 45,8%, საძოვრის 68,4%.

სამეგრელოს რეგიონის სასოფლო-სამეურნეო სავარგულები შეადგენს 270 ათას ჰექტარს ანუ 31,1%. (მათ შორის პრივატიზირებულია 91,3 ათასი ჰექტარი ანუ 33,9%). მრავალწლიანი ნარგავები – 39,2 ათასი ჰექტარი ანუ სავარგულების 14,5% (მათ შორის პრივატიზირებულია 16,7 ათასი ჰექტარი ანუ 18,3%). სოფლის მეურნეობაში იჯარით აღებულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 45,256 ჰექტარი ანუ 16,7%, სახნავის 8677 ჰექტარი ანუ 3,2%, მრავალწლიანი ნარგავების 10,840 ჰექტარი ანუ 4,0%, სათიბის 17 ჰექტარი ანუ 6,2%, საძოვრის დაახლოებით 24 ათასი ჰექტარი. სხვა სავარგულები 1375 ჰექტარს შეადგენენ.

რეფორმის წესით მიწების გაცემის და სარგებლობაში იჯარით გადაცემის შემდეგ სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილია 133,4 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა. მათ შორის სახნავი – 7,8 ათასი ჰექტარი, მრავალწლიანი ნარგავები – 11,6 ათასი ჰექტარი, სახნავი და სათიბი მიწები – 1,8 ათასი ჰექტარი, ხოლო საძოვრები – 112,2 ათასი ჰექტარი.

აქედან ჩანს, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწების თითქმის ნახევარს პრივატიზაცია არ შეხებიათ და გამოირჩევიან დაბალი ნაყოფიერებით.

აღსანიშნავია, რომ მიწის პრივატიზაციის შედეგად საშუალოდ ერთ კომლზე მიწის საერთო ფართობი გაიზარდა. მაგალითად, საქართველოში თუ 1990 წელს იყო 0,26 ჰექტარი, 2003 წელს მან შეადგინა 0,9 ჰექტარი, ხოლო სამეგრელოს რეგიონში ეს მაჩვენებლები შესაბამისად იყო 0,3 და 0,7 ჰექტარი.

საკუთრების ფორმების თვალსაზრისით მეცხოველეობაში ჩამოყალიბდა კერძო საკუთრების აშკარად გაბატონებული მდგომარეობა. მაგალითად, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობის 97,6%, ძროხების –

თითქმის 100% ღორის – 88,9% თხა და ცხვრის – 99%, ფრინველის – 99,3%,  
კერძო მფლობელობაშია.

სამეგრელოს რეგიონში კერძო მფლობელობაშია მეცხოველეობის  
თითქმის 100%.

აქედან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ კერძო სექტორი იძლევა  
ქვეყანაში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 90%-ზე მეტს.

ამრიგად, აგრარულ სექტორში პრივატიზაციის შედეგად ადგილი  
ქონდა მსხვილი წარმოების შეცვლას წვრილით. დაქუცმაცდა მატერიალურ-  
ტექნიკური ბაზა. დაირღვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების  
ტექნოლოგიური, ეკონომიკური და ორგანიზაციული ერთიანობა.

სახელმწიფოს აგრარული პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთი  
უარყოფითი შედეგია ის, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების (კოლ-  
მეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მსხვილი სამეურნეობათაშორისო  
გაერთიანებების, სამრეწველო საწარმოების, კონცერნებისა და სხვა)  
სიმძლავრეების დაქუცმაცებით აგრარული სექტორის საწარმოო პოტ-  
ენციალი მკვეთრად დაეცა, ეკონომიკური კრიზისი უფრო გაძლიერდა,  
სახელმწიფომ დაკარგა აგრარული სექტორის მართვის შესაძლებლობა.  
გაუარესდა ფინანსური მდგომარეობა, რამაც გამოიწვია ორგანიზაციულ-  
მმართველობითი სტრუქტურის პარალიზება. მოხდა მოთხოვნა-მიწოდების  
მექანიზმის დეფორმირება, რასაც მოჰყვა სოფლის მეურნეობის და მრეწველ-  
ობის პროდუქტებზე ფასების დისპარიტეტის გაძლიერება. უცხოეთის  
პროდუქციის ინტერვენციით საშინაო ბაზრიდან ადგილობრივი მწარმოებელი  
განიდევნა, მოიშალა სამეურნეო კავშირები, კოოპერაციამ და ინტეგრაციამ  
ფუნქციები დაკარგეს. ყოველივე ამან გამოიწვია ის, რომ აგრარული  
სექტორიდან შემოსავლები ძირითადად იმ დარგებში გადავიდა, რომლებიც  
მას ძირითადად ენერგო რესურსებს აწვდიდა, ასევე მოხდა მომსახურების  
სფეროშიც, საფინანსო კაპიტალში, კომერციულ სტრუქტურაში. ე.ი. ადგილი  
ქონდა ფინანსების სხვა დარგების სასარგებლოდ განაწილებას. ყოველივე  
ამან გამოიწვია აგრარული პოტენციალის მკვეთრი დაცემა.

დაცემა მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობა. ე.ი. სასურსათო

პროდუქციის მიწოდება უსწრებს მოსახლეობის მსყიდველობითუნარიან მოთხოვნას. ეს განპირობებული იყო რამდენიმე მიზეზით, რომელშიც ერთ-ერთი ხელოვნურად დათრგუნეაა (ბიუჯეტის გასაველის ნაწილის შეუსრულებლობა, არგადახდების ზრდა, ფულის ფასის მკაცრი რეგულირება და ა.შ.). აგრეთვე, სახელმწიფომ შეწყვიტა სოფლის მეურნეობის ფინანსური მხარდაჭერა. გარეგნულად ჩანს, რომ ბაზარი გაჯერებულია სასურსათო პროდუქტებით, მაგრამ ეს წარმოების ზრდის შედეგი არ არის, იგი განპირობებულია მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანი მოთხოვნის მეტად დაბალი დონით.

2000 წლის მდგომარეობით საქართველოს აგრარულ სექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიურმა შემოსავალმა 106,9 ლარი შეადგინა, მაშინ როცა ამ პერიოდში საარსებო მინიმუმის ოფიციალური დონე იყო 114,5 ლარი. ერთი შინამეურნეობის საშუალო თვიური ხარჯების სტრუქტურაში სურსათზე მოდიოდა 69,9 ლარი, სამედიცინო მომსახურებაზე 9,0 ლარი, განათლებაზე 4,0 ლარი, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან მიღებულმა შემოსავალმა მთელი შემოსავლის 94,4% შეადგინა, თვითდასაქმებიდან -5,6%. (აგრარულ სექტორში თვითდასაქმებულია 911,2 ათას კაცი).

მთლიანად შეიცვალა სოფლის სოციალური ინფრასტრუქტურა. სოციალური დანიშნულების ობიექტების დიდი ნაწილი მწყობრიდან გამოვიდა. სოფლად საბავშვო ბაღები, ბიბლიოთეკები, საუბნო-სამედიცინო პუნქტები ფაქტობრივად არ ფუნქციონირებენ, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სუსტია. ადრინდელი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბაღანსზე არსებული სოციალური ობიექტები საკრებულოებს გადაეცათ. ისინი კი სახსრების უქონლობის გამო მათ ამუშავებას ვერ ახერხებენ. სოფლად შეწყვეტილია საგზაო მშენებლობა, ელექტროენერგიით უზრუნველყოფის სამუშაოები, მოიშალა საინჟინრო ინფრასტრუქტურა.

ისევე, როგორც მთლიანად საქართველოში, სამეგრელოს რეგიონში საგრძნობლად დაეცა მიწის ნაყოფიერება. 2002 წლის 1 აპრილის მდგომარეობით დაჭაობებული, ეროზირებული და დამეწყერებული მიწების საერთო

ფართობი 8,3 ათას ჰექტარს აღწევს. ამასთანავე ქვეყანაში შექმნილი მიძიმე ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე, სამედიკალინური ღონისძიებების დაუფინანსებლობის გამო, სავარგულების მნიშვნელოვანი ნაწილი განიცდის მეორად დაჭაობებას, რაც აქვეითებს მიწის ნაყოფიერებას, დიდი ზიანი მოაქვს ქარსაფარი ზოლების უსისტემო ჭრას, დაცვითი ტყის საფარის განადგურებით კიდევ უფრო ძლიერდება ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიის საშიში შემოქმედება დიდი მოცულობის სავარგულების მასივებზე.

როგორც ვხედავთ აგრარული სექტორი კრიზისულ მდგომარეობაში იმყოფება და მისი კრიზისიდან გამოყვანისათვის საჭიროა დღევანდელი აგრარული პოლიტიკის ძირითადი პრინციპების გადასინჯვა და ჩამოყალიბდეს სახელმწიფოებრივი რეგულირებისა და აგრარული სექტორისათვის ფინანსური მხარდაჭერის, კონკრეტული, მიზნობრივი ღონისძიებანი.

საქართველოს აგრარულ სექტორში საბაზრო სტრუქტურების ფორმირება საზღვარგარეთიდან მიღებული მზა რეცეპტების საფუძველზე არ უნდა წარიმართოს. მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს გლეხური და ფერმერული მეურნეობების განვითარებას ისეთი ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით, როგორცაა: გადასახადები, ფასები, მიზნობრივი სახელმწიფო სუბსიდიები მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად და სხვა. მხარი უნდა დაუჭიროს სოფლად ყველა საქონელმწარმოებელს. მანვე უნდა არეგულიროს სურსათის წარმოება, პროდუქტების ხარისხი, უმუშევრობა და ხელი შეუწყოს მარკეტინგის განვითარებას.

მთავრობის მხრიდან სასოფლო-სამეურნეო წარმოების მხარდამჭერი მიმართულებები უნდა იყოს:

1. სასოფლო-სამეურნეო საქონლის ფასებზე სტაბილურობა;
2. ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურის დეფიციტისა და ჭარბწარმოების კონტროლი;
3. ექსპორტის განვითარება;
4. ქვეყნის მოსახლეობის სრული უზრუნველყოფა სურსათით;

გადასახადების დაწესების პრაქტიკა სხვადასხვა ქვეყანაში საგრძნობლად განსხვავებულია, მაგრამ მათთვის საერთოა მასტიმულირებელი

როლი, რომლის საფუძველი არის საერთო შემოსავალი ან მოგება.

აგრარული რეფორმის წარმატება და საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრება ბევრადაა დამოკიდებული საკრედიტო, საფინანსო, სადაზღვევო პოლიტიკასა და სუბსიდირებაზე, სახელმწიფომ ამით ვერ შექმნა მარეგულირებელი მექანიზმი და ეფექტიანად ვერ გამოიყენა ვერც ერთი ეკონომიკური ბერკეტი.

ყოფილი საბჭოთა კავშირის პირობებში საქართველოს ცენტრალიზებული წესით ყოველწლიურად გამოეყოფოდა – 280 ათასი ტონა ღისეულის საწვავი, 250 ათასი ტონა ბენზინი, 3000 ცალი ტრაქტორი და ამდენივე სატვირთო ავტომობილი, 1000-მდე კომბაინი, ათასობით (ტონობით) მინერალური სასუქები, ჰერბიციდები, პესტიციდები, სხვადასხვა სათადარიგო მასალები და მილიონობით კილოვატის ელექტროენერგია მოიხმარებოდა. ახლა სახელმწიფო სტრუქტურების მიერ არ ხდება სოფლის მატერიალურ-ტექნიკური მომსახურება, არც მატერიალურ-ტექნიკური ბაზაა შექმნილი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოციალური ინფრასტრუქტურა ძალიან დაბალ დონეზეა, აგროსერვისში დღესდღეობით გვაქვს უაღრესად მონოპოლიზებული სტრუქტურა, რომელიც მთლიანად გამორიცხავს კონკურენციას.

ქვეყანაში ადგილი აქვს ღარიბთა ფენების ზრდას, რაც ასკის სისტემაში სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების ცუდი ორგანიზაციის შედეგია. ეს საკითხი უნდა დაარეგულიროს სახელმწიფოს მიერ გატარებულმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა რეფორმებმა. ანკეტური გამოკითხვის თანახმად (ჩვენ გამოკითხეთ, ზუგდიდის რაიონი) სოფლის მოსახლეობის 90 პროცენტს სურს დაიწყოს მეწარმეობა, მაგრამ ვერ ახერხებს. ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ მცირე გლეხურ მეწარმეობას ფინანსურად ვერ ეხმარება სახელმწიფო. პირველ რიგში საჭიროა ხელი შეუწყოს მცირე ბიზნესის განვითარებას, შემდგომ იგი სახელმწიფოს მხარდაჭერით გადაიზრდება საშუალო და დიდ ბიზნესში.

## თ ა გ ი 2. აგრობიზნესი—ფორმირება და მართვა. მარკეტინგის როლი აგრობიზნესში

### 2.1. სახელმწიფოს როლი აგრობიზნესის ფორმირებასა და ფუნქციონირებაში

აგრარული სექტორის განვითარებამ ნიადაგი მოამზადა აგრარული წარმოების უმაღლესი ეტაპის-აგრობიზნესის წარმოშობისათვის. ტერმინი „აგრობიზნესი“ პირველად გამოყენებულ იქნა აშშ ჯონ დევისის მიერ 1955 წელს ერთ-ერთ მის საგაზეთო სტატიაში. ამავე წელს ბოსტონში მან გამოსცა წიგნი „აგრობიზნესის კონცეფცია“, სადაც რ.ა. გოლდბერგთან ერთად მოგვცა აგრობიზნესის არსის პირველი მეცნიერული განმარტება. ეს განმარტება ასეთი იყო: აგრობიზნესი წარმოადგენს ყველა სახის ოპერაციების ჯამს წარმოებასა და მომსახურებაზე სოფლის მეურნეობის მომარაგების სფეროში; საწარმოო ოპერაციებს ფერმებში; სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის და მოხმარების საგნების შენახვას, გადამუშავებას და განაწილებას“ [120, გვ.14]. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ განმარტებას სქემატური ხასიათი ჰქონდა. მოგვიანებით თვით გოლდბერგიც აღნიშნავდა, რომ წიგნში „აგრობიზნესის კონცეფცია“ ავტორებმა მხოლოდ და მხოლოდ აღწერეს აშშ აგრობიზნესის განვითარების ალტერნატიული მიმართულებები. [120, გვ.5]

აგრობიზნესის შედარებით კონკრეტული განმარტება მოგვცა უებსტერმა. მისი აზრით, აგრობიზნესი ეს არის ფერმების, სამრეწველო საწარმოთა და სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობებით და სამრეწველო დანიშნულების საგნებით მომარაგების საწარმოო ოპერაციათა გაერთიანება; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავება და შენახვა; აგრეთვე მათი საშუალებებით ვაჭრობა [161, გვ.18].

ზემოთ აღნიშნულ განმარტებაში ნაჩვენებია აგრობიზნესის არსის მხოლოდ ორგანიზაციული მხარე. კერძოდ, განმარტებაში უკვე თვალნათლივაა გამოკვეთილი სოფლის მეურნეობის, წარმოების საშუალებათა მწარმოებელი მრეწველობის დარგების, ვაჭრობის და მომსახურების სფეროს ფუნქციონალური კავშირები, თუმცა ამასთან ერთად აუცილებელია

აგრობიზნესის ეკონომიკური პროცესების მიზნის ჩამოყალიბება, მისი გამოვლენის ფორმებისა და მეთოდების ასახვაც.

როგორც ჩანს ტერმინი „აგრობიზნესი“ იმ ეკონომიკური მოვლენების ერთობლიობას გამოხატავს, რომელიც აგროსამრეწველო კომპლექსის არსშია მოცემული.

აგრობიზნესის ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების არსებობაა საჭირო. პირველ ყოვლისა, აუცილებელია არსებობდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა იმ დარგებისათვის, რომლებიც სურსათს აწარმოებენ. დასაწყისისათვის შესაძლებელია ამ პირობების დაცვით დაიწყოს სოფლის მეურნეობის ინტეგრაცია მრეწველობის და ვაჭრობის დარგებთან. შემდეგ ეკონომიკური და პორიზონტალური კავშირებით გაძლიერება უზრუნველყოფს აგრობიზნესის ყველა სფეროს საქმიანობის გაფართოებას.

აგრობიზნესის თანამედროვე სასაქონლო სისტემა ეკონომიკური სტიქიური ძალების მოქმედების შედეგად ჩამოყალიბდა. თავდაპირველად აგრობიზნესში სახელმწიფო რეგულირების და პროტექციონიზმის პრობლემები აგროსამრეწველო კომპლექსის მხოლოდ ცალკეულ სფეროებსა და დარგებს შეეხებოდა. აგრობიზნესის სტიქიური ფორმირება მიმდინარეობდა სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების თავისებურებათა გათვალისწინებით, პროდუქციის გადამუშავების მიზანშეწონილობის შესაბამისად, მსოფლიო ბაზარზე კვების პროდუქტების გატანის, მისი ტრანსპორტირების, შენახვისა და ა.შ. პირობების მიხედვით.

ინტეგრაციის პირველი საფეხურის ფორმირების შემდეგ დღის წესრიგში დადგა აგრობიზნესში მხარეთა თანამშრომლობის პრობლემა. მთავარი იყო აგრობიზნესის საერთო მიზნებთან შეთანხმებულიყო თანამშრომელთა კერძო ინტერესები. ასეთი შეთანხმების ძირითადი პრინციპი პირველად მეცნიერ რ. გოლდბერგის მიერ განისაზღვრა. მეცნიერის აზრით აგრობიზნესი ე.წ. „საერთო მიზნები“ სწორად იქნება განსაზღვრული, თუ მასში მონაწილე მხარეები ერთგვარად შეაფასებენ სასაქონლო სისტემის კომპონენტების ურთიერთდამოკიდებულების არსს, ამ „საერთო მიზნის“ მიღწევის არსებულ და პოტენციურ გზებსა და საშუალებ-

ებს [120, გვ 13]. ამასთან მთავრობისა და ბიზნესმენების წინაშე დაისვა საკითხი შექმნილიყო სხვადასხვა სახის დაწესებულებები და ინსტიტუტები, რომლებიც დააკავშირებდნენ ერთმანეთთან სასაქონლო სისტემის ცალკეულ სტადიებს.

მაშასადამე, შეიქმნა გარემო პირობები იმისათვის, რომ განხორციელებულიყო სისტემის სახელმწიფო კოორდინაცია. თუმცა ეს უკანასკნელი რიგ სიძნელებთან და პრობლემებთან იყო დაკავშირებული. კერძოდ, სასურსათო სისტემის კოორდინაციამდე ფუნქციონირებდა ლოკალური ბაზრები, კოორდინაციის შემდეგ კი წარმოიქმნა მსხვილი შიდა და საერთაშორისო ბაზრების ჩამოყალიბების აუცილებლობა.

როგორც ვხედავთ, აგრობიზნესის ფორმირება ევოლუციური გზით, ეკონომიკური პროცესების ცენტრალიზებული მართვის გარეშე მიმდინარეობდა. თუმცა სახელმწიფოები პასიურ როლს ამ პროცესში არასოდეს არ ასრულებდნენ. სახელმწიფოს როლის გაძლიერება აგრობიზნესის ფორმირებაში განსაკუთრებით შეინიშნება მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში მაგალითად: აშშ-ში 1946 წელს მიღებულ იქნა კანონი სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზაციის შესახებ, რომლის თანახმადაც ფედერალური მთავრობა ვალდებულიებას იღებდა ჩაეტარებინა კვლევა სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოძრაობის ყველა სტადიაზე, დაწყებული წარმოებიდან დამთავრებული მოხმარებამდე. ამავდროულად სახელმწიფო აფინანსებდა უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში თეორიულ და გამოყენებით კვლევით სამუშაოებს. ამისათვის ფუნქციონირებდა სასოფლო-სამეურნეო მარკეტინგის სკოლები (1949-1956 წ.წ.).

აგრობიზნესის განვითარებაში გარკვეული წარმატება იქნა მოპოვებული 60-იან წლებში, როდესაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პროდუქციის გადამუშავებას, დატვირთვას, შენახვას, ტრანსპორტირებას, პროდუქციის სტანდარტიზაციის კვლევას, ამ სფეროსთან დაკავშირებული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის შეგროვებასა და დამუშავებას კვლევა განსაკუთრებით გაძლიერდა სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და მომსახურების სფეროში, წარმოიშვა მისი შესაბამისი ტერმინიც „მარკე-

ტინგული მართვა“, რომლის მიერ შეისწავლებოდა ფერმერიდან მომხმარებლამდე საქონლის ფიზიკური ნაკადები, ფასწარმოქმნის პრობლემები, საკუთრების ფორმების ცვლილება საქონლის რეალიზაციისას, მეწარმის რისკი და სხვა. მაშასადამე, ამ ეტაპზე აგრობიზნესის საბაზრო მექანიზმი ახალ საფეხურზე ავიდა.

მსოფლიო ეკონომისტების ყურადღება 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან გამახვილებულია საბაზრო მექანიზმის მოქმედების შიდა ეკონომიკურ პროცესებზე. მოქმედებას იწყებს კონტრაქტების მოქნილი სისტემა, ხოლო ტერმინმა „მარკეტინგულმა მართვამ“ მოიცვა ყველა ფუნქცია და მომსახურება, რომელიც ფერმერებს პროდუქციის საბოლოო მომხმარებელთან აკავშირებდა. აგრომარკეტინგულ კვლევაში დიდი როლი შეასრულა ამერიკელმა მეცნიერმა რკულსმა. მოგვიანებით მარკეტინგულმა მართვამ ახალი მიმართულებები მიიღო. მეტი ყურადღება მიექცა მიმოქცევის ხარჯების შესწავლის პრობლემას, მომხმარებლის ქცევის ანალიზს, მოთხოვნისა და მიწოდების რეგულირების საკითხების დამუშავებას, რეკლამას, შრომის ანაზღაურების დონეს, დასაქმების დონეს, სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიმოქცევისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების წარმოების საშუალებათა წარმოების სფეროს. მარკეტინგის კონცეფცია გავრცელდა აგრობიზნესის ყველა სფეროზე. მან დიდი როლი შეასრულა აგრობიზნესის განვითარებაში.

„აგრობიზნესის“ ცნებას შედარებით ფართო მნიშვნელობით განიხილავს მ. ტრეისი. იგი აგრობიზნესში აერთიანებს როგორც სოფლის მეურნეობის დარგებს, ასევე დარგებს, რომლებიც სოფლის მეურნეობას აწვდიან რესურსებს, ახდენენ პროდუქციის რეალიზაციას, გადაამუშავებენ და განაწილებას. [163, გვ.56]

პროფ. ო. სადარეიშვილი აგრობიზნესს მიაკუთვნებს სასაქონლო წარმოების ნებისმიერ სამეურნეო გარიგებას, რომელშიდაც მონაწილეობენ სოფლის მეურნეობის, სამრეწველო და სამომხმარებლო სფეროს წარმომადგენლები სხვადასხვა მხარეთა სამეურნეო თანამშრომლებიდან სარგებლიანობის მიღების მიზნით. [153, გვ.5]

აგრობიზნესი ფუნქციონალურად როლისა და ადგილის მიხედვით ოთხ სფეროდ შეიძლება დაიყოს (იხ. სქემა 2.1.1.)

აგრობიზნესის პირველი სფერო აერთიანებს დარგების ჯგუფს, რომლებიც უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობას ტექნიკით, საკვებით, სასუქებით, ქიმიკატებით, სამეურნეო წყლით, თესლით მომარაგებას. ფუნქციონალურად ამავე სფეროში გაერთიანდა ფინანსური რესურსები-კრედიტი, რომლის გარეშეც საბაზრო ეკონომიკის პირობებში შეუძლებელია ფერმერული წარმოების განვითარება. დასახელებული სფეროს საშუალებით ყალიბდება სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობისათვის საჭირო რესურსების ბაზარი. ფასებისა და დაკრედიტების მექანიზმის საშუალებით სწორედ ეს სფერო ახდენს დიდ გაელენას ფერმერთა საწარმოო დანახარჯების სიდიდეზე. I სფეროს სამრეწველო დარგები რადიკალურად განსხვავდებიან აგრობიზნესის სხვა სფეროს დარგებისაგან საბაზრო სტრუქტურებით, კონცენტრაციით, სპეციალიზაციით და მჭიდრო საწარმოო კავშირები აქვთ მრეწველობის სხვა დარგებთან.


აგრობიზნესის მეორე სფეროა სოფლის მეურნეობა, რომელიც კომპლექსის მთავარი სფეროა და ორგანულადაა დაკავშირებული დანარჩენ სფეროებთან.

აგრობიზნესში მესამე მარკეტინგული სფეროა, რომელშიც შედის ყველა დარგისათვის საჭირო ტრადიციული მარკეტინგული არხები – საცალო და საბითუმო ვაჭრობა, პროდუქციის შენახვის სისტემები, ბირჟები, აუქციონები და სხვა, აგრეთვე დამოუკიდებელი საწარმოო დარგი – კვების მრეწველობა.

განვითარებული აგრობიზნესის პირობებში მარკეტინგული სფეროს მნიშვნელობა მეტად დიდია და მისი როლი კიდევ უფრო გაიზრდება მოსახლეობის სურსათზე მრავალფეროვანი მოთხოვნილებების შესაბამისად

აგრობიზნესის IV სფერო საქმიანობის ფართო სპექტრს მოიცავს. ფუნქციონალურად აღნიშნული სფერო უზრუნველყოფს კომპლექსის და მისი ცალკეული დარგების სერვისულ მომსახურებას და მაშასადამე,

# აგრობიზნესის სტრუქტურა



სქემა 2.1.1.

ყოველგვარი საქმიანობის გაუმჯობესებას

აგროსერვისის სფეროს მიეკუთვნება საქმიანობის შემდეგი სახეები: აგრობიზნესის ყველა სხვა სფეროებისათვის სპეციალიზებული მომსახურება, მეცნიერული კვლევა, ახალი გამოგონებებისა და ტექნოლოგიების დანერგვა, სპეციალიზებული განათლება, კომუნიკაციები, სახელმწიფო-ბრივი მართვა და რეგულირება. აგროსერვისი აგრობიზნესის ერთადერთი სფეროა, რომელიც სახელმწიფო სტრუქტურებს მოიცავს. მასში ვგულისხმობთ სოფლის მეურნეობის მართვის სახელმწიფო ორგანოების სისტემას, ბაზრის რეგულირებას, მეცნიერულ კვლევას, განათლებას და სხვა აგროსერვისის კერძო სფერო საქმიანობის მრავალფეროვნებით გამოირჩევა: ტექნიკური მომსახურება, მედიორაციული სამუშაოები, აგროქიმიური და აგროტექნიკური სამსახური, გამოყენებითი კვლევა და კონსულტაციები, მომარაგება და სხვა

საქართველოში აგრობიზნესის განვითარების თეორიული და პრაქტიკული საკითხების დამუშავება დამოკიდებული იქნება იმ მიმართულებების შემცენებაზე, რომლებიც გავლენას ახდენენ მის ფუნქციონირებაზე ეს პირველ რიგში იქნება საკუთრებითი ურთიერთობები, ეკონომიკის მრავალწილობიანობა და ცივილიზებული ბაზრის განვითარების ტემპები და ეფექტიანობა.

აგრობიზნესში სამეურნეო კავშირების მართვის საკითხების შესწავლა შემდეგი მიმართულებებით უნდა განხორციელდეს. 1. საკუთრების ფორმების თანაფარდობის გაანალიზება; 2. მომხმარებლის მოთხოვნილების დაკმაყოფილების გზების ძიება; 3. საშინაო და საგარეო ბაზრის კონიუქტურის დინამიკის კანონზომიერებების გამოვლენა, მათი ურთიერთკავშირის მანერირების დასახვა; 4. დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფის გზების ძიება.

პირველი მიმართულება გამოავლენს საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელ თანამედროვე ორგანიზაციულ ფორმებს, უზრუნველყოფს ეკონომიკაში მრავალწილობიანობის დამკვიდრებას. საკუთრების ფორმების შესაბამისი ფერმერულ მეურნეობათა ტიპების შეფასება საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ საკუთრების ფორმების ოპტიმალური თანაფარდობაც.

მეორე მიმართულებით კვლევა საშუალებას მოგვცემს გამოიძებნოს მწარმოებელთა და მომხმარებელთა თანამშრომლობის ფორმები; ასევე იგი მოიცავს მოთხოვნის შეფასებას მომხმარებელთა შემოსავლების გათვალისწინებით, რაც მოამზადებს ნიადაგს მწარმოებელთა და მომხმარებელთა სამართლებრივი ბაზის შესაქმნელად; მეოთხე მიმართულების კვლევამ პასუხი უნდა მოგვაძებნინოს კითხვაზე: რა ადგილს დაიკავენ საქართველო ეროვნულ და მსოფლიო ბაზრის სტრუქტურაში? საბაზრო კავშირურთიერთობათა მანევრებით აგრარული სექტორი მუდმივად ორიენტირებული გახდება საბაზრო მოთხოვნებზე და საშუალება მოგვეცემა საინვესტიციო უზრუნველყოფის შესაბამისად განვსაზღვროთ პრიორიტეტული დარგები.

საქართველოში და მათ შორის სამეგრელოს რეგიონშიც აგრარული სექტორი და მთლიანად ეკონომიკა ბოლო წლებში მძიმე კრიზისულ მდგომარეობაშია. ეკონომიკური კრიზისიდან თავის დასაღწევად აუცილებელია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სწორი გზის მონახვა. აგრარული რეფორმის წინაპირობაა სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი საკუთრების პრივატიზაცია და მის ბაზაზე აგებული ბიზნესის სწორი ორგანიზაცია.

პრივატიზაციის დროს უნდა გავითვალისწინოთ ტერიტორიული, სტრუქტურული და დემოგრაფიული თავისებურებები. 1998-2003 წლებში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პრივატიზაციის მონაცემები მოყვანილია ცხრილში (იხ.ცხრილი 2.1.1).

როგორც ცხრილიდან ჩანს, სამეგრელოს რეგიონში პრივატიზაციის მაღალი ტემპებით გამოირჩევა სახნავი და ნასენი მიწები. შესაბამისად -93,3% და 92,6%. პრივატიზირებულ იქნა აგრეთვე სათიბის 91,3%. პრივატიზაციის შედარებით ნაკლები ტემპებით ხასიათდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულები (39,5%) და მრავალწლიანი ნარგავები (43,4%). რეგიონში პრივატიზებულია მიწების 14,6%, მაშინ, როდესაც ეს მაჩვენებელი ქვეყანაში 25%-ს შეადგენს.

მიწის რეფორმის პირველი შედეგები წარუმატებელი აღმოჩნდა, რომელიც გამოწვეული იყო ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით. იგი განხორციელდა შესაბამისი ორგანიზაციული და მეთოდური წანამძღვრების

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პრივატიზაციის  
მონაცემები სამეგრელოს რეგიონში<sup>1</sup>

ცხრილი 2.1.1.

	1998	1999	2000	2002	2003
1	2	3	4	5	6
1. მთლიანად სამეგრელოს რეგიონში (ტერიტორია) ათ. კა მათ შორის	746,8	746,8	746,8	746,8	746,8
პრივატიზებულია სულ (ემატება არასასოფლო სამეურნეო მიწები	101,9	106,7	107,6	108,2	109,0
პრივატიზირებული ფართობის ხეყდრითი წონა %-ში	+(0,2)	+(0,7)	+(1,1)	+(1,5)	+(2,2)
	13,4%	14,3%	14,4%	14,5%	14,6
2. სასოფლო-სამეურნეო საეარგულები მათ შორის	269,6	269,66	269,8	270	282,7
პრივატიზირებულია ხეყდრითი წონა %-ში	101,7	106,0	106,5	106,7	106,8
	37,7	39,3	39,4	39,5	37,8
3. აქედან					
ა) სახნავი ათ. კა	68	68,2	68,3	68,4	70,6
მათ შორის					
პრივატიზირებულია %	61,2	64,9	65,4	64,6	64,4
	90%	95,1	95,7	94,4	93,3
ბ) მრავალწლიანი ნარგავები ათ. კა	38	38,5	38,8	38,4	38,4
მათ შორის					
პრივატიზირებულია %-ში	16,6	16,7	16,7	16,7	16,7
	43,6	43,4	43	43,4	43,4
გ) ნასეენი ათ. კა	2,33	2,33	2,03	2,05	2,05
მათ შორის					
პრივატიზირებულია %-ში	1,9	1,9	1,9	1,9	1,9
	81,5	81,5	93,5	92,6	92,6
დ) სათიბი და მათ შორის	2,3	2,3	2,3	2,3	2,3
პრივატიზირებულია ათ. კა %	2,0	2,1	2,1	2,1	2,1
	86,9	91,3	91,3	91,3	91,3
ე) საძოვარი ათ. კა	158,9	158,7	158,7	158,6	158,4
მათ შორის					
პრივატიზირებულია %	20,0	20,4	20,4	21,4	21,7
	12,6	12,8	12,8	13,5	13,7
ე) ბუჩქნარი ათ. კა	21,3	21,7	21,5	21,4	21,4
მათ შორის					
პრივატიზირებულია ხეყდრითი წილი %-ში	1,2	1,2	1,2	1,2	1,2
	0,05	0,05	0,05	0,05	0,05

<sup>1</sup> ცხრილი შედგენილია ზუგდიდის მიწის მართვის სამმართველოს მონაცემების საფუძველზე

შემუშავების გარეშე არ ჩატარებულა მიწის აღრიცხვა, არ განსაზღვრულა მიწის ფასი და გადახდის მოცულობა. მთლიანად ქვეყანაში და მათ შორის სამეგრელოს რეგიონშიც ადგილი ჰქონდა მიწის ნაკვეთების გაცემისას ადგილობრივი კომისიების თვითნებობას, რაც გამოიხატებოდა პირადი შეხედულებებით მიწის ფართობის განაწილებაში, აგრეთვე ადგილი ჰქონდა მოსახლეობის მიერ მიწების მიტაცებას, რომელიც განკუთვნილი იყო სახელმწიფო საცდელი, სანერგე და მეთესლეობის ფონდებისათვის.

სამეგრელოს რეგიონში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოიყენება ტერიტორიის 31,6%, ერთ კომლზე მოდის 0,7 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული, რაც ქვეყნის შესაბამის მანუენებელს 0,19 %-ით აღემატება

საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმა მოითხოვს ახლებულ მიდგომას დაგეგმვისა და მართვის ახალი მეთოდების გამოყენებისადმი.

აგრობიზნესის ორგანიზაციის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია მისი მართვა, საქართველოში რეფორმების პირველ ეტაპზე უნდა გამოგვეყენებინა დემოკრატიულ პრინციპებზე დამყარებული ადმინისტრაციული მართვის სისტემები და თანდათანობით გადავსულიყავით საბაზრო ეკონომიკის შესაბამის მმართველობაზე, მაგრამ აგრარული სექტორის მართვაში შექმნილი იყო სიძნელეები, არ არსებობდა საბაზრო ურთიერთობების მართვის ორგანოები. რეორგანიზაციის მეორე ეტაპზე უნდა განხორციელებულიყო სამეურნეო ორგანიზმის გარდაქმნა; მართვის დემოკრატიული სისტემის შექმნა; მრეწველობის ნედლეულით უზრუნველყოფა. ამ ეტაპზე გათვალისწინებულია წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, მეწარმეთა მომგებიანობის უზრუნველყოფა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვა, მართვის სწორი კურსის გამოყენება.

ქვეყნის აგრარული სექტორის მართვის სრული რეორგანიზაციისათვის მიზანშეწონილია სპეციალიზებული აგროკონცერნების შექმნა, რაც უზრუნველყოფს მართვის დარგობრივი და ტერიტორიული პრინციპების ოპტიმალურ შეთანაწყობას. ამგვარად, აგრარული ბიზნესის მთავარი ორიენტირი მართვის სისტემაა.

აგრარული სექტორის შეუფერხებელი და სტაბილური განვითარებისათვის აუცილებელია შეიქმნას ახლებული მარკეტინგული მოდელი და სტრატეგია

მართვის ძირითად ფორმად მხოლოდ რაიონული რგოლები უნდა იქნეს მიჩნეული. ე.ი. საჭიროა სამართაი რგოლების შემცირება. წარმოება და მართვა უნდა დაუახლოვდნენ ერთმანეთს.


რეგიონის აგრობიზნესის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა დღეს მაროინტირებული სახითაც არ არის ფორმირებული. წარმოების სფეროში მომხდარი ცვლილებების საფუძველზე შევეცადეთ წარმოგვედგინა რეგიონის აგრობიზნესის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა (იხ. სქემა 2.1.2) ამასთან გავეთვალისწინეთ, რომ აგრობიზნესის განვითარებაზე გავლენას ახდენს ოთხივე სფეროს საქმიანობის კოორდინირება, დარგებს შორის პარტნიორული თანამშრომლობა და ინტერესთა შეთანაწყობა.

ასეთი პრინციპით აგებული აგრობიზნესის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს მისი სფეროებისა და დარგების საბაზრო ურთიერთობებზე თანმიმდევრულ და კომპლექსურ გადასვლას რეგიონის აგრობიზნესის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა მოიცავს: სოფლის მეურნეობის სამმართველოებს; სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს (სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, ფერმერული მეურნეობა, საოჯახო მეურნეობები, მომსახურე საწარმოები); გადამამუშავებელ მრეწველობას (ჩაის ფაბრიკა, თხილის გადამამუშავებელი საწარმოები, წისქვილკომბინატები, ღვინის ჩამოსასხმელი ქარხანა, ეთერზეთების საწარმოები); მომსახურე საწარმოები (სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მომარაგების საწარმოები, ვეტერინალურ სამსახური და სხვა)

აგრობიზნესის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა იმ შემთხვევაში იქნება ქმედითუნარიანი, თუ მოხდება შესაბამისი მართვის ეკონომიკური მექანიზმის სტრუქტურების ფორმირება და ფუნქციონირება (იხ.სქემა 2.1.3), ჩვენს მიერ წარმოდგენილი მართვის ეკონომიკური მექანიზმების სტრუქტურას მიზანშეწონილია საფუძველად დაედოს შემდეგი პრინციპების გამოყენება: 1 სამეურნეო საქმიანობის დამოუკიდებლობა; 2. სამეურნეო

რეგიონის აგრობიზნესის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა

სქემა 2.12.





საქმიანობის კოორდინაცია (პროპორციულობა); 3. მოტივაცია; 4. სამეურნეო საქმიანობის საერთო მიზანზე-მოგებაზე ორიენტაცია; 5. პროგნოზირება (დაბალანსებული განვითარება); 6. სამეურნეო საქმიანობის რეგულირება; 7. ტერიტორიული და დარგობრივი მართვის მექანიზმების შეთანაწყოება.

სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოების საფუძველი უნდა იყოს ბაზრის მოთხოვნები. საბაზრო კონიუქტურის გათვალისწინებისა და წარმოების ბუნებრივ-ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე, აუცილებელია განისაზღვროს რა და რამდენი სახის ნედლეულის წარმოებაა შესაძლებელი ქვეყანაში და მოცემულ რეგიონში. ეს თავის მხრივ ხელს შეუწყობს ოპტიმალური დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებას, გამოავლენს დარგებისა და ქვედარგების გონიერული შეთანაწყოების გზებსა და ფორმებს, შექმნის წარმოების წესის ეკონომიკურ და ორგანიზაციულ საფუძველს და სხვა.

ავრობიზნესის მართვის ეკონომიკური მექანიზმის სტრუქტურაში მნიშვნელოვანი როლია ნედლეულის გადამუშავება. ამ რგოლში სამეურნეო საქმიანობა ორიენტირებულია საბოლოო მეურნეობრივ შედეგებზე. ნედლეულის წარმოებასა და გადამუშავებას შორის მმართველობით ურთიერთობების სრულყოფისათვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამ ორ სტრუქტურულ რგოლს შორის ინტერესების დაბალანსებასა და საბოლოო მიზნების ოპტიმალურად შეხამების საკითხებს.

ნედლეულის წარმოების რგოლში დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფის საფუძველზე დარგებისა და ქვედარგების წარმოქმნა ობიექტურად განაპირობებს მრავალმხრივი კავშირების დამყარების აუცილებლობას გადამამუშავებელ დარგებთან. ამასთან ნედლეულის გადამამუშავებაში ორი რგოლი გამოიყოფა: პირველადი გადამამუშავება და მზა ნაწარმის გადამამუშავება. პირველადი განკუთვნილი უნდა იყოს ადგილობრივი ბაზრისათვის, ხოლო მეორე როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ბაზრისათვის.

ნედლეულის წარმოებასა და გადამამუშავებას საფუძველად უნდა დაედოს ტრადიციული მეურნეობრიობის მსოფლიო გამოცდილებასთან

შერწყმის პროცესი. ამ პოლიტიკის განხორციელებისათვის საჭიროა შესაბამისი თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საქმიანობის სინთეზი, მათ შორის წინააღმდეგობრიობათა გამოვლენა და პრობლემათა გადაჭრის გზების დასახვა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ აგრარული სექტორის სამეურნეო მექანიზმის ეფექტიანი ფუნქციონირება დარგთაშორისი კავშირების სრულყოფის ბაზახეა მოსალოდნელი, მაშასადამე, სამეცნიერო-ტექნიკური ბაზის სრულყოფა და მისი წარმოების ფაქტორად გადაქცევა სხვადასხვა დარგის მენციერთა კვლევა-ძიებითაა შესაძლებელი. ასეთ პირობებში სამენციერო-ტექნიკური ბაზა იქნება ორგანიზაციის ის მოქნილი სისტემა, რომელიც შეაგებს ვაკუუმს მეცნიერსა და მეწარმეს შორის, გამოიწვევს თვისებრივ ცვლილებებს საწარმოო ძალთა განვითარებაში, ტექნოლოგიურ პროცესებში, მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლებაში, მეურნეობრიობის გაძღოლის სისტემაში, მართვის სტრუქტურის გაუმჯობესებაში და სხვა.

ახალ ეკონომიკურ სისტემაში აგრარული სექტორის მართვის ეკონომიკური მექანიზმი შეუძლებელია ფუნქციონირებდეს საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტების გარეშე. ნედლეულის წარმოების, გადამუშავების, შენახვისა და რეალიზაციის დაკრედიტებასა და დაფინანსებაში დიდ როლს შეასრულებს კომერციული ბანკები. ნედლეულის წარმოებასა და გადამუშავებას შორის საშუამავლო ფუნქციები შეიძლება შეასრულოს სპეციალიზებულმა საშუამავლო კომერციულმა ბანკებმა. მათ მიერ გაცემული კრედიტებით შესაძლებელია ნედლეულის წარმოებისათვის საჭირო მანქანა-მოწყობილობების მიწოდების, ან ნედლეულის შესყიდვისა და რეალიზაციის სტიმულირება. კრედიტების გაცემა შესაძლებელია აგრეთვე სამენციერო-ტექნიკური ბაზის შექმნის და სრულყოფის, ახალი წარმოების დაწყების, რესტრუქტურისა და სხვათა მიზნით.

მართვის ეკონომიკურ მექანიზმში საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტებიდან პერსპექტიულად მიგვაჩნია საინვესტიციო ფონდების ფორმირება ეკონომიკის აღწარმოების მასშტაბები მოკლევადიან პერიოდში საკუთარი ინვესტიციების მტკიცე ბაზის შექმნას ვერ უზრუნველყოფენ, მაგრამ პერ-

სპექტივაში ეს ფონდები გადამწყვეტ როლს შეასრულებენ ნედლეულის წარმოება-განაწილება-რეალიზაციის პროცესში.

მართვის ეკონომიკურ მექანიზმში ბიუჯეტის სტრუქტურული ერთეულის წარმოდგენა განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხად მიგვაჩნია. ადგილობრივ ტრანსფერტებსა და სახელმწიფო ბიუჯეტს შორის ურთიერთობის დადგენა პასუხს მოგვაძებნინებს კითხვაზე თუ რა პრინციპებს ეყრდნობა და როგორია ეკონომიკური პოლიტიკა. აგრარული სექტორის ფინანსური მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები ბევრადია დამოკიდებული საბიუჯეტო გადასახადებზე. საბიუჯეტო რგოლში გადასახადების მეშვეობით უნდა შეასრულოს აგრარული სექტორის სფეროებს შორის დაბალანსებული პოლიტიკის გატარება, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულზე ხელსაყრელი ფასწარმოქმნის მექანიზმის შექმნა და სხვა.

წარმოების მიზანშეწონილობასა და მომხმარებელთა მოთხოვნილებებს გამოავლენს რეალიზაცია, ამ ფუნქციას იგი ასრულებს საშინაო და საგარეო ბაზარზე, დღეს საშინაო ბაზარზე მიზანშეწონილია სეგმენტაცია მოხდეს არა მარტო გეოგრაფიული ნიშნის, არამედ მოსახლეობის შემოსავლებისა და საქმიანობის სახეების მიხედვითაც

აგრარულ ურთიერთობათა გაჯანსაღების მნიშვნელოვან პირობად უნდა მივიჩნიოთ საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარება საგარეო ბაზრის მეშვეობით. საშინაო ბაზარზე წონასწორობის აღდგენისა და სამეურნეო საქმიანობის სტაბილიზაციის პარალელურად აუცილებელია სავაჭრო ბაზარზე გასვლის იმ მიმართულებათა განსაზღვრა, რომლებიც სრულად პასუხობენ საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური პოტენციალის არსებულ მდგომარეობას და პერსპექტივებს.

ამრიგად, აგრობიზნესის მართვის ეკონომიკური მექანიზმის წარმოდგენილი სტრუქტურა ჩამოაყალიბებს საბაზრო ეკონომიკის შესაბამის სამსახურებს, ორგანიზაციული სტრუქტურის საშუალებით საწარმოებსა და ორგანიზაციებს ეკონომიკური, ორგანიზაციული და ტექნოლოგიური ინტერესებით გააერთიანებს მართვის სისტემა-მექანიზმად. ამასთან აგრარულ სექტორში შესაძლებელი გახდება კოორდინირებული ეკონომიკური პოლიტიკის

## 2.2. თანამედროვე მარკეტინგისა და მენეჯმენტის ძირითადი პრინციპების გამოყენება აგრობიზნესში

ეკონომიკურ ლიტერატურაში მარკეტინგს ხშირად განმარტავენ როგორც საწარმოთა (ფირმების, ორგანიზაციების) მართვის სისტემას. ე.ი. აიგივებენ მას მენეჯმენტთან, რაც ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

საწარმოს დონეზე მარკეტინგი და მენეჯმენტი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან მაგრამ მენეჯმენტი გაცილებით ფართო ცნებაა, ვიდრე მარკეტინგი საქმე ისაა, რომ მენეჯმენტი, როგორც მმართველობითი საქმიანობა, მოიცავს საწარმოს (ფირმის) მუშაობის ყველა სფეროს, მათ შორის მარკეტინგული საქმიანობის მართვასაც. მკვლევართა ერთი ნაწილი მარკეტინგს მენეჯმენტის ერთ-ერთ ფუნქციად თვლის.


მართვა აუცილებელია იმისათვის, რომ საწარმო წაიყვანოს მართვის საბოლოო მიზნისაკენ. წარმოების ორგანიზაციის გარეშე მისი მართვა კარგავს აზრს, რადგან შეუძლებელია ქაოსის მართვა, ხოლო მართვის გარეშე კარგად გარკვეული ორგანიზაციის დროსაც კი წარმოება დაბალეფექტიანი.

წარმოების მართვის სისტემა შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ (სქემა 2.2 1)

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ყველაფერს, რაც აუცილებელია პროდუქციის წარმოებისათვის საწარმო ყიდულობს გასაღების ბაზარზე წარმოებულ პროდუქციას მწარმოებელი ყიდის იმ ფასებში, რომელიც ყალიბდება გასაღების ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების შეფარდების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, მენეჯმენტის მთავარ ამოცანას წარმოადგენს საქონლის წარმოების ორგანიზაცია მყიდველთა მოთხოვნისა და გამოშვებული საქონლის ეფექტიანი გასაღების გათვალისწინებით

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მენეჯმენტის ამოცანებში შედის

სქემა 2.2.1.



1. ასორტიმენტის და საქონლის წარმოების მოცულობის შერჩევა მათზე მოთხოვნის შესაბამისად; 2. წარმოების აუცილებელი აღჭურვილობის შექმნა; 3 კვალიფიციური მენეჯერებისა და შემსრულებლების შერჩევა; 4. მუშაკთა სტიმულირების ეფექტური სისტემის შექმნა; 5. გასაღების ბაზრის მუდმივი ძიება, ათვისება და საქონლის გასაღების ეფექტიანი განხორციელება

მენეჯმენტის პრინციპები შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც მმართველობითი საქმიანობის განხორციელების კანონზომიერება და წესი. მისი ყველაზე უფრო სრული განმარტება მოცემულია გვენუსა და ს.ო.დონელას წიგნში „მმართველობითი ფუნქციის სისტემური და სიტუაციური ანალიზი“, სადაც ავტორები აანალიზებენ მენეჯმენტის დაახლოებით 50 პრინციპს. ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ ძირითად პრინციპებს. აღსანიშნავია ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის ოპტიმალური შეხამების პრინციპი მმართველობაში, რომელიც გულისხმობს ერთმმართველობისა და კოლექტივობის უნარიან გამოყენებას მართვაში, აგრეთვე მშრომელთა ფართო ჩაბმას წარმოების მართვაში.

მართვის პრინციპებში იგულისხმება ხელმძღვანელობის ძირითადი საწყისები, დებულებები, რომლებიც გამომდინარეობენ მართვის ურთიერთობებიდან და მათი კანონზომიერებებიდან და რომლითაც სარგებლობენ მართვის ორგანოები და მუშაკები თავიანთი საქმიანობის პროცესში.

პირველად ტერმინი „მართვის პრინციპები“ შემოიტანა ამერიკელმა ინჟინერ-ტექნოლოგმა ფრედერიკ ტელიორმა, რომელმაც 1911 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი სახელწოდებით „მეცნიერული მართვის პრინციპები“ (12 პრინციპი), ხოლო 1961 წ. ფრანგმა ინჟინერმა ანრი ფაიოლმა „საერთო და სამრეწველო მართვა“ ადმინისტრაციული მეცნიერების 14 პრინციპი ჩამოაყალიბა.

თუ განვიხილავთ მ.კ. ბოჩაროვის თვალსაზრისს, იგი გამოყოფს შემდეგ პრინციპებს [118, გვ.22]: 1 მართვის საზოგადოებრივი ხასიათის პრინციპი; 2. მართვის პუმანურობის პრინციპი; 3. მართვის ეფექტიანობის პრინციპი; 4. მართვის ეკონომიურობის პრინციპი; 5. მართვის ობიექტურობისათვის დამახასიათებელი კანონზომიერებისადმი მართვის ხერხების,

საშუალებების და ზემოქმედებათა შესაბამისობის პრინციპი; 6. ინტეგრალურობის პრინციპი

მართვის ექვსი ფუძემდებლური პრინციპიდან როგორც შედეგი, ლოგიკურად გამომდინარეობს ყველა კერძო წესი და მართვის პრინციპი, რომელიც აღწერილია ნაშრომში ეროვნული მართვის შესახებ, მათ შორის სოფლის მეურნეობაში ასეთი პრინციპების რაოდენობა ოცდაათამდეა. ზემოთ მოყვანილი ექვსი პრინციპი გამოხატავს მართვის თეორიულ იდეალს, რომლის მიღწევისათვის სწრაფვა მუდამ საჭიროა. ამაშია მართვის საერთო თეორიის ღირსება, იგი უჩვენებს გზას, მართვის პრაქტიკას მართვის სრულყოფისაკენ.

მართვის როლი განსაკუთრებით იზრდება საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე. ეს განპირობებულია რიგი ფაქტორებით: კერძოდ, ეკონომიკაში წარმოების მასშტაბების ზრდით და თვისობრივი ძვრებით, საზოგადოებრივ წარმოებაში სოციალურ-ეკონომიკური კავშირების გართულებით, მთელი ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლით, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანქარებით, რომლის მიღწევის გამოყენება ამჟამადაც საზოგადოების შემდგომი განვითარების უმთავრესი ამოცანაა.

სოფლის მეურნეობა ეროვნული მეურნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. თავის მხრივ იგი, როგორც საზოგადოებრივი წარმოების დამოუკიდებელი დარგი, გადაქცეულია სისტემად, რომელსაც აქვს სოციალური სისტემის მნიშვნელოვანი თვისებები: მთლიანობა, იერარქიულობა, დინამიზმი და აგრეთვე ქცევის ხასიათის ადაპტიურობა, ადამიანთა საქმიანობისა და გარე პირობების გავლენისაგან დამოკიდებულებით. იგივე შეიძლება ითქვას სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, როგორც სოფლის მეურნეობის დარგის შემადგენელი ელემენტების და უფრო დაბალი დონის სასოფლო-სამეურნეო სისტემის შესახებაც.

მართვის ორგანიზაციის საკითხების გადაწყვეტისას აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდეგი თავისებურებანი: მიწა სოფლის მეურნეობაში გამოდის, როგორც წარმოების

ძირითადი საშუალება; სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტერიტორიული განლაგება განაპირობებს წარმოების მართვას ორგანოების ტერიტორიულ-საწარმოო პრინციპებით აგების აუცილებლობას და მართვის მეტი ოპერატიული სამეურნეო დამოუკიდებლობის მინიჭებას; კვლავწარმოების ბუნებრივი და ეკონომიკური პირობების მჭიდრო ურთიერთგადაჯაჭვა; საკუთრებისა და მეურნეობრიობის ფორმათა მრავალფეროვნება; საიჯარო ურთიერთობების არსებობა; სოფლის მერუნეობის სოციალურ-ეკონომიკური არაერთგვაროვნება; ქალაქსა და სოფელს შორის არსებული განსხვავება, რომელიც მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის მრავალი საკითხის თავისებურად გადაწყვეტას.

აღნიშნული თავისებურებები საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, ვინაიდან წინანდელი დანახარჯებით სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანად განვითარება არ შეიძლება. დღეს რესურსების გაზრდის პრაქტიკული შესაძლებლობა არ გაგვაჩნია. გამოსავალი მხოლოდ მათი გამოყენების გაუმჯობესებაში, უკუგაბის ამალღებაშია.

დასმული ამოცანის გადაჭრის მთავარი გზა სოფლის მეურნეობის ყველა დარგში არის წარმოების ინტენსიფიკაცია, არსებული შეზღუდული რესურსების პირობებში უფრო მაღალი შედეგების მიღწევა. ამისათვის კი მნიშვნელოვანია, რომ ყველა საკითხის გადაწყვეტისას შევარჩიოთ რესურსდამზოგავი ვარიანტი, პრიორიტეტი უნდა მიეცეს იმ სფეროებს და უბნებს, რომლებიც ამჟამად სუსტად არიან განვითარებულნი და ამცირებენ საბოლოო შედეგს. მას ექვემდებარება სოფლის მეურნეობაში მოველი სტრუქტურული და საინფორმაციო პოლიტიკა

მოცემული ამოცანის გადაწყვეტა არანაკლებ დამოკიდებულია ყველა დონის მმართველობით ორგანოებზე. მაგრამ მთავარ როლს მიწის, ტექნიკის და სხვა რესურსების გამოყენებაში აქციონერულ საზოგადოებები, საწარმოები, ამხანაგობები და ასოციაციები ასრულებენ. თითოეულ მეურნეობაში არის შექმნილი პოტენციალის უკუგების ამალღების არამცირე რეზერვი. მთავარი მათი ამოქმედება და ინტენსიური წარმოების სამსახურში

ჩაყენებაა, მაგრამ ეს თავისთავად არ მოხდება, ამისათვის საჭიროა ეკონომიკური და სამეურნეო მექანიზმების სრულყოფა.

ამრიგად, მართვა, რომელიც მისაღებია თანამედროვე მოთხოვნებისთვის, წარმოადგენს პირველხარისხოვან ამოცანას, რომლის გადაჭრა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სასოფლო-სამეურნეო წარმოების საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში.

70-იანი წლების დასაწყისიდან მარკეტინგი ხდება „ბიზნესის“ ფილოსოფია“, წონასწორობის შენარჩუნების ინსტრუმენტი შესუღვლული რესურსებსა და განუსაზღვრელ მოთხოვნას შორის. მარკეტინგი იწყებს საპროექტო საქმიანობას, წარმოებისა და პროდუქციის გასაღების დაკავშირებას მართვის სისტემაში მარკეტინგის თეორიის გამოყენებამ საწარმოები და ფირმები აიძულა მკაცრად დაიცვან შემდეგი პრინციპი: „წარმოთ ის, რაც იყიდება, ნაცვლად იმისა, გაუყიდოთ ის, რისი წარმოებაც შეგეძლია“.

80-იან წლებში მარკეტინგის ინფრატრუქტურა ფართოვდება ინჟინერინგის, კონსალტინგის, საშუამავლო ფირმების ხარჯზე. ისინი აწარმოებენ სხვადასხვა მარკეტინგულ გამოკვლევებს, რომელშიც გათვალისწინებულია სამართლებლივი, ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარების ტემპები, კონკურენტთა საქმიანობა, მოდის მიმართულებები.

მარკეტინგი, როგორც მართვის ინსტრუმენტი, წარმოადგენს საწარმოს ყველა მხარის საქმიანი აქტივობის ორგანიზაციისა და მართვის სისტემა-ახალი საქონლის წარმოებას თავდაპირველი დასახული კონსტრუქციიდან და ტექნოლოგიიდან მისი მყიდველისათვის მიწოდებამდე და შემდგომ მომსახურებამდე.

მარკეტინგის მეშვეობით ფირმები ცდილობენ გავლენა მოახდინონ მყიდველის მოთხოვნაზე, მყიდველობითუნარიანობა გადააქციონ კონკრეტულ მოთხოვნად მოცემულ საქონელზე ან მომსახურებაზე, მიადწონონ გრძელვადიანი კავშირების დამყარებას მყიდველსა და მწარმოებელს შორის.

მარკეტინგს, როგორც მართვის სტრატეგიას გააჩნია რიგი თავისებურებანი:

1. მმართველობითი გადაწყვეტილებები მიიღება წარმოების საგამსაღებლო რგოლებში ბაზარზე ორიენტაციით შესწავლის ძირითად ობიექტს წარმოადგენს მომხმარებელი, კონკურენტები, თვით ბაზრისა და საქონლის მახასიათებლის კონიუქტურა;

2. გადაწყვეტილებების მიღება ხდება არა გეგმურ პერიოდში, არამედ გასაღების პოტენციალური პრობლემის აღმოჩენის მიხედვით, ამასთან აუცილებელია ბაზარზე შესაძლო სიტუაციის პროგნოზი, შესაძლო სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება;

3. ინფორმაციის უწყვეტი შეგროვებისა და დამუშავების სისტემის არსებობა;

4. ბაზარზე აქტიური ზემოქმედების სტრატეგია გასაღებულ პროდუქტზე მოთხოვნის ფორმირების მიზნით;

5. სამეწარმეო ინიციატივა, როგორც წარმოების და გასაღების მართვის ერთადერთი შესაძლო ფორმა (ახალი კონკურენტუნარიანი იდეების გამოშვება, მათი ოპერატიული დანერგვა, ახალი პროდუქციის სწრაფი და ეფექტური გასაღების ორგანიზაცია);

6. ორიენტაცია ლიდერობაზე ტექნოლოგიის დარგში, რომელსაც დაკავშირებულია გრძელვადიანი კომერციული წარმატების მხარდასაჭერად თანამედროვე მარკეტინგის, როგორც მართვის საბაზრო მექანიზმის კონცეფციის წინაშე დგას შემდეგი ამოცანები:

1. ბაზრის მოთხოვნის, მომხმარებელთა გემოვნებების და სურვილების საფუძვლიანი შესწავლა (სეგმენტაციის საშუალებით);

2. წარმოების შესაბამისობა მოთხოვნასთან;

3. ზემოქმედება საზოგადოებრივ მოთხოვნასა და ბაზარზე.

მარკეტინგის ეს ამოცანები განსაზღვრავენ მის ძირითად ფუნქციებს:

– ბაზრის კომპლექსური შესწავლა და მარკეტინგული საქმიანობის მიმართულება;

– სასაქონლო ასორტიმენტის დაგეგმვა;

– მოთხოვნის ფორმირება, გასაღების სტიმულირება და რეკლამის ორგანიზაცია;

- გასაღების ოპერაციების დაგეგმვა;
- საქონელმომძრობის ორგანიზაცია;
- გაყიდვამდე და გაყიდვის შემდგომი მომსახურების ორგანიზაცია;
- საფასო პოლიტიკის ფორმირება.

ბოლო დროს, მარკეტინგის მართვის კონცეფციის სატიროება განსაკუთრებით საგრძნობი გახდა საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში

მარკეტინგის ძირითადი პრინციპებიდან აღსანიშნავია სეგმენტაციის, ადაპტაციის, ინოვაციის პრინციპები.

აუცილებელია შევნიშნოთ, რომ საქართველოს და მათ შორის რეგიონის აგრარულ სექტორში მარკეტინგის პრინციპების, მეთოდებისა და ხერხების გამოყენების სასტარტო პირობები განსხვავდება განვითარებული ქვეყნებისაგან, სადაც ეს ფართოდ გავრცელდა წარმოების მაღალი დონისა და საქონლის მრავალფეროვნების, ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაციის, პროდუქციის ერთეულზე გაწეული ხარჯების შემცირების, მოსახლეობის შემოსავლებისა და მოთხოვნების ზრდის პირობებში. აქ მხოლოდ ცალკეულ სამეურნეო ერთეულებს თუ გაანიათ მოთხოვნასთან, ბაზართან, საზოგადოებრივ მოთხოვნილებებთან ურთიერთქმედების ისეთი ინსტრუმენტი, რომლებიც საშუალებას აძლევენ მათ წინასწარ გაითვალისწინონ ბაზრის ფარგლები და არეგულირონ საკუთარი საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობა.

ისევე როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონის აგრარული სექტორისათვისაც დამახასიათებელია წარმოების დაბალი დონე (იხ. ცხ. 2.2.1; 2.2.2), კვების პროდუქტების იმპორტის ზრდა (იხ. ცხ. 2.2.3), აგრეთვე მოსახლეობის დაბალი მსყიდველობითუნარიანობა.

მონაცემებიდან ჩანს, რომ 2003 წელს თითქმის ყველა პროდუქციის წარმოების დონე შესამჩნევად დაბალია 1990 წლის მაჩვენებლებთან შედარებით. ცხადია პროდუქტების უმრავლესობისათვის წარმოების დონე საქმარისი არაა საშინაო ბაზრის გაჯერებისათვის. ამ უკანასკნელის მისაღწევად საჭიროა სურსათის წარმოება სულ მცირე 6-ჯერ გაიზარდოს.

კვების პროდუქტების წარმოება 2003 წლის საბაზრო ფასებით საქართველოში<sup>1</sup>

ცხრილი 22.1.

№	დასახელება	ერთეული	1990			2003		
			რაოდენობა	1 კგ-ს ფასი ლარებში	სულ ღირებულება ათასი ლარი	რაოდენობა	1 კგ-ს ფასი ლარებში	სულ ღირებულება ათასი ლარი
			4	5	6	7	8	9
1	2	3						
1	ჩი დავახოებულის	ათ.კ	126	1.8	226800	6.22	1.8	11196
2	ქუჩის ღვინო	ათ.ლ	162710	0.7	113887	22310.0	0.7	15617
3	ქონიანი	ათ.ლ	21650	3.4	73610	640.0	3.4	2176
4	ღვინო და არაქი	ათ.ლ	8220	1.4	11508	2490.0	1.4	3486
5	მანანური	ათ.პკ	18143	2.5	25357.5	1850.0	2.5	4625
6	სოფრები	ათ.კ	11200000	0.04	448	897000	0.04	35.8
7	საკონდიტრო ნა- წარმი	ათ.კ	14,77	5.3	104781	0.21	5.3	1113
8	მაკაონი	ათ.კ	38.8	0.9	34920	19.7	0.9	17730
9	მეგრული წყალი	მლ ბოთლი	196.0	0.25	49000	66	0.25	16.5
10	ღაღი	ათ.ლ	85000	1.8	153000	12576	1.8	22636.8
11	ფაქალიანი ხაშქი	ათ.ლ	104000	0.9	93600	40070	0.9	36063
12	ხილისებულის ქანსები	ათ.ქილა	523.7	2.0	10474	30	2.0	60
13	ხორცი	ათ.კ	49.6	4.0	198400	36.0	4.0	144000
14	ქილი	ათ.კ	14.2	2.8	39760	0.12	2.8	336
15	ქარაქი	ათ.კ	0.9	5.2	4680	0.8	5.2	4160
16	ქეჭვი	ათ.კ	24.4	6.4	156260	0.7	6.4	4480
17	ქცნარული ხეტი	ათ.ლ	13830	2.40	33192	728	8.40	1747.2
18	მარგარიტის ნაწარმი	ათ.კ	34.1	1.7	57970	-	-	-
19	ქივი	ათ.კ	856.0	0.70	599200	193.2	0.70	135240
20	მარინი	ათ.კ	21.3	1.07	22791	0.2	1.07	214
21	კომინორებული ხა- შქი	ათ.კ	1035.3	0.24	248472	20.4	0.24	4896
	სულ				2228120.5			409828.3

<sup>1</sup> ცხრილი შედგენილია სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მონაცემების საფუძველზე

კვების პროდუქტების წარმოება 2003 წლის საბაზრო ფასებით სამეგრელოს რეგიონში<sup>1</sup>

ცხრილი 2.2.2.

№	დასახელება	ერთეული	1990		2003		
			რაოდენობა	1 კგ-ს ფასი ლარებში	რაოდენობა	1 კგ-ს ფასი ლარებში	
1	2	3	4	5	6	9	
1	ჩაი დაფასობეული	ათ.ტ.	30	1,8	54000	1,8	2790
2	ყურძნის ღვინო	ათ.ლ.	5856	0,7	40992	0,7	1715
3	ღვინო	ათ.ლ.	450	1,8	810	1,8	617,4
4	უალკოჰოლო სასმელი		-	-	-	-	-
5	ხილწოსტნეულის კონსერვი	ათ.კილა	22,3	2,0	44,6	2,0	65
6	ხორცი	ათ.ტ.	25,8	4,0	103200	4,0	63200
7	ყველი	ათ.ტ.	12,8	2,8	35840	2,8	30520
12	პური	ათ.ტ.	65,5	0,7	45850	0,7	13020
	ს უ ლ				2807366		111927,4

<sup>1</sup> ცხრილი შედგენილია სამეგრელო-ზემო სვანეთის სტატისტიკის რეგიონალური სამმართველოს მონაცემების საფუძველზე

საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტი – იმპორტი<sup>1</sup> (ათ.ტონა)

ცხრილი 2.2.3.

	იმპორტი						ექსპორტი					
	1996	1997	1998	1999	2000	2003	1996	1997	1998	1999	2000	2003
დასახელება												
მარცვლეული	890	766	825	796	863	710	6	13	14	22	13	36
სიმინდი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ხორბალი	843	720	719	763	687		6	13	14	22	13	36
ბოსტნეული	17	11	23	6	62	31	12	31	20	8	4	5
კარტოფილი	35	40	47	30	71	31	48	53	70	95	60	20
მსხვილფეხა რქოსანი პორტევი	9,2	9,3	13,3	15,2	12,6	13,6	0,9	1,0	0,7	1,0	1,1	1,1
ღორის ხორცი	4,6	5,1	7,3	7,5	7,0	8,7	0,7	0,7	0,4	0,1	0,7	0,4
ცხვრისა და თხის ხორცი	1,2	1,4	1,6	1,7	1,5	1,9	0,5	0,6	0,2	0,6	0,7	0,5
ფრინველის ხორცი	24,8	226	28,0	28,5	239	25,5	-	-	-	-	-	-
ძროხის რძე (კგ)	311,3	420,9	364,0	332,0	352,4	328,7	-	-	-	-	-	-
კვერცხი (კგ)	205,1	200,0	247,6	257,9	245,6	279,1	-	-	-	-	-	-

<sup>1</sup> ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე

რაც დიდი რაოდენობით ინვესტიციებს მოითხოვს. რაც შეეხება კვების პროდუქტების იმპორტს, იგი მზარდი მოცულობით ხასიათდება და ფრინველის ხორცის, რძისა და კვერცხის ექსპორტს 1996 წლიდან 2003 წლის ჩათვლით ადგილი არ ჰქონია.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ აგრარულ სექტორში წარმოების არსებული დაბალი ეფექტიანობის, კვების პროდუქტების იმპორტის მზარდი მოცულობის, დამამზადებელი ორგანიზაციების გარკვეული მონოპოლიზმისა და მოსახლეობის დაბალი გადახდისუნარიანობის პირობებში აუცილებელი ხდება აგრარული მარკეტინგისა და მენეჯმენტის, როგორც აგრარული სექტორის განვითარების რეგულირებისა და მისი სტაბილიზაციის გამოყენება. ამისათვის საჭიროა ცვლილებები მეურნეობების დარგობრივ სტრუქტურაში, რომლებიც მიმართული იქნება მათი საქმიანობის ეფექტიანობის მნიშვნელოვნად ამაღლებისაკენ, საწარმოს მოგების დონის ზრდისკენ, ასევე გაუთვალისწინებელი არასახარბიელო ბუნებრივ-კლიმატური, ტექნოლოგიური ან საბაზრო ფაქტორების მოქმედების მინიმუმამდე დაყვანისაკენ.

საქართველოში აგრარული სექტორის ფორმირების ერთ-ერთ ძირითად პრობლემას მარკეტინგული სამსახურის განუვითარებლობა წარმოადგენს. მარკეტინგული სფერო არაერთგვაროვანია არა მარტო შემადგენლობისა და ფუნქციების, არამედ საბაზრო სტრუქტურების თვალსაზრისითაც.

მარკეტინგულ სფეროში ბაზრის ოთხი ტიპი გამოიყოფა: 1. სასურსათო საქონლის სანედლეულო ბაზარი. ბაზრის ეს ტიპი ძირითადია ისეთი პროდუქციისათვის, როგორიცაა ფქვილებურდულის, შაქრის და სხვ. წარმოება. მისი დამახასიათებელი ნიშანია პროდუქციის შედარებით ერთგვაროვნება, სტანდარტიზაცია, საქონლის მსხვილი პარტიებით რეალიზაცია.

2. სასურსათო საქონლის ბაზარი პროდუქციის გადამშევეების მაღალი დონით. სასურსათო საქონლის ეს ჯგუფი არაერთგვაროვანი და მაღალკოდირებულია (თამბაქო, საკონდიტრო ნაწარმი, კონსერვები, მოხმარებისათვის საჭირო მზა პროდუქტების ფართო სპექტრი). ცნობილია, რომ რაც მეტია საქონლის შემცველეები, მით მეტია კონკურენცია საქონელს შორის

და ნაკლებია შესაძლებლობა ფასების პრიორიტეტებისათვის. ამიტომ საბაზრო ქცევის დამახასიათებელი თავისებურებაა პროდუქტებისათვის განმასხვავებელი ნიშნების მიცემა და ანალოგიური მოხმარების თვისებების საქონელთა ჯგუფებიდან მათი განცალკავება ამ სახის ბაზარზე კონკურენტული ბრძოლის ძირითად იარაღს რეკლამა და საქონლის მიწოდებისა და გასაღების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში ბაზარი ჩვეულებრივ ოლიგოპოლიურია, მაღალდიფერენცირებული პროდუქციით.

ცხადია ასეთ ბაზარზე შესვლის ბარიერი ძალიან დიდია. აქ განსაკუთრებული ძალით მოქმედებს მასშტაბის ეფექტი და პატენტი გამოყენებულ ტექნოლოგიაზე, თუმცა მთავარ ბარიერად მაინც მასობრივი რეკლამა ითვლება. ზოგჯერ დანახარჯები რეკლამაზე საქონლის ღირებულების 20%-ს შეადგენს. გაჯერებული ბაზრის პირობებში საქონლის რეალიზაცია გაძნელებულია, თუნდაც ახალ საქონელს რეალური უპირატესობები გააჩნდეს ბაზარზე გაბატონებულ საქონელთან შედარებით. გამოსავალი ამ შემთხვევაში ის არის, რომ რეკლამის სფეროში ადგილის მოსაპოვებლად გამოინახოს დამატებითი სახსრები.

3. მარკეტინგული სფეროს მესამე ჯგუფი გამოირჩევა შედარებით ერთგვაროვანი პროდუქციის გადამუშავების დაბალი დონით: ხორცის ნახევარფაბრიკატები, ახალი ხორცი, რძე და რძის პროდუქცია საქონლის გადამუშავების დონესა და მის ასორტიმენტს შორის მკიდრო კავშირი არსებობს. რაც დაბალია პროდუქციის გადამუშავების ხარისხი, მით მცირეა მისი ასორტიმენტისა და ინტენსიური რეკლამის შესაძლებლობები. ამ საბაზრო ჯგუფში შესვლის ბარიერი შედარებით ნაკლებია და ფასწარმოქმნა კონკურენციის საფუძველზე ვითარდება.

4. სასურსათო სერვისის ბაზარი. ბაზრის აღნიშნული ტიპი განვითარებულ ქვეყნებში ბოლო 10 წელიწადში ჩამოყალიბდა. იგი მოიცავს საზოგადოებრივი კვების ყველა ტიპს.

სასურსათო ფირმების გავლენა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე მით უფრო ძლიერია, რაც გრძელდება გადამუშავებისა და რეალიზაციის არხები.

რაც მეტია ფერმერთა დაშორება კვების პროდუქტების უშუალო მომხმარებელთან. ეს გავლენა განსაკუთრებით დიდია იმ შემთხვევაში, თუ კვების მრეწველობა მოითხოვს სტანდარტული ხარისხის ნედლეულს მკაცრად დადგენილი ტექნოლოგიით. იშვიათი არაა ფერმერთა ტექნოლოგიური და ეკონომიკური დამოკიდებულება გადამამუშავებელი მრეწველობის დარგის მეწარმეებზე. ასეთი დამოკიდებულება რეგლამენტირებულს ხდის ფერმერთა ქცევას არა მარტო საწარმოო-ტექნოლოგიურ პროცესში, არამედ ზღუდავს მათ შემოსავლებსაც.

სამეგრელოს რეგიონში სასურსათო საქონლის რეალიზაცია საქონლის სახეების მიხედვით ასეთია (იხ. ცხრილი 2.2.4; 2.2.5).

სასურსათო საქონლის რეალიზაციაში მაღალი ხვედრითი წონა უჭირავს ხორცს, ხორცის პროდუქტებს, შაქარს, ხილბოსტნეულის კონსერვებს, კარაქს, კვერცხს, ფქვილს, პურს, კარტოფილის, ბოსტნეულის, ლიქიორ-არყის ნაწარმის, ყურძნისა და ხილ-კენკრის დვინოებს. 2002 წელს შემცირდა თითქმის ყველი სასურსათო საქონლის რეალიზაცია. აქ გასათვალისწინებელია ერთი თავისებურებაც. სასურსათო საქონელი ურთიერთშემცველია და საესვებით შესაძლებელია, რომ ერთი საქონლის რეალიზაციის ზრდამ გამოიწვიოს მეორის შემცირება და პირიქით.

იმისათვის, რომ პასუხი გაეცეს კითხვას რამდენად შეესაბამება სურსათის წარმოების მიღწეული დონე ბაზრის ტევადობას, საჭიროა კვების პროდუქტების წარმოების ღირებულებითი მანქენებლების ანალიზი.

2003 წელს თითქმის ყველა პროდუქციის წარმოების დონე შესამჩნევად დაბალია 1990 წლის მანქენებლებთან შედარებით, ცხადია პროდუქტების უმრავლესობის წარმოების დონე საკმარისი არაა, საშინაო ბაზრის გაჯერებისათვის. ამ უკანასკნელის მისაღწევად საჭიროა სურსათის წარმოების დონე სულ მცირე 3-ჯერ გავზარდოთ, რაც დიდი რაოდენობით ინვესტიციებს მოითხოვს.

საქართველოში სასურსათო ბაზარი ჩამოყალიბებას განიცდის. ამიტომ ბაზრის ტიპები და სტრუქტურები ცვალებადი და ჩამოუყალიბებელია. სურსათის ბაზრის ცვლილებაზე უპირველეს ყოვლისა, გავლენას

სასურსათო საქონლის რეალიზაცია საქართველოში  
საკუთრების ყველა ფორმის მიხედვით<sup>1</sup>  
(ათასი ლარი)

(ჯრილი 2.2.4

დასახელება	2002	2003	2003 წელს 2002 წელთან შედარებით %-ი
1	2	3	4
ხორცი	115200	54400	47,0
ძეხვეული და ყოველგვარი შე- ბოლილი	3584	5053	141,0
კარაქი	3328	3382	101,6
მცენარეული ზეთი	1397,7	1180,1	84,5
რძე	594144	576000	96,1
ხილბოსტნეულის კონსერვები	244160	156893	64,3
ყველი	119	181	152,0
კვერცხი	56369,5	52222,3	92,7
შაქარი	17730	31753,8	179,0
საკონდიტრო ნაწარმი	1113	763,2	68,5
ჩაი დაფასოებული	11196	9540	85,2
ფქვილი	62700	56925	90,7
პური	135240	77910	57,7
მკარონის ნაწარმი	214	288,9	135,0
კარტოფილი	244923	166855	68,1
ბოსტნეული	166800	141680	85,0
ხილი, კენკრა, საზამთრო და ნესვი	148000	125000	84,4
ლიქიორ-არყის ნაწარმი	3137,4	5536,4	176,4
ღვინოები	13274,5	10805,8	81,4
კონიაკი	1958,4	2181,8	111,4
შამპანური	4625	3132,3	67,8
ღუღი	22636,8	42210	186,4
უალკოჰოლო სასმელები	36063	25799,4	71,5
ხორბალი	79135	31290	39,5
სიმინდი	44385	73575	165,7
ქერი	4064	2416	59,4
მზესუმზირა	43740	2808	0,07
ბალჩეული (საზამთრო და ნესვის გარდა)	64800	57600	88,8

<sup>1</sup> ცხრილი შედგენილია სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების საუწყველზე

სასურსათო საქონლის რეალიზაცია სამეგრელოს რეგიონში  
საკუთრების ყველა ფორმის მიხედვით (ათასი ლარი)<sup>1</sup>

ცხრილი 22.5.

დასახელება	2002	2003	2003 წელს 2002 წელთან შედარებით %-ი
1	2	3	4
ხორცი	50560	24640	48,7
ძეხვეული და ყოველგვარი შებოლილი	286,7	404,2	140,9
კარაქი	266,2	270,6	101,6
მცენარეული ზეთი	111,8	23,5	21,0
რძე	53472,9	51840	96,9
ხილბოსტნეულის კონსერვები	10,7	16,3	152,3
ყველი	24416	15689,3	64,2
კვერცხი	4509,6	4177,8	92,6
შაქარი	1418,4	2540,3	179,0
საკონდიტრო ნაწარმი	89,0	61,1	68,6
ჩაი დაფასოებული	2790	2385	85,4
ფქვილი	5016	4554	90,7
პური	13020	7713,9	59,2
მაკარონის ნაწარმი	17,1	23,1	135,0
კარტოფილი	19593,8	13348,4	68,1
ბოსტნეული	792,0	811,8	102,5
ხილი, კენკრა, საზამთრო და ნესვი	11840,0	10885,2	89,4
ლიქიორ-არყის ნაწარმი	251,0	442,9	176,4
ღვინოები	1061,9	864,5	81,4
კონიაკი	156,7	174,5	11,6
შამპანური	370,0	250,9	67,8
ღუდი	1810,9	3376,8	186,4
უალკოჰოლო სასმელები	258,5	2063,9	71,5
ხორბალი	6330,8	2503,2	39,5
სიმინდი	3550,8	5886,0	165,7
ქერი	325,1	193,3	59,4
მზესუმზირა	3499,2	224,6	0,07
ბაღჩეული (საზამთრო და ნესვის გარდა)	5184,0	4608,0	88,0

<sup>1</sup> ცხრილი შედგენილია სამეგრელო ოლქის მხარის სტატისტიკის სამმართველოს მონაცემების საფუძველზე

ახდენს პროდუქტების მიმწოდებელთა შემადგენლობის განსხვავებულობა და სასაქონლო ნაკადის წარმომავლობა. თუ რეფორმამდელ პერიოდში სასურსათო ბაზარზე დომინირებდა სახელმწიფო ვაჭრობა, ამჟამად მისი ხვედრითი წონა მინიმუმამდეა შემცირებული. იგივე ითქმის კოოპერატიული ვაჭრობის მიმართაც. აღნიშნულის საპირისპიროდ გაიზარდა კერძო ვაჭრობის როლი და მნიშვნელობა.

როგორც მთლიანად საქართველოში, ასევე სამეგრელოს რეგიონშიც კიდევ ერთი არსებითი ნიშანი გამოიკვეთა - საქონელბრუნვაში ჯარბობის საცალო და არა საბითუმო ვაჭრობა, რაც აძნელებს მარკეტინგული სამსახურის ორგანიზაციას. ეს უკანასკნელი მოითხოვს ფართომასშტაბიანი ყიდვა-გაყიდვის ორგანიზაციას.

დღეს საქართველოში სასურსათო სფეროში საბითუმო ვაჭრობა ძირითადად სახელშეკრულებო ურთიერთობათა გარეშე მიმდინარეობს. ასეთ პირობებში ვერ ხერხდება სხვა პოტენციური სავაჭრო პარტნიორების გამოვლენა, არ არსებობს ინფორმაციული ბანკი ადგილობრივი ბაზრების შესახებ, რის გამოც მყიდველი და გამყიდველი მოკლებულია ინფორმაციას „საბაზრო ფასისა“ და სხვათა შესახებ.

საბითუმო ბაზრის ჩამოყალიბება საქართველოში ხელს შეუწყობს ადგილობრივი ბიზნესის განვითარებას, ახალ საფეხურზე აიყვანს მარკეტინგული სამსახურის ორგანიზაციას. ფართომასშტაბიანი საქონელბრუნვის უზრუნველსაყოფად საბითუმო ვაჭრობის ორგანიზაციასთან ერთად საჭირო იქნება ისეთი მაკროეკონომიკური ღონისძიებების გატარება, როგორცაა ფასების ლიბერალიზაცია, საშინაო და საგარეო ვაჭრობის შეთანაწყოება, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა.

აგრარული ბაზრის საკუთარი წარმოების პროდუქტებით შევსების წყაროს ოჯახურ მეურნეობებში პროდუქციის პირველადი გადამამუშავება წარმოადგენს, ამიტომ აუცილებელია მათი მარკეტინგული გამოკვლევაც.

ოჯახური მეურნეობების მიერ განსაკუთრებით დიდია ისეთი პროდუქტების პირველადი გადამამუშავება, როგორცაა ღვინო, ფქვილი, არაყი, შაშიხი, ყველი, მაწონი. ეს მამულებლები განსხვავებულია რაიონების მიხედვით

(იხ. ცხრილი 2.2.6).

პროდუქტების პირველადი გადამუშავებით გამოირსევა 'სუგდიის რაიონი. აქ იწარმოება ფქვილის 16,9%, არყის - 24,7%, საწებლის -20%, ჩირის და ჩურჩხელის - 21%, კომპოტის - 20,7%, მურაბა-ჯემის - 19,9%, მწნილის - 26,1% და დაკონსერვებული სადილების - 23,8%.

ღვინის წარმოების მხრივ გამოირჩევა მარტვილის რაიონი -43,9%, აგრეთვე საწებელი -20,0% და ჩირი და ჩურჩხელა - 21%

პროდუქტის ასეთი სახით გადამუშავება ნაწილობრივ აესებს სასურსათო ბაზარს, მაგრამ იგი ვერ გადაწყვეტს კონკურენტუნარიანი წარმოების პრობლემას.

სასაქონლო წარმოების აუცილებელი პირობა, ცხადია წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობაა, რაც თავის მხრივ, საშუალებას იძლევა კვლავ განახლდეს ეს პროცესი, ამადლდეს ეფექტიანობა და შესაბამისად დარეგულირდეს გამოშვებული პროდუქციის მოცულობა, გაუმჯობესდეს ხარისხი და გაფართოვდეს ასორტიმენტი. აგრარულ სექტორში მარკეტინგის განვითარების საწყის ეტაპზე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროსთან შეიქმნას შესაბამისი მარკეტინგის დეპარტამენტი, რომლის ერთ-ერთი ძირითადი და განმსაზღვრელი სტრუქტურული ერთეული უნდა გახდეს თანამედროვე, უახლოესი ტიპის ტექნიკური და სათანადო პროგრამული საშუალებებით აღჭურვილი საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრი.

აგრარული მარკეტინგის დეპარტამენტმა უნდა განახორციელოს:

- საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების სახელმწიფო-ბრივი სტრატეგიის შესაბამისად ქვეყნის აგრარული ბაზრის განვითარების საერთო კონცეფციის შემუშავება;

- სახელმწიფოს აგრარული პოლიტიკის გატარება-განხორციელება აგრარული სექტორის სამხარეო და რაიონულ ორგანოებზე;

- აგრარულ ბაზრებზე ზემოქმედება, ასევე ახალი ბაზრების ფორმირებისა და განვითარების ხელშეწყობა;

პროდუქტების პირველადი გადამუშავება ოჯახური მეურნეობების მიერ  
სამეგრელოს რეგიონში 2003 წელს<sup>1</sup>

ცხრილი 2.2.6.

დასახელება	ზომის ერთეული	სამეგრელო		ზუგდიდი		წალენჯიხა		ჩხოროწყუ		სენაკი		ხობი		აბაშა		მარტვილი	
		სულ	%	სულ	%	სულ	%	სულ	%	სულ	%	სულ	%	სულ	%	სულ	%
<b>მემცენარეობის პროდუქტები</b>																	
ფქვილი	ათ.ტ	100.5		17.0	16.9	8.2	8.7	10.8	9.7	14.8	14.7	20.1	20.0	17.0	16.9	12.5	12.4
ღვინო	ათ.ლ.	3.4		0.5	15.2	0.2	6.4	0.4	12.8	0.5	14.0	0.1	2.9	0.1	4.3	1.5	43.9
არაჟი	ათ.ლ	0.9		0.2	24.7	0.1	15.4	0.1	12.3	0.1	14.4	0.1	10.3	0.08	8.2	0.1	14.4
საწებელი		5.0		1.0	20.0	0.5	10.0	0.5	10.0	1.0	20.0	0.5	10.0	0.5	10.0	0.1	20.0
ჩირი,		9.5		2.0	21.0	1.0	10.9	1.5	15.7	1.5	15.7	1.0	10.9	0.5	5.2	2.0	21.0
ჭურჩხელა		962.0		200.0	20.7	150.0	15.5	131.0	13.6	156.0	16.1	135.0	14.0	90.0	9.3	101.0	10.4
კომპოტი	ათ.ქილა	1055.0		210.0	19.7	155.0	14.6	136.0	12.8	180.0	17.0	141.0	13.3	101.0	9.5	131.0	12.4
მურაბა, ჯემი	ათ.ქილა	1530.0		400.0	26.1	158.0	10.3	150.0	9.8	270.0	17.6	182.0	11.8	150.0	9.8	220.0	14.6
მწილი	ათ.ქილა																
დაკონსერვებული		840.0		200.0	23.8	105.0	12.5	110.0	13.0	145.0	17.2	120.0	14.2	80.0	9.5	100.0	11.9
სადღებები	ათ.ქილა																
<b>მეცხოველეობის პროდუქტები</b>																	
ქუჩაბი	ათ.ტ	82.9		2.2	26.5	10.1	12.1	9.0	10.8	12.0	14.5	10.8	13.0	8.0	9.6	11.0	13.2
შაში	ათ.ტ	1537.0		450.0	29.2	140.0	9.1	140.0	9.1	270.0	17.5	210.0	13.6	130.0	8.4	197.0	12.8
კონსერვი	ათ.ტ	9.5		2.0	21.0	1.0	9.5	1.0	9.5	2.0	15.8	2.0	15.8	1.0	9.5	2.0	15.8
მობილი		60.0		16.0	26.7	6.0	10.0	4.0	6.7	10.0	16.7	8.0	13.3	6.0	10.0	10.0	16.7
ბაჭყალი	ათ.ტ	35.0		12.0	34.2	3.0	8.6	3.0	8.6	6.0	11.2	4.0	11.4	3.0	8.6	4.0	11.4
ხაჭაპური	ათ.ტ	7.0		5.0	18.5	4.0	14.8	3.0	11.1	4.0	14.8	4.0	14.8	3.0	11.1	4.0	14.8
ყველი	ათ.ტ	10928.0		3164.0	28.9	733.0	6.7	868.0	7.9	1525.0	13.9	1658.0	15.1	1494.0	13.7	1498.0	13.7
				0								0		0		0	

<sup>1</sup> (ქრილი შუღვენილი) ზუგდიდის სტატისტიკის სამართავლოს მონაცემებისა და კმპრომენტალური შუღვენილის საშუალებზე

- აგრარული სექტორის მართვის ორგანოების უზრუნველყოფა აგრარული მარკეტინგის საკითხებში არსებული ახალი მეთოდური მახალგაზრდაობით და რიგ შემთხვევებში კონკრეტული წინადადებებით;

- აგრარული სექტორის მართვის მუშაკთა საკონსულტაციო ინფორმაციული მომსახურება მარკეტინგული საქმიანობის სფეროში;

- აგრარულ სექტორში საინვესტიციო საქმიანობის ინფორმაციული უზრუნველყოფა;

- აგრარული ბაზრის სტრუქტურის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა;

- აგრარული ბაზრის სუბიექტებისათვის ხელსაყრელი ვარიანტების შეთავაზება მათთვის ხელშეწყობის მიზნით.

ქვეყნის აგრარულ სექტორში მარკეტინგული საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ სათანადო სამსახურების ქსელის მეშვეობით. ამ თვალსაზრისით პირველ რიგში აუცილებელია რეგიონის დონეზე ჩამოყალიბდეს მარკეტინგის ორგანიზაციული სტრუქტურა, აგრეთვე შეიქმნას სათანადო მარკეტინგის სამსახური, რომლის საქმიანობის ძირითადი სფერო იქნება მომხმარებლის მოთხოვნილებების შესაბამისად საქონლის წარმოებისა და მიწოდების უზრუნველყოფის ხელშეწყობა

აგრარულ სექტორში მარკეტინგული საქმიანობის ძირითად სახელმწიფოებრივ მიმართულებებად შეიძლება განვიხილოთ:

- სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და მისი გადაამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის წარმოებისა და შესაბამისად მიწოდების ზრდის სტიმულირება;

- მეურნეობრიობის ცალკეულ ორგანიზაციულ ფორმებში გაფართოებული კელაეწარმოებისათვის აუცილებელი შემოსავლის დონის გარანტირება;

- აგრარული ბაზრების ინფრატსრუქტურის განვითარება,

- იმპორტის ორგანიზება და ექსპორტის რეგულირება შიდა ბაზრების საქმიანობის რეგულირების პოზიციებიდან

ქვეყნის აგრარულ სექტორში მარკეტინგის ძირითადი პრინციპის

გამოყენება ბრმად არ უნდა იმეორებდეს სახელმწიფოებრივი გამოცდილებას საჭიროა მისი პრინციპულად გააზრება და არსებულ პირობებთან ადაპტირება. აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ თანამედროვე აგრარული ბაზრის სუსტად განვითარება, მოთხოვნა-მიწოდებას შორის ბალანსის დარღვევა, ზოგიერთი სახეობის პროდუქციის დეფიციტურობა და შესაბამისად მათზე კონკურენციის არარსებობა.

მარკეტინგული სამსახურის საქმიანობა უნდა ემყარებოდეს ყოველი საწარმოს თავისებურების გათვალისწინებით შემუშავებულ სათანადო დებულებას, რომელშიც აუცილებლად განსაზღვრული უნდა იყოს სამსახურის კონკრეტული ამოცანები; მისი მუშაკის უფლებები და მოვალეობები, საწარმოს სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ურთიერთობები და სხვა

უნდა აღინიშნოს, რომ მარკეტინგული საქმიანობის პრაქტიკაში დანერგვის ტემპები დამოკიდებული იქნება: თითოეული საწარმოს სპეციფიკურ თავისებურებებზე; ყველა დონეზე მართვის ოპერატიულობისა და მოქნილობაზე; აგრარული მარკეტინგის საკითხებზე შესრულებული სპეციალურ კვლევით სამუშაოებზე; კადრების მომზადებაზე.

აგრარული მარკეტინგის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორია ამ სფეროში კვალიფიციური კადრების ნაკლებობა. აუცილებელია მაღალკვალიფიციური მარკეტოლოგებისა და მენეჯერების მომზადება.

ამრიგად, ნათელია, რომ აგრარული მარკეტინგისა და მენეჯმენტის ძირითადი პრინციპებისა და მეთოდების სისტემატურად რეალიზებას შეუძლია არსებითი გავლენა იქონიოს აგრარულ სექტორში მდგომარეობის სტაბილიზაციაზე და შეამსუბუქოს დაძაბულობა ქვეყნის სასურსათო ბაზარზე.

### თ ა გ ი 3. აგრარული სფეროს სახელმწიფოებრივი რეგულირების ძირითადი ბერკეტები

#### 3.1 გადასახადები და საგადასახადო პოლიტიკა აგრარულ სფეროში

საქართველოში ეკონომიკის კონვერსიის რთული და მრავალ-  
წახნაგოვანი პროცესი, რომლის პირველი შედეგებაც უკვე ნათლად  
გამოიკვეთა, მრავალმხრივ ანალიზს საჭიროებს. რეფორმების წინააღმდეგ-  
ობრივ გზაზე წარმოიშვა მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები,  
რომელთა დაუყოვნებლივ გადაჭრა აუცილებლობით არის ნაკარნახევი და  
უკავშირდება ეკონომიკაში სახელმწიფოებრივ რეგულირებას, რომლის შემ-  
ადგენელი ნაწილიც არის გადასახადები და მათთან დაკავშირებული  
ეკონომიკური ურთიერთობები.

გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელია ისეთი პრობლემები,  
როგორცაა: სახელმწიფოსა და რეგიონების ფინანსური სისტემის სტ-  
აბილიზაციის მიღწევა, ეკონომიკაში სტრუქტურული დასაქმების დანქარება,  
სამეურნეო საქმიანობის აქტივიზაცია, მეწარმეობის განვითარების,  
საწარმოების ზრდისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების სტიმულირება  
სწორედ ამიტომ არის მინეული ეფექტიანი საგადასახადო სისტემის შექმნა  
ნებისმიერი ქვეყნის საერთო სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ  
მთავარ პრობლემად.

საერთოდ აღიარებულია, რომ ჯანსაღი რეფორმა გადასახადების სფ-  
ეროში ნიშნავს ჯანსაღ რეფორმას ეკონომიკის სფეროში. გადასახადებით  
სახელმწიფოს მაკროეკონომიკური რეგულირება ეს არის საქართველოს  
ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის ამოსავალი დებულება. ამდენად  
აუცილებელია საქართველოში ჩამოყალიბდეს ოპტიმალური საგადასახადო  
კანონმდებლობა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სახელმწიფო ბიუჯეტში  
საგადასახადო შენატანების ხვედრითი წონის ამაღლებას.

ეკონომიკის სახელმწიფოებრივ რეგულირებაში განსაკუთრებული  
აღგილი უჭირავს საგადასახადო სისტემას. ძირითადი ინსტრუმენტი,  
რომლის საშუალებითაც მთავრობა ზემოქმედებს ქვეყნის ეკონომიკაზე ეს

არის საგადასახადო პოლიტიკა.

ისეთი ცნობილი ეკონომისტები, როგორც არიან რ ფრიში (ნორვეგია), ი. ტინბერგერი (ჰოლანდია), უ. ბევერიჯი (ინგლისი), უ. მირელი და კლანდაუერი (აშშ) და სხვები, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების სისტემაში წამყვან როლს გადასახადებს აკუთვნებენ [42, გვ.28].

საგადასახადო სისტემის როლი და მნიშვნელობა აისახება თვით გადასახადების ფუნქციაში. გადასახადების ფისკალური ფუნქციის მეშვეობით წარმოიშობა სახელმწიფოს ფულადი ფონდები და იქმნება მისი ფუნქციონირებისათვის მატერიალური პირობები. ამ ფუნქციის მეშვეობით წარმოებს ეროვნული შემოსავლის ნაწილის განსახელმწიფოებრიობა ფულადი ფორმით, ქმნის ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევისათვის ობიექტურ წინაპირობებს. სწორედ ამიტომ გადასახადების ფისკალური ფუნქცია მნიშვნელოვნად განაპირობებს მისი მარეგულირებელი ფუნქციის განვითარებას. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ გადასახადები აქტიურად მონაწილეობენ ეროვნული შემოსავლის გადანაწილებით პროცესში, ასტიმულირებენ ან ანელებენ მას, აძლიერებენ ან ასუსტებენ კაპიტალის დაგროვებას, აფართოებენ ან ამცირებენ მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობას.

საგადასახადო პოლიტიკით შესაძლებელია გადაწყდეს არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური, ეკოლოგიური და სხვა საკითხებიც, ამის მაგალითები ხშირად გვხვდება განვითარებული ქვეყნების საგადასახადო პრაქტიკაში.

ნებისმიერი ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკა მიმართულია ოპტიმალური საგადასახადო სისტემის შექმნისა და მისი ეფექტიანად ფუნქციონირებისაკენ, რაც გამოიხატება ქვეყნის შემოსავლების გაზრდაში და ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებაში. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება გადასახადების ოპტიმალური განაკვეთის დადგენას. მისი ხელოვნური გაზრდა აფერხებს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, სტიმულს უკარგავს წარმოებას და მეწარმეთა უმრავლესობა „წრდილოვან ეკონომიკაში“ გადის.

[48, გვ.5]

საგადასახადო ტვირთის ოპტიმალური სიდიდე ნებისმიერი სახელმწიფოს პრობლემაა. ზოგჯერ, როგორც სპეციალურ, ასევე პუბლიცისტურ ლიტერატურაში ეხვედებით მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ რაც უფრო დაბალია საგადასახადო ტვირთი, მით უფრო დინამურად ვითარდება სახელმწიფოს ეკონომიკა: რაც ნაკლებია გადასახადი, მით მაღალია ეკონომიკის ზრდის ტემპები.

ეკონომიკური მიდგომის თანახმად, გადასახადების განაკვეთის შემცირება მოხმარების ზრდას განაპირობებს. მოკლევადიან პერიოდში სამომხმარებლო ხარჯების მატება საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის ანუ წარმოების მოცულობისა და დასაქმების ზრდას იწვევს. ამასთან მოხმარების ზრდით გამოწვეული დანახოების შემცირება ინვესტიციებს შორის კონკურენციას ამწეავებს, რაც საბოლოო ჯამში, საპროცენტო განაკვეთის მომატებამდე მიგვიყვანს, ეს კი თავის მხრივ, სამამულო ინვესტიციებს შეუშლის ხელს და უცხოური კაპიტალის იმპორტს მისცემს სტიმულს. განვითარებული ქვეყნის ეკონომიკისათვის ეს ეფექტი, რა თქმა უნდა, უარყოფითი ბუნებისაა, მაშინ, როცა პოსტსაბჭოური ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი ეკონომიკისათვის იგი აშკარად სასურველი დადებითი მომენტების მატარებელია: ჯერ ერთი, საგადასახადო წნეხის შემსუბუქება საწარმოო სიმძლავრეების დასატვირთად საჭირო თანხების გამონთავისუფლებას უწყობს ხელს, ხოლო მეორე მოძველებული ტექნიკისა და ტექნოლოგიის პირობებში კონკურენტუნარიანი პროდუქციის საწარმოებლად სწორედ უცხოური ინვესტიციები არის საჭირო.

მსოფლიო საგადასახადო სისტემები იმყოფებიან მუდმივი ცვლილებებისა და სრულყოფის პროცესში, ამიტომაც არ არსებობს საგადასახადო სისტემის ისეთი მოდელი, რომელიც ერთნაირად გამოსაღები იქნება ყველა ქვეყნისა და დროისათვის. გამომდინარე აქედან, საგადასახადო სისტემა, რომელიც ეფექტიანია ერთ ქვეყანაში, მეორეში შეიძლება არაეფექტიანი და საერთოდ გამოუსადეგარიც კი იყოს.

მონეტარისტული თეორია, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენელია მ. ფრიდმენი, მხარს უჭერს თავისუფალი ბაზრის იდეას. იგი გულისხმობს

სახელმწიფოს როლის შემოფარგვლას მხოლოდ იმ საქმიანობით, რომლის შესრულებაც მის გარდა არავის შეუძლია. [115, გვ 119] ეს არის მიმოქცევაში ფულის რეგულირება. ამასთან დაკავშირებით მონეტარისტული თეორია ყურადღებას ამახვილებს გადასახადების შემცირებაზე მონეტარისტების აზრით რადგან სახელმწიფო ყოველწლიურად ზრდის ხარჯებს, რაც იწვევს ინფლაციის დამატებით ზრდას, მას არ შეუძლია წარმოების მოცულობის, დასაქმებისა და ფასების რეგულირება. მას შეუძლია მხოლოდ დაეხმაროს ეკონომიკას ფულადი მასის რეგულირებით-ზედმეტი ფული ამოიღოს მიმოქცევიდან თუ სახელმწიფო სესხებით არა, გადასახადებით მაინც.

„ნეოკლასიკური სინთეზის“ (თანამედროვე პირობებში განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელი თეორიის) თვალსაჩინო წარმომადგენელი, ცნობილი ამერიკელი მეცნიერი, ნობელის პრემიის ლაურეატი პ. სამეულსონი გეთავეაზობს სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების გზებს, რომელშიც გადასახადებს უკანასკნელი ადგილი როდი უჭირავს. იგი გადასახადების პროგრესულობის მომხრეა, ამასთან, ყურადღებას ამახვილებს დაბეგერის საზოგადოებრივ სარგებლობაზე. სამეულსონის აზრით გადასახადების სტრუქტურა ისეთი უნდა იყოს, რომ ბაზრის მექანიზმის განსაზღვრული შემოსავლები მისი მეშვეობით საზოგადოების ინტერესების დასაკმაყოფილებლად გადაიწილდეს. იგი მიუთითებს კონკრეტულ შემთხვევაში გადასახადების რეგრესულ შედეგებზე, რაც აფერხებს რესურსების ეფექტიან გამოყენებას. ამასთან ყურადღებას ამახვილებს ორმაგი დაბეგერის უარყოფით მოქმედებაზე და საერთოდ საგადასახადო სისტემას, როგორც მთელი ეკონომიკის განუყოფელ ნაწილს, გადასახადების პროგრესულობის თვალთახედვით აფასებს. ამიტომ საგადასახადო პოლიტიკა, სამეულსონის აზრით, კარგად მოფიქრებული, აწონილ-დაწონილი უნდა იყოს და თანამედროვე ეკონომიკურ ანალიზს ეფუძნებოდეს.

ამერიკელი ეკონომისტები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ყვედერალური გადასახადების საშუალო განაკვეთსა და ყვედერალური ბიუჯეტის დეფიციტს შორის კორელაციური კავშირი არსებობს. მართალია გადასახადების

გაზრდა ბიუჯეტის დეფიციტის ან ლიკვიდაციის ყველაზე მარტივი გზაა, მაგრამ, მეორე მხრივ, მზარდი გადასახადები მხოლოდ აღრმავებს დეფიციტს. გადასახადების მაღალი პროცენტი ასოცირდება დიდ დეფიციტთან, უმუშევრობის დონის ზრდასთან და მოულოდნელ ინფლაციასთან.

გადასახადები ეკონომიკურ გავლენას ახდენენ ბაზრის ყველა კონტრაგენტებზე. დაბეგვრას ექვემდებარება საოჯახო მეურნეობის შემოსავლები, სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული მთლიანი შემოსავალი, შრომის ანაზღაურების ფონდი, მოგება, დანახოგი, დივიდენდი და ა.შ. გადასახადები ერცვლდება არა მხოლოდ საოჯახო მეურნეობებსა და ფირმებს, არამედ რესურსების, საქონლისა და მომსახურების, კაპიტალის ბაზარზე. მაშასადამე, გადასახადები ფიგურირებს საქმიანი აქტიურობის ნებისმიერ დონეზე, საგადასახადო ტვირთს ატარებს ნებისმიერი სუბიექტი-როგორც მწარმოებელი, ისე მომხმარებელი.

საგადასახადო ტვირთის განაწილების თანაფარდობას მწარმოებელსა და მომხმარებელზე დიდად განსაზღვრავს ბაზრის რაობა, საბაზრო სიტუაცია. [35, გვ.268] თუ დარგში არსებობს არა კონკურენცია, არამედ მონოპოლია, მაშინ გადასახადის შემოქმედება ამ თანაფარდობაზე განსხვავებულია. გადასახადების დაწესებამდე მონოპოლისტი ირწევს პროდუქციის გამოშვების ისეთ დონეს, რომლის დროსაც დამატებით პროდუქციის წარმოების ხარჯები ტოლი იქნება დამატებითი შემოსავლის.

ამრიგად, კონკრეტულ ბაზარზე თუ მიწოდება არაელასტიკურია ან მოთხოვნა ელასტიკური, მაშინ გადასახადი მთლიანად დაეკისრებათ მწარმოებელს, ხოლო, თუ მიწოდება ელასტიკურია ან მოთხოვნა არაელასტიკური, მაშინ გადასახადს მთლიანად მომხმარებლები გადაიხდიან მონოპოლიურ ბაზარზე ფასი, რომელსაც მომხმარებლები იხდიან შეიძლება გაიზარდოს უფრო მეტად, ვიდრე გადასახადი. ამ შემთხვევაში გადასახადი შეიძლება გადატანილ იქნას მწარმოებლებიდან მომხმარებლებზე 100%-ზე მეტი ოდენობით.

საგადასახადო სისტემის ოპტიმიზაციის შეფასებას საკუთარი კრიტერიუმები გააჩნია. ამ კრიტერიუმებზე მეცნიერ-ეკონომისტ-ფინანსთა შორის არ

არსებობს ერთიანი მოსაზრება. განვითარებული ქვეყნებისათვის ცნობილია საგადასახადო სისტემის 5 ძირითადი კრიტერიუმები:

1. ეკონომიკური ეფექტიანობა: საგადასახადო სისტემა წინააღმდეგობაში არ უნდა იყოს რესურსების ეფექტიანად განაწილებასთან;
2. ადმინისტრაციული უბრალოება: ადმინისტრაციული სისტემა მარტივი უნდა იყოს და გამოსაყენებლად შედარებით იაფი;
3. მოქნილობა: საგადასახადო სისტემას უნდა შეუძლოს ცვალებად ეკონომიკურ პირობებთან სწრაფად რეაგირება;
4. პოლიტიკური პასუხისმგებლობა: საგადასახადო სისტემა ისე უნდა იყოს აგებული, რომ ადამიანები დაარწმუნოს იმაში, რომ ისინი იხდიან იმიტომ, რომ პოლიტიკურ სისტემას შეუძლოს ზუსტად გამოხატოს მათი უპირატესობა;
5. სამართლიანობა: საგადასახადო სისტემა უნდა იყოს სამართლიანი საზოგადოების სხვადასხვა წევრთან ურთიერთობაში [158, გვ.369].

არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც. საგადასახადო სისტემის შესადავებლად მიზანშეწონილად არის მიჩნეული შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინება: ვალდებულებათა შეფარდებითი თანასწორობა. ეკონომიკური ნეიტრალობა, ორგანიზაციული უბრალოება, მოქნილობა და გადამხდელების მხრიდან გადასახადების გაკონტროლება.

პროფ. დ. გ. ჩერნიკი ეყრდნობა რა ადამ სმიტის კლასიკურ ნაშრომს „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ (1776წ.) იძლევა შეფასების ოთხ კრიტერიუმს: სამართლიანობის, განსახლდრულობის, მოხერხებულობის და ეკონომიის პრინციპს [179, გვ.172]

ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის პროცესში საგადასახადო სისტემისადმი უკმაყოფილება და მისი მძლავრი კრიტიკა უპირატესად გამოწვეულია გადასახადების სამართლიანობის დეფიციტით, რომ ისინი ხშირ შემთხვევაში არასამართლიანად არის მიჩნეული.

ოპტიმალური საგადასახადო სისტემა გულისხმობს გადასახადით დაბეგვრის საყოველთაობას და მოქალაქეთა შორის გადასახადის განაწილების თანაფარდობას მათი შემოსავლის მიხედვით. საგადასახადო დაბეგვრის

პრაქტიკაში თანასწორობის პრინციპის გამოყენებას ორ საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში საყრანგეთის ფინანსთა მინისტრი ამატი ტერე წერდა: „მე უფრო ვცდილობ მივალწიო გადასახადის განაწილებაში თანასწორობას, ვიდრე მის 'ზუსტად გადახდას“. [179, გვ.172]

აღამიანთა ერთ ნაწილს გადასახადის გადახდის მეტი შესაძლებლობა გააჩნია, მეორე ნაწილი ფლობს ეკონომიკური კეთილდღეობის უფრო მაღალ დონეს, ხოლო მესამე ნაწილი იღებს საერთო სახელმწიფო ხარჯებიდან უფრო მეტ შემოსავალს. ფიზიკური პირი იმყოფება რა უკეთეს ეკონომიკურ პირობებში, ვალდებულია მეტი გადასახადი გადაიხადოს პრობლემა ისაა, განვსაზღვროთ ვინ იმყოფება უკეთეს ეკონომიკურ პირობებში. საგადასახადო სისტემას საფუძვლად უნდა დაედოს კეთილდღეობის განსაზღვრული ვიწრო გაგება და არა ის, რომ ეს უკანასკნელი მიიღტეოდეს მოვლენათა ზოგადი საერთო მდგომარეობის შეფასებისაკენ. ეს იქნება წინასწარ დაგეგმილი უსამართლობის აღიარება.

საგადასახადო დაბეგრის სფეროში მოქალაქეთა თანასწორობა არ ნიშნავს იმას, რომ გადასახადები დიფერენციაციას არ დაექვემდებაროს. ჯერ ერთი, გადასახადების დიფერენციაცია წარმოებს მკაფიო კრიტერიუმების შესაბამისად და მეორე, ეს კრიტერიუმები დაკავშირებულია ინდივიდების მოქმედების შედეგებზე.

ასე, რომ სასურველია გადასახადების დიფერენციაცია მოუახდინოთ ინდივიდების მიერ საზოგადოებრივი კეთილდღეობისადმი უპირატესობის მინიჭების შესაბამისად. ასეთი დიფერენციაცია არ ეწინააღმდეგება თანასწორობის იდეას.

გადასახადების დიფერენციაციის ორი პრინციპი არსებობს: მისაღები სარგებლიანობის და გადახდისუნარიანობის პრინციპი. პირველი პრინციპი აგებულია იმ განსხვავებულ მოსაზრებაზე, რომელიც არსებობს საგადასახადო ტვირთის სიდიდესა და გადასახადების სხვადასხვა გამამხდელეებზე სახელმწიფოს მოქმედების სარგებლიანობას შორის. თუ ერთი ინდივიდისათვის სახელმწიფო მოქმედებას უფრო მეტი სარგებლ-

იანობა მოაქვს, ვიდრე მეორისათვის, პირველი მოვალეა საზოგადოებრივი კეთილდღეობის დაფინანსებაში მეტი წვლილი შეიტანოს

იმის გამო, რომ არ არსებობს ინდივიდთა სუბიექტური მომსახურების ადეკვატური შეფასების შესაძლებლობანი, რომ საზოგადოებრივი კეთილდღეობის დასაფინანსებლად მეტი გადასახადი გადაიხადოს, მისაღები სარგებლიანობის პრინციპი უაქტობრივად ნებისმიერ ქვეყანაში შეზღუდულად გამოიყენება, უპირატესად ზოგიერთი მარკირებული გადასახადის აკრეფისას.

საგადასახადო სისტემის ეკონომიკური ეფექტიანობა შეიძლება განვიხილოთ ორ სხვადასხვა სიბრტყეზე. ერთი მხრივ, დღის წესრიგში დგება საზოგადოებრივი სექტორის წარწოებში რესურსების ალოკაციის ეფექტიანობის საკითხი. ამ შემთხვევაში ეფექტიანობის ამაღლება ითვალისწინებს საგადასახადო წნეხის დაკავშირებას საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე მოთხოვნილებასთან.

ამასთან არსებობს ამ პრობლემის მეორე მხარეც. შემოღებული გადასახადი შემოღებიდან მცირე ხნის შემდეგ გაველენას ახდენს რესურსების ალოკაციაზე საზოგადოებრივი სექტორის გარეთ.

ამჟამად საქართველოში საგადასახადო სისტემა, ერთ მხრივ, ეყრდნობა განვითარებული ქვეყნების გამოცდილებას, მეორე მხრივ, თავს ვერ აღწევს გარდამავალი პერიოდის დაწყებითი ეტაპის რეალურ პირობებს. ეკონომიკაში აშკარაა საგადასახადო სისტემის მარგი ქმედების კოეფიციენტის დაცემის ტენდენცია, ფისკალური ეფექტის დაქვეითება, დაბეგურისაგან მასობრივი თავის არიდება, დაბალი საგადასახადო კულტურა და ა.შ. ამ გარემოებამ დადი დაასვა საქართველოში მიმდინარე ფისკალურ პოლიტიკას, რამაც უარყოფითი გაველენა მოახდინა ეროვნულ ეკონომიკაზე

გადასახადის სიდიდის განსაზღვრის საფუძველია მიწის ფართობის ან სავარგულების დამადსტურებელი დოკუმენტი. მიწის გადასახადის სიდიდე არაა დამოკიდებული გადამხდელის ეკონომიკური საქმიანობის შედეგებზე (შემოსავალზე ან მოგება-ზარალზე) და დგინდება მიწის ფართობის ერთეულზე ფიქსირებული გადასახადის სახით. მიწის გადასახადი დიფერენცირუ-

ბულია მიწის ხარისხის და ადგილმდებარეობის მიხედვით მიწის გადასახადის ერთ-ერთი თავისებურებაა ისიც, რომ იგი თავისი შინაარსით საერთო სახელმწიფოებრივ გადასახადთა რიცხვს მიეკუთვნება. მაგრამ მთლიანად ჩაირიცხება ადგილობრივ ბიუჯეტში. ასეთ პირობებში მიწის რეალური საბაზრო ფასის დადგენა და მიწის გადასახადის სიდიდის განსაზღვრა გაძნელებულია.

საკითხის დადებითად გადაჭრისათვის საჭიროა სოფლის მეურნეობაში უძრავი ქონების ყველა ობიექტის შეფასება, გაანგარიშებისა და დანერგვის მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდის გამოყენებით. მიწის საგადასახადო განაკვეთის დასადგენად, უწინარეს ყოველისა, საჭიროა მიწის კადასტრის შეფასება.

მიწის გადასახადის (მიწის რენტის) დადგენის შემოთავაზებული მეთოდი აპრობირებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის იტალიაში, სადაც მიწის გადასახადის დადგენის საფუძველი მიწის საკადასტრო რეესტრია. მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება ყოველ 10 წელიწადში ერთხელ, ხოლო შუალედურ პერიოდში მისი რეგულირება სახელმწიფოს მიერ შესასწორებელი კოეფიციენტების გამოყენებით იზრდება.

2005 წლის საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსის 172-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის საბაზო განაკვეთი დიფერენცირებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და მიწის ხარისხის მიხედვით დგინდება წელიწადში ერთ პექტარზე გაანგარიშებით ლარებში. [იხ. ცხრილი 3.1.1].

საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრებისათვის გამოყენებულ მიწაზე საბაზისო განაკვეთი დგინდება ასევე ადმინისტრაციული ერთეულებისათვის დადგენილი საბაზისო განაკვეთის 20% ოდენობით, ხოლო მიწაზე ქონების გადასახადის საბაზისო განაკვეთი კონკრეტული მიწის ნაკვეთებისათვის მიწის კატეგორიებისა და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით შეიძლება შემცირდეს ან გადიდეს 50%-მდე.

ა) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის საბაზო განაკვეთი დიფერენცირებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით (ლარებში)<sup>1</sup>

ადმინისტრაციული ერთეულების დასახელება	საბაზისო განაკვეთი (ლარი/სა)	
	მიწის ხარისხი	
	კარგი	მწირი
თბილისი, მარნეული	57	31
ბოლნისი, გარდაბანი	52	27
რუსთავი	51	27
ბათუმი, გაგრა, გაღი, გუდაუთა, გულირიფში, ოჩამჩირე, სოხუმი	51	27
ქობულეთი, ხელვაჩაური, გურჯაანი, დედოფლისწყარო	44	24
თელავი, ლაგოდეხი, სიღნაღი	43	22
ყვარელი, გორი, მცხეთა, ახალციხე, ახმეტა, დმანისი,	39	21
კასპი, თეთრიწყარო, სამტრედია	38	20
საგარეჯო, ქარელი, ხაშური	36	20
ქურთა, წალკა	34	19
აბაშა, ზუგდიდი	34	18
ახალქალაქი	34	19
მარტვილი, სენაკი, ხობი, ფოთი	33	17
ნინოწმინდა	33	17
ახალგორი, ვანი, ზესტაფონი, ლანჩხუთი, ოზურგეთი	30	15
ბაღდადი, თერჯოლა, ხონი, ქუთაისი	28	15
წალენჯიხა, წყალტუბო, ჩხოროწყუ	24	13
სანხერე, ცაგერი, ცხინვალი	22	12
ამბროლაური, დუშეთი, თიანეთი, ადიგენი, ბორჯომი	18	11
ასპინძა, ტყიბული, ხულო, ქუდა	17	9
შუახევი, ხარაგაული, ჭიათურა, ლენტეხი, ონი, ჩოხატაური, მესტია, ყაზბეგი, ჯაეა	13	8

<sup>1</sup> საქართველოს საგადასახადო კოდექსი გვ 182, 2005 წ

ბ) ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრებისათვის<sup>1</sup>

ადმინისტრაციული ერთეულების დასახელება	საბაზისო განაკვეთი (ლარი/ჰა)			
	სათიბები	საძოვრები	გაკულტურებული	
			სათიბები	საძოვრები
<p>1. აბაშა, ახალქალაქი, გორი, ბათუმი, ბოლნისი, გაგრა, გალი, გარდაბანი, გუდაუთა, გულირიფში, გურჯაანი, დედოფლისწყარო, დმანისი, ზუგდიდი, თბილისი, თეთრიწყარო, თელავი, ლაგოდეხი, ლანჩხუთი, მარნეული, მცხეთა, ნინოწმინდა, ოზურგეთი, ოჩამჩირე, რუსთავი, სამტრედია, სენაკი, სიღნაღი, სოხუმი, ქუთაისი, ქობულეთი, ყვარელი, წალკა, წყალტუბო, ხელვაჩაური, ხობი, ფოთი.</p>	6	3	8	4
<p>2. ადიგენი, ასპინძა, ახალგორი, ბაღდადი, ბორჯომი, ვანი, ზესტაფონი, თერჯოლა, თიანეთი, კასპი, მარტვილი, საგარეჯო, საჩხერე, ტყიბული, ქარელი, ქედი, შუახევი, ჩოხატაური, წალენჯიხა, ხარაგაული, ხაშური, ხონი, ხულო, ახალციხე.</p>	4	2	7	3
<p>3. ამბროლაური, ახმეტა, დუშეთი, ლენტეხი, მესტია, ონი, ყაზბეგი, ცაგერი, ცხინვალი, ჭიათურა, ჯაავა</p>	2,5	1,5	4	2

<sup>1</sup> საქართველოს საგადასახადო კოდექსი გვ 182, 2005 წ.

მოგების გადასახადით დაბეგერისაგან თავისუფლდება: სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული იმ იურიდიული პირის მოგება, რომლის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში განხორციელებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდება მის სამრეწველო გადამუშავებაზე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე) არ აღემატება 100 ათას ლარს“.

საგადასახადო სისტემის ასეთი მექანიზმი მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს ქვეყნის ცენტრალურ ბიუჯეტში სახსრების აკუმულირებას და ამით აძლიერებს სახელმწიფოს როლს ეკონომიკური პროცესების რეგულირებაში. ამასთანავე ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის საწარმოთა მეტ დამოუკიდებლობას თავიანთ სამეურნეო საქმიანობაში.

როგორც აღვნიშნეთ, საბაზრო ურთიერთობების პირობებში აგრარული სექტორის სახელმწიფო ეკონომიკური რეგულირების ერთ-ერთ ძირითად ბერკეტს წარმოადგენს საგადასახადო სისტემა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს სოფლის მეურნეობაში მეწარმეობის განვითარებას და პროდუქციის წარმოების გადიდებით მეწარმეთა დაინტერესებას. აუცილებელია აღინიშნოს, რომ მიწის გადასახადი, რომელიც მთავრობამ დააწესა არ არის მაღალი, პირიქით, იგი იმდენად დაბალია, რომ შესაკუთრეს ვერ უბიძგებს მიწის ინტენსიურად გამოყენებისაკენ. არის შემთხვევები, როცა კერძო საკუთრებაში არსებულ მიწას ან არ იყენებს და ან ვერ იყენებს და გაყიდვის მომლოდინე იხდის გადასახადს. ამიტომაც საგადასახადო სისტემა უნდა იყოს ისეთი, რომ იძლეოდეს მიწასთან დაკავშირებული ურთიერთობების ოპტიმალურად რეგულირების საშუალებას. რაც შეეხება მიწის გადასახადის გაუქმებას, ის შეიძლება დასაშვები იყოს დამწყები ფერმერისათვის, ან მიწის საკუთრებაში გადაცემის შემდეგ გარკვეულ პერიოდში, მაგრამ საერთოდ გაუქმება მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია

მიწის ეფექტიანად გამოყენების რეგულირების საშუალებად პირველ რიგში საგადასახადო სისტემა უნდა გამოვიყენოთ. მიზანშეწონილად მიგვაჩნია მიწის დაუმუშავებლად მიტოვებისათვის შესაკუთრის მიმართ რაღაც ღონისძიებები იქნას გატარებული, თუნდაც ჯარიმის გადახდა ან

კიდევ გარკვეული პერიოდის შემდეგ ჩამოერთვას საკუთრებაში გადაცემული მიწა. ხოლო მესაკუთრე, რომელიც ნაყოფიერად გამოიყენებს მიწას და სისტემატურად მაღალ მოსავალს მიიღებს, წახალისებული უნდა იქნეს გადასახადის განაკვეთის შემცირებით.

რაციონალური საგადასახადო პოლიტიკა უნდა გახდეს სოფლად მეწარმეობის სახელმწიფო რეგულირების ეფექტიანი საშუალება და რამდენაც სწრაფად მოხდება ეს, იმდენად დაჩქარდება კერძო მეწარმეობის ინტენსიურ რელსებზე გადასვლა. სოფლის მეწარმისათვის საგადასახადო განაკვეთი უნდა იყოს ისეთი, რომ არ შეზღუდოს მეწარმეობის განვითარების ეკონომიკური პირობები. სოფლის მეწარმე, რომელიც ობიექტური მიზეზების გამო, ზარალით დაამთავრებს სამეურნეო წელს, გადასახადისაგან უნდა განთავისუფლდეს და მიიღოს მისი დასაფარავი კომპენსაცია. ასეთ შეღავათებს ადგილი აქვს ყველა ცოვილიზებულ ქვეყნებში და თუ ჩვენ ამას ვერ შევძლებთ, უნდა ვადიაროთ, რომ მეწარმეობის კერძო სექტორი ვერ იარსებებს.

კერძო სექტორის ფუნქციონირებისათვის აუცილებელია თავისუფალი საკრედიტო ბაზრის არსებობა. დღეისათვის კერძო მეწარმისათვის საკრედიტო ბაზარი თითქმის არ არსებობს, რაც ძალიან აფერხებს მის განვითარებას. ქვეყანაში არსებობს კრედიტებისა და დახმარების საზღვარგარეთული ფონდები, მაგრამ მისი მიღების მექანიზმები ძალიან რთულია და სოფლის მეწარმისათვის მიუწვდომელია. კომერციული ბანკები კი საერთოდ ხელმიუწვდომელ პირობებს სთავაზობენ აგრარულ სექტორს

### **3.2. ფასწარმოქმნა. სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის პროდუქციაზე საფასო პარიტეტის მართვა**

საქართველოში ეკონომიკური რეფორმების საფუძვლად არჩეულ იქნა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემოთავაზებული მოდელი.

რომლის რეალიზაცია რეფორმების განხვილ პერიოდში სხვადასხვა ინტენსივობით და შედეგებით ხასიათდებოდა.

სამწუხაროდ, რეფორმა დაიწყო ყველაზე მარტივი მეთოდით-ფასების ლიბერალიზაციით, ეს განპირობებული იყო როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური ფაქტორებით. ობიექტურიდან აღსანიშნავია რუსეთის ფაქტორები რუსეთში რეფორმა დაიწყო ფასების ლიბერალიზაციით, საქართველოს არ შეეძლო მხარი არ დაეჭირა მისთვის. სუბიექტურია ის, რომ ადგილი ჰქონდა არაკომპეტენტურობას და უცოდინარობას ფასწარმოქმნის თეორიასა და პრაქტიკაში. ფასების სწორი პოლიტიკის ფორმირებაზე კი დიდად არის დამოკიდებული საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის წარმატებები.

საქართველოში ფასების პირველ მნიშვნელოვან მატებას ადგილი ჰქონდა 1991 წლის იანვარ-მაისში. 1992 წლის ივლისში ფასები განთავისუფლდა ისეთ პროდუქტებზე, როგორცაა: ხორცი, კარტოფილი, მარლი, შაქარი, მცენარეული ზეთი, ასანთი, ბენზინი, დიზელის საწვავი, ქვანახშირი და ა.შ. შემდგომში ფასების სახელმწიფოებრივ რეგულირებას ადგილი ჰქონდა პურზე, რძეზე, წამლებზე, ბუნებრივ გაზზე, ელექტროენერგიაზე, სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის მომსახურებაზე.

რაც შეეხება საბითუმო ფასებს, მათი განთავისუფლება ძირითად პროდუქტებზე განხორციელდა 1992 წელის მარტ-აპრილში. 1994 წლის ბოლოსათვის ღირებუთული საბითუმო ფასები მოქმედებდა ქვანახშირზე, ბუნებრივ და თხევად გაზზე, ელექტროენერგიაზე და კავშირგაბმულობის მომსახურებაზე.

1992-1995 წლებში თანდათანობით მოიხსნა პროდუქციაზე და მომსახურებაზე ფასების კონტროლი. ამ პერიოდში ნაწილი პროდუქციის ფასები კონტროლს იყო დაქვემდებარებული და გადასინჯვა ხდებოდა 'ზრდის მიმართულებით. 1994 წლისათვის ჯერ კიდევ ჰქონდა ადგილი ფასების რეგულირებას პურზე, რძეზე, ფარმაცევტულ სამედიცინო საქონელზე, ელექტროენერგიაზე, წყალზე, ბუნებრივ გაზზე, ქვანახშირსა და ტრანსპორტზე. ზოგიერთი რეგულირებადი ფასები განისაზღვრება პროდუქციის თვითღირებულებისა და მოგების მაქსიმალური ზომის

შეზღუდვის საფუძველზე. ისეთ საქონელზე, როგორცაა პური, ბუნებრივი გაზი, ელექტროენერგია, საცალო ფასები დგინდება უფრო დაბალ დონეზე, ვიდრე მათი თვითღირებულებაა, რაც იწვევს სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული სუბსიდირების აუცილებლობას.

1995 წლის მეორე ნახევრისათვის კი ქვეყანაში თითქმის ყველა პროდუქცია და მომსახურება იყიდებოდა თავისუფალი ფასებით. ფასების დინამიკაზე გარკვეულ წარმოდგენას იძლევა შემდეგი ცხრილი (იხ. ცხრილი 3.2.1.)

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფასებს დიდი მთხოვნები წაუყენა. ამ დროს ფასები გამოდის, როგორც მიწოდება-მოთხოვნის რეგულატორი და პირიქით, ფასები, თავის მხრივ, განიცდის ტრანსფორმაციას ჩამოყალიბებული მიწოდება-მოთხოვნის პროპორციებიდან გამომდინარე. მაგრამ ეს არ იქნა გათვალისწინებული რეფორმების თავდაპირველ ეტაპზე და გარდაქმნები დაიწყო ფასების განთავისუფლებით.

რუსეთში ფასების ლიბერალიზაციით გარდაქმნების დაწყებას მაინც ჰქონდა გარკვეული საფუძველი, ვინაიდან მას გააჩნია ენერგომატარებლების დიდი მარაგი, რომელთა ფასები ძირითადად განსაზღვრავს ამ ქვეყანაში ფასწარმოქმნის პოლიტიკას. მაგრამ ისეთ ქვეყანაში, როგორც საქართველოა, რომელიც ღარიბია როგორც ენერგომატარებლობით, ასევე ნედლეულით ეკონომიკური რეფორმის დაწყება ფასების ლიბერალიზაციით აშკარად არასწორია.

ფასების ლიბერალიზაციას მხოლოდ მაშინ აქვს დადებითი შედეგი, როდესაც ჩამოყალიბებულია საკუთრების შერეული ფორმა, შექმნილია პროდუქციის გარკვეული მარაგი და ფორმირებულია გარკვეული კონკურენციული გარემო. სამწუხაროდ რეფორმის დაწყების წინ საქართველოში ამ ელემენტებიდან არც ერთი არ იყო შექმნილი. ამ პერიოდში ყველანაირი პროდუქცია დეფიციტი იყო და საშუალო ფასებს ძირითად სამომხმარებლო საქონელზე (ღარები) ძირითადად მონოპოლიური მეურნეობა კარნახობდა, ფასების ლიბერალიზაცია ნაადრევი იყო. ფასების განთავისუფლება უფრო ეფექტიანი იქნებოდა საკუთრების

საშუალო ფასები ძირითად სამომხმარებლო საქონელზე (ლარები)  
(1995-2003 წ.წ.)<sup>1</sup>

(ცხრილი 3.2.1)

(ლარი)

დასახელება	ზომის ერთეული	1995	1998	1999	2000	2001	2002	2003
1	2	3	4	5	6	7	8	9
სასურსათო საქონელი მათ შორის:								
პური	კგ	0,30	0,66	0,67	0,70	0,70	0,70	0,70
მკარონის ნაწარმი	კგ	1,20	1,20	1,07	1,07	1,07	1,07	1,07
ბრინჯი	კგ	1,38	1,55	1,92	1,33	1,35	1,35	1,35
კარტოფილი	კგ	0,53	0,75	0,55	0,50	0,65	0,65	0,55
რძე	ლ	1,00	1,08	1,12	1,20	1,20	1,20	1,40
კვერცხი	10ც.	2,08	1,56	1,58	1,54	1,60	1,60	1,82
ხორცი (საქონლის)	კგ	3,72	4,10	3,90	3,90	4,10	4,10	5,10
გაყინული თევზი	კგ	3,80	1,96	2,80	2,70	2,80	2,80	3,43
შაქარი	კგ	0,80	0,94	0,79	1,00	0,96	0,96	0,96
მარილი	კგ	0,30	0,48	0,30	0,30	0,30	0,30	0,32
მცენარეული ზეთი	ლ	2,00	2,40	2,26	2,26	2,40	2,40	2,58
არასასურსათო საქონელი მათ შორის:								
ბენზინი	ლ	0,37	0,49	0,97	0,90	0,90	0,90	1,01
დიზელის საწვავი	ლ	-	0,23	0,72	0,72	0,75	0,75	0,88
ბუნებრივი გაზი	მ <sup>3</sup>	0,130	0,214	0,250	0,250	0,27	0,27	0,27
ელექტროენერ- გია	კვ	0,025	0,06		0,098	0,084	0,084	0,12

<sup>1</sup> ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე

განსახელმწიფოებრობის, მონოპოლისტურ საწარმოთა ხვედრითი წონის შემცირების, ბაზრის საკონლით გაჯერებისა და კონკურენტული გარემოს შექმნის პირობებში, მაგრამ ამაზე ყურადღება არ იქნა გამახვილებული და მთელი სიმძიმე გადატანილ იქნა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ერთადერთ ბერკეტზე-ფასებზე, რომლის დანგრევა შესაძლებელი იყო ადმინისტრაციული წესის გამოყენებით.

პირველი, რაც შედეგად მოჰყვა ფასების განთავისუფლებას, იყო ფასების სწრაფი და უზომო ზრდა, წარმოების მოცულობის შემცირება; მეორე - მოსახლეობის ცხოვრების დონის სწრაფი დაქვეითება

უნდა აღინიშნოს, რომ ცივილიზებულ ქვეყნებშიც კი, სადაც საბაზრო ურთიერთობებს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვთ, ფართოდ გამოიყენება ბაზრისა და მათ შორის, ფასების სახელმწიფოებრივი რეგულირების სხვადასხვა ფორმა და მეთოდი. უფრო მეტიც, საჭიროების შემთხვევაში ამ ქვეყანაში სახელმწიფო აქტიურად ერევა ეკონომიკის მართვასა და რეგულირებაში, არა მხოლოდ ეკონომიკური ბერკეტებით, არამედ ადმინისტრაციულ-განკარგულებითი მეთოდების გამოყენებითაც. საქართველოსათვის კი ბაზრის სახელმწიფოებრივი რეგულირება არათუ სასურველი, არამედ აუცილებელი ელემენტია.

აუცილებელია გამოვიყენოთ ის პროგრესული გამოცდილებანი, რომელიც დაგროვილია განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ფასების სახელმწიფოებრივი რეგულირების საქმეში. მთელ რიგ განვითარებულ ქვეყნებში შემუშავებულია საკანონმდებლო აქტები, რომლითაც განისაზღვრება სახელმწიფო ორგანოების უფლებები ფასების რეგულირებაში, მეწარმეთა უფლება-მოვალეობანი ფასების დაწესებაში და მომხმარებელთა უფლებები (ავსტრია, საბერძნეთი, დანია, ნორვეგია, შვეიცარია, აშშ, საფრანეთი და ა.შ.). აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოებრივ რეგულირებას ექვემდებარება არა მხოლოდ სახელმწიფო სექტორში გამოშვებული პროდუქციის, არამედ კერძო სექტორის ძირითადი სახეობის პროდუქციისა და მომსახურების ფასები. როგორც წესი, რეგულირებას ექვემდებარება შემდეგი სამი ბლოკის პროდუქციის ფასები: პროდუქცია,

რომელიც განსაზღვრავს ეროვნული მეურნეობის ინფრასტრუქტურას (ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, ენერგეტიკა, სათბობი), პროდუქცია, რომელიც განსაზღვრულია ადამიანის სიცოცხლის კელაქვარმოებისათვის (ხორბალი, ხორცი, რძე, საბინაო-კომუნალური მომსახურება) და ბოლოს, პროდუქცია, რომელიც საგარეო ეკონომიკური ურთიერთობებისათვისაა განკუთვნილი. ამ ქვეყანაში შუალედურ პროდუქტებზე ფასები სახელმწიფოებრივ რეგულირებას არ ექვემდებარება.

ფასების სახელმწიფოებრივი რეგულირების დონე მით მეტია, რაც უფრო რთული და დაძაბულია ეკონომიკური სიტუაცია.

ფასების რეგულირებას ახდენს სხვადასხვა სახელმწიფო ორგანო, რომლებსაც ეს უფლებები კანონით აქვთ მინიჭებული. განსაკუთრებით დიდი გამოცდილებაა დაგროვილი ფასების სახელმწიფოებრივი რეგულირების მხრივ აშშ-ში. აქ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე (მარკვალი, ბამბა, არაქისი, თამბაქო) არსებობს საგარეო ფასები.

აგრარულ სექტორში სახელმწიფო საფასო პოლიტიკა ხორციელდება გარანტირებული და მიზნობრივი ფასების გამოყენების საშუალებით.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, ნედლეულის და სურსათის ბაზარზე ეკონომიკური ურთიერთობების საფუძველს წარმოადგენს საბაზრო (შეთანხმებით) ფასები, რომლებიც ყალიბდება მოთხოვნისა და მიწოდების ზეგავლენით, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში პროდუქციის ბაზრის რეგულირების და საქონელმწარმოებელთა მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო იძულებულია გამოიყენოს გარანტირებული და მიზნობრივი ფასები. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გარანტირებული ფასები გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ საშუალო საბაზრო ფასი დაბალია გარანტირებულზე

გარანტირებულმა ფასმა უნდა უზრუნველყოს სასოფლო-სამეურნეო საქონელმწარმოებლების მიერ მოგების მიღება, რომელიც საკმარისია გაფართოებული აღწარმოებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ გარანტირებული ფასები შეიძლება გამოყენებულ იქნეს გარკვეული სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე შეზღუდული მოცულობით. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, ნედლეულის და სურსათის ჩამონათვალი, რომელზეც წესდება

გარანტირებული ფასები, გარანტირებული ფასების დონე, მისი ინდექსაცია და აგრეთვე გარანტირებული ფასების გამოყენების წესი უნდა დადგინდეს ხელისუფლების მიერ. სამწუხაროდ, ამჟამად ჩამოთვლილი ელემენტები არ არის დადგენილი, რაც სახელმწიფო მხარდაჭერის ამ ფორმას პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის. მიზნობრივი ფასები (ნორმალური ინდიკატორები) დგინდება ხელისუფლების მიერ მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასების პარიტეტული ურთიერთობების უზრუნველსაყოფად, დანახარჯების დაფარვისათვის, რომელიც გამოწვეულია გადასახადების და სხვა დანახარჯების გადახდით, კრედიტის პროცენტის გადახდით სოფლის მეურნეობის მუშაკების მიერ შემოსავლების მიღებისათვის, ეკონომიკის სხვა დარგის მუშაკების საშუალო დონეზე და მოგების მიღებისათვის, რომელიც საკმარისია გაფართოვებული კვლავწარმოებისათვის. მიზნობრივი ფასებით დგინდება ტიპური ფერმერული მეურნეობების შემოსავლების ქვედა ზღვრული ფასი და, თუ რეალურმა საბაზრო ფასმა ამ მიზნობრივ ფასებზე ქვეით დაიწია, სახელმწიფო უნაზღაურებს ფერმერს ამ ფასსხეობას. ამგვარი და სხვა მრავალი გამოცდილება არსებობს ფასების სახელმწიფოებრივი რეგულირების მხრივ მსოფლიოს მოწინავე ქვეყანებში.

მიზნობრივი ფასების გამოყენების წესი დგინდება ხელისუფლების მიერ. გარდა ამისა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველადი გადამუშავების, საწარმოო ტექნიკური მომსახურების და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ორგანიზაციისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს რეგულირებადი ფასები ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად. კანონით დაშვებულია სახელმწიფო აკენციის ინსტიტუტი, რომელიც ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, ნედლეულის და სურსათის ბაზრის რეგულირებას და აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო საქონელმწარმოებლობის დაზღვევის მხარდაჭერას.

ამერიკის მთავრობამ ფერმერთა მხარდაჭერის მიზნით შემოიღო ორი ძირითადი მექანიზმი: პირდაპირი და არაპირდაპირი

პირდაპირი მხარდაჭერის დროს სოფლის მეურნეობის სამინისტროს

ფედერალური ბიუჯეტიდან გამოიყოფა გარკვეული თანხა, რომელსაც სამინისტრო ნაღდ ფულად გასცემს სამთავრობო სასოფლო-სამეურნეო პროგრამებში მონაწილე ფერმერებისათვის. ამით ფერმერები იღებენ მინიმალურ ფასებსა და შემოსავლებზე გადასახადების გარანტიებს. ფერმერები ნაღდ ფულს იღებენ, როგორც სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებიდან ამოსადებად, ისე ეროზიისაგან მიწების დასაცავად, მატყლისა და სხვა პროდუქტების წარმოების გასადიდიებლად. მოქმედებს აგრეთვე ფერმერის მხარდამჭერი სესხი ხორბალზე, სიმინდზე, ბრინჯზე, ბამბაზე ფასების მხარდამჭერ სესხთან ერთად ზოგიერთი ფერმერი იღებს, აგრეთვე შემოსავლებზე დამატებით გადასახადსაც, ოღონდ იმ შემთხვევაში თუ მოწეულ კულტურაზე ფაქტობრივი საბაზრო ფასები გარკვეულ დონეზე დაბლა დაეცემა. ამას ეწოდება „მიზნობრივი ფასის“ პროგრამა. „მიზნობრივი ფასისა“ და ფაქტობრივი საბაზრო ფასის შორის განსხვავება, რომელსაც სახელმწიფო უხდის ფერმერს არის „საგადასახადო ბალანსის დეფიციტი“

1998 წლისათვის „მიზნობრივი ფასები“ აშშ-ში ერთ ტონაზე გადაანგარიშებით იყო: ხორბალი - 148 დოლარი, ბრინჯი - 2356 დოლარი, სიმინდი - 108 დოლარი, ბამბა - 1606 დოლარი. მიზნობრივი ფასებს აწესებენ სპეციალური სასოფლო-სამეურნეო კანონმდებლობით ყოველ 5 წელწადში ერთხელ. ფასების მხარდამჭერის პროგრამას იზიარებს ფერმერთა უმრავლესობა. სამთავრობო მხარდაჭერის მეორე პირდაპირი მეთოდია ფულის ნაღდი გადახდა იმ ფერმერისათვის, რომლებსაც წარმოებიდან გამოჰყავთ ზოგიერთი ეროზირებული სათესი მიწები. ფერმერებს ყოველწლიურად უხდიან 121 დოლარს ჰექტარზე, იმ პირობით, რომ ეს მიწები 10 წლის მანძილზე ამოღებული იქნება წარმოებიდან.

არაპირდაპირი მხარდაჭერა რამდენიმე პროგრამას მოიცავს. ერთ-ერთი მათგანია რძის პროდუქტებზე ფასების რეგულირება. მაგალითად, ყოველთვის, როცა 1 ლიტრი რძის საბითუმო ფასი ეცემა - 0,22 დოლარზე დაბლა, სოფლის მეურნეობის სამინისტრო ფერმერს უხდის 1 კგ ყველში - 2,46 დოლარს, 1კგ - კარაქში - 1,67 დოლარს და 1 კგ მშრალ რძეში - 2,14 დოლარს. ცხადია ეს ფასები საუკეთესოდ არეგულირებს ფასებს რძესა და

რძის პროდუქტებზე.

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში თავისუფალი ფასების არსებობა ფარდობითია. მათი რეგულირება ხორციელდება კონკურენციის და ანტიმონოპოლიური კანონების მოქმედების შედეგად. ფასების შეფარდებითი განთავისუფლების შედეგად ისეთ განვითარებულ ქვეყნებში, როგორცაა იაპონია, ყველა ფასის დაახლოებით მესამედი რეგულირდება სახელმწიფოს მიერ, ხოლო აშშ – 40 %- მდე. რუსეთისა და აშშ-ის აგრარულ სექტორში ფასწარმოქმნა ერთმანეთის მსგავსია. სახელმწიფო აწესებს შესაყიდი და გასაყიდი ფასების დონეს, მათი დიფერენციაციის ხარისხის მიხედვით და ა.შ ამასთან დოტაციები მემკენარეობის პროდუქციის ღირებულებაში შეადგენს აშშ-ში 27%-ს, შვეიცარიაში, ნორვეგიაში იაპონიაში 72%-დან – 75%-მდე, ხოლო ჩვენთან ასეთი დადგენილი არ არის.

საბაზრო ურთიერთობების განვითარებასთან ერთად იქმნება ერთიანი საბაზრო სივრცე. ამის გათვალისწინებით შემოღებულ იქნა სახელშეკრულებო ფასები.

ამასთან საცალო ფასების ნორმალიზაციისათვის გამოყენებული უნდა იქნეს სპეციალური რეგულატორები:

- პირდაპირი სუბსიდიები: მიწის ნაყოფიერების შესანარჩუნებლად და ასამაღლებლად ღონისძიებების გასატარებლად; სოციალური ინფრასტრუქტურის და სოციალური ობიექტების შესაქმნელად, სოციალური სყუეროს შესანახად;

- პირდაპირი დოტაციები პროდუქციაზე;

- პოლარული გადახდების მექანიზმი, რათა დიფერენცირებული რენტის მეტი ნაწილი მიემართებოდეს არაკეთილსასურველი ნიადაგობრივ-კლიმატური პირობების რეგიონებში მაღალი დანახარჯების კომპენსაციისათვის;

- პირდაპირი სუბსიდიები, რომლებიც მოახდენენ საბითუმო ფასების ზრდის კომპენსირებას;

სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე არაელასტიკური მოთხოვნის რეგულირება ხდება სახელმწიფოს ეწ. ფერმერული პოლიტიკით, რომელშიც

მთავარია ფერმერთა პროდუქციის ფასებისა და შემოსავლების ზრდა და სტაბილურობა. შესაბამისად სოფლის მეურნეობის პოლიტიკის ქვაკუთხედია სოფლის მეურნეობის რეგულირების შესახებ აშშ-ის 1933 წლის კანონით განსაზღვრული ფასების პარიტეტის კონცეფცია. მისი არსი ის არის, რომ ყოველ წელიწადს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების რეალურმა მოცულობამ ფერმერებისათვის ერთი და იგივე რეალური შემოსავალი უზრუნველყოს. ნომინალურ გამოხატულებაში პარიტეტის კონცეფცია გულისხმობს, რომ თანაფარდობა ფერმერთა პროდუქციის ფასებსა და მათ მიერ მოხმარებული საქონლის ფასებს შორის უცვლელია.

პარიტეტულობის დასაცავად, როგორც წესი, შემოდებული უნდა იქნას ფასების შესაბამისი ინდექსები. აშშ-ში მაგალითად, ცნება „ფასების პარიტეტული ინდექსი“ პირველად შემოდებულ იქნა კანონში სოფლის მეურნეობის შესახებ, 1973 წელს. ჩვენთან ასეთი მცდელობა იყო 1983 წელს, მაგრამ მან არ იმუშავა არასწორ მეთოდურ მიდგომათა გამო. აუცილებელია ბაზა, რომელიც ასახავდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო პროდუქციაზე გაცვლის პარიტეტულობას დინამიკაში. ამ ნორმატიულმა ბაზამ უნდა უზენოს მარცვლეულის, ხორცის, რძის რა რაოდენობის რეალიზებაა საჭირო, რათა შექმნილ იქნას სათბობი, სასუქი, საშენი მასალები, ტრაქტორი, კომბაინი და ა.შ., აი, ასეთ პარიტეტულ ინდექსებს (რომელსაც უნდა მოიცავდეს სასაქონლო პროდუქციის ყველა ძირითადი სახეობა) უნდა მიაქციოს ყურადღება სახელმწიფომ, რისთვისაც უნდა გამოიყენოს რეგულირების საკუთარი მეთოდები (საკრედიტო, საგადასახადო, საბიუჯეტო, ფასობრივი და სხვა).

კერძო სექტორის რეგულირების ღონისძიებებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ფასების პოლიტიკას. მართალია, საბაზრო ურთიერთობების პირობებში სახელმწიფო ვერც და არც დააწესებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესასყიდ ფასებს, იგი წესდება მიმწოდებელსა და მყიდველს შორის შეთანხმების საფუძველზე, მაგრამ მსოფლიოში არსებობს ზედა და ქვედა ზღვრის დაწესების პრაქტიკა, რაც იცავს მეწარმეს ბაზრის სტიქიისაგან. თუ რეგულირების ამ ფორმას მიუხადავებთ მარცვლეულის

ბაზარს, დავინახავთ, რომ პურის მრეწველობის საწარმოები იმდენად დაბალ ფასებს თავაზობენ მარცვლეულისათვის, რომ იგი ვერ ფარავს წარმოების ხარჯებს, მიუხედავად ამისა, მეწარმეები იძულებულნი არიან წაყიდონ ასეთ გარიგებაზე, რადგანაც არ გააჩნიათ მარცვლეულის შესანახი სიმძლავრეები და ღია ცის ქვეშ მიტოვებული მოსავალი იღუპება. თუ ნამოყალიბდება მარეგულირებელი ფასები, მაშინ მეწარმის დაზარალება ნაკლებ მოსალოდნელი იქნება.

წარმოების საშუალებებზე, რომელიც სოფლის მეურნეობას დიდი შეფერხებით მიეწოდება, ფასები ძალზე მაღალია, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასი კი ძალიან დაბალი. როგორც ეხედავთ ადგილი აქვს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის არაექვივალენტურ გაცვლას, მრეწველობის სასარგებლოდ იმისათვის, რომ სოფლის მეწარმეებმა შეიძინონ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მათ უნდა გაყოფონ 8-10-ჯერ მეტი თავისი პროდუქცია, ვიდრე მათ ამისათვის დასჭირდებოდათ 1990 წელს. ამის გამოსწორებისათვის აუცილებელია სახელმწიფოს მიზანმიმართული პოლიტიკის განხორციელება. ე.ი. ეს პრობლემა უნდა დაარეგულიროს სახელმწიფომ.

ახალ პირობებს უნდა მიესადაგოს კერძო სექტორის სადაზღვევო დაცვა. მსოფლიოში დაგროვილი გამოცდილების გაზიარებით უნდა შეიქმნას სადაზღვევო დაცვის ისეთი სისტემა, რომლითაც სოფლის მეწარმე დაინტერესებული იქნება სადაზღვევო სისტემასთან ურთიერთობით. უარყოფილ უნდა იქნეს საბჭოური მენტალიტეტი, როცა დაზღვევა იყო სავალდებულო, ხოლო სადაზღვევო გადასახადის არგადახდა-საპასუხისმგებლო.

გარდამავალ პერიოდშიც და შემდგომშიც აუცილებელია ფასების სახელმწიფოებრივი რეგულირება, რაც ნიშნავს წესრიგის დამყარებას ფასწარმოქმნაში, ყოველი მონოპოლისტური საწარმო ვალდებულია სახელმწიფო ორგანოებში დეკლარირება მოახდინოს ფასების ცვლილებებზე

სახელმწიფოს ჩარევის მეთოდები უნდა იყოს მრავალფეროვანი, რბილი და მოქნილი, არ უნდა იქნეს დაშვებული ადმინისტრირება და თვითნებობა.

თუ სახელმწიფო ჩინოვნიკი უფლებას მიიღებს ერთპიროვნულად გადაწყვიტოს ფასების მომატების საკითხი, მაშინ ადგილი ექნება კორუფციას და არადემოკრატიულ პროცესებს.

ცნობილია ფასწარმოქმნის პროცესებზე სახელმწიფოს ზემოქმედების ისეთი მეთოდი, როგორცაა საქონლისა და მომსახურების ფასების პირდაპირი ცენტრალიზებული დირექტიული დადგენა, ასევე ცენტრალიზებული განსაზღვრა საცნობარო ფასებისა, რომელიც სახელშეკრულებო ფასების დასადგენად გამოიყენება, აგრეთვე ეკონომიკური და სამართლებრივი პირობების შექმნა თავისუფალი ფასწარმოქმნისათვის.

სახელმწიფო ფასების ცენტრალიზებული დადგენა უნდა განხორციელდეს სპეციალური კომისიის მიერ მწარმოებელსა და მომხმარებლებთან შეთანხმებით. მან უნდა განსაზღვროს საშუალო ფასისაგან შესაძლო გადახრის სიდიდეები. სახელმწიფო ამ შემთხვევაში არ უნდა გამოვიდეს დიქტატორის როლში და მხარი უნდა დაუჭიროს კომისიის მიერ მწარმოებლებთან შეთანხმებული ფასების მოცულობას.

### 3.3. სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და მომსახურების სისტემის სახელმწიფოებრივი რეგულირების მნიშვნელობა

აგრარულ სექტორში ფუნქციონირებს ისეთი ორგანიზაციული ფორმებიც, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან წარმოების საერთო პირობების მიხედვით. წარმოების საერთო პირობები არსებობენ დამოუკიდებლად ეროვნული მეურნეობის ისეთი დარგების სამეურნეო საქმიანობის საფუძველზე, როგორცაა, ტრანსპორტი, ელექტროენერგეტიკა, სარემონტო სამსახური, სასაწყობო მეურნეობა, ინფორმატიკა, კომუნალური მეურნეობა და სხვა სახის მომსახურება. დასახელებული დარგები მოლიანობაში ქმნიან წარმოების ინფრასტრუქტურას, რომლის შესწავლაც ეკონომიკის განვითარე

ბის თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. იგი ხელს უწყობს წარმოების პროცესის სწორ და ეფექტიან წარმართვას.

შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ისტორიულმა პროცესმა მიგვიყვანა იქამდე, რომ სოფლის მეურნეობაში გამოყენებული წარმოების საშუალებების დიდი ნაწილი ამ დარგის სახდერებს მიღმა იქმნება. აგრარული სფეროდან მრავალი საწარმოო პროცესის და ფუნქციის გამოყოფამ, მათმა გადანაწილებამ სპეციალიზირებულ საწარმოო რგოლებზე და სამსახურზე გამოიწვია არა მარტო განსაკუთრებული დარგების განვითარება (სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა, ქიმიური მრეწველობა, კომბინირებული საკვებწარმოება და სხვა), არამედ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და სოფლის მეურნეობის მომსახურების შესაბამისი სისტემების შექმნა. უფრო მეტიც, თანამედროვე ეკონომიკაში სოფლის მეურნეობას, როგორც მრეწველობის მრავალი დარგის პროდუქციის მომხმარებელს, წამყვანი ადგილი უჭირავს.

სოფლის მეურნეობის საწარმოო მომარაგებას ორი მხარე გააჩნია. პირველი მხარე შეეხება სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესში გამოსაყენებელი ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის აუცილებელი რაოდენობით შექმნას. ეს მოითხოვს ეკონომიკის ინდუსტრიალიზაციის მაღალ დონეს. თანამედროვე მრეწველობის ისეთი დარგების შექმნა, როგორცაა სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა, ქიმიური, ენერგეტიკული მეურნეობა და ტრანსპორტი სოფლის მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარების საფუძველია.

სოფლის მეურნეობაში მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მეორე მხარეა სამრეწველო და აგრარული სფეროს მიჯნაზე რეალური კაპიტალის დაგროვების პროცესის სპეციფიკური მექანიზმის შექმნა. ეს უკანასკნელი ითვალისწინებს მრავალფეროვანი სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა ქსელის შექმნას, რომლებიც უზრუნველყოფილი იქნებიან თანამედროვე ტექნიკური ბაზითა და კვალიფიციური მუშახელით.

სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ფორმები და მეთოდები დამოკიდებულია ერთ მხრივ, საწარმოო ძალთა განვითარების

ობიექტურ მოთხოვნებზე, ხოლო მეორე მხრივ, საწარმოს ერთეულთა და გაერთიანებათა სახეზე და მათ სპეციალიზაციაზე. დღევანდელი მდგომარეობით და ალბათ მომავლაშიც, მრეწველობის დარგები, რომლებიც აგრარული სფეროსათვის აწარმოებენ წარმოების საშუალებებს, მონოპოლიზებული იქნებიან. მაშასადამე, მოცემულ სიტუაციაში ეკონომიკურ ურთიერთობათა ხასიათს განსაზღვრავს ჯერ ერთი, მრეწველობის უმთო აღნიშნული დარგების მონოპოლიური სტრუქტურა და მეორე, სოფლის მეურნეობის დანაწევრებული სტრუქტურა. ეს ურთიერთობები ცხადია, ვერ იქნება თანაბარუფლებიანი. წარმოების კონცენტრაციის მაღალი დონე ტექნიკის მიწოდებაზე, ცენტრალიზებული კონტროლი, მრეწველობის მონოპოლიური დარგის საწარმოებს საშუალებას მისცემს დააწესოს მონოპოლიური ფასები და ამ გზით ფერმები გაკოტრებამდეც კი მიიყვანონ.

წარმოების საშუალებათა მწარმოებელი ფირმები დაინტერესებულნი არიან არა უბრალოდ მაღალი ფასების დაწესებით, არამედ ისეთი ფასების კარნახითაც, რომელიც მოცემულ ეკონომიკურ პირობებში ფერმერების გადახდისუნარიანი მოთხოვნით უზრუნველყოფენ მაქსიმალურ მოგებას. ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მონოპოლიური საწარმოები ფასების შემცირებას წარმოების საშუალებებზე მხოლოდ იმ შემთხვევაში ახდენენ, თუ მათზე მოთხოვნა მცირდება და იძულებულნი არიან შეამცირონ წარმოების მოცულობა. განვითარებულ ქვეყნებში მსხვილ სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელ კომპანიებს შორის კონკურენცია სულ უფრო მეტად იძენს არაფასისმიერ ფორმებს: კერძოდ, მიმდინარეობს მანქანების მოდელების და ტიპების მუდმივი განახლება (მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაკარნახევი არაა არც ტექნიკური პროგრესის მოთხოვნით და არც მომხმარებლის ინტერესებით); იზრდება ტექნიკის ხარისხი (იგულისხმება წმინდა სტილისტური, გარეგანი ცვლილებები); მომხმარებელთა მომსახურების ფორმების ცვლილება და სხვა.

სოფლის მეურნეობის მომსახურების მოქნილი და შედარებით ეფექტიანი მექანიზმის შესამუშავებლად აუცილებელია გაგვიანდეს როგორც გამოცდილება ამ სფეროში, ასევე შესაბამისი ინფორმაციული ბაზა.

პირველი მხარე - საკუთარი გამოცდილება საბაზრო ეკონომიკის პირობებში სათვის არ გაგეგმანია. აქ ალბათ დასაყრდენი იქნება უცხოეთის მდიდარი გამოცდილება.

საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის წარმოების საშუალებათა მიწოდების რთული მექანიზმი შეუსწავლელი და მოსაწესრიგებელია. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით უზრუნველყოფილია შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობის 30%, არსებული ტექნიკის უმეტესი ნაწილი კი თითქმის ამორტიზირებულია.

საქართველოში და მათ შორის სამეგრელოს რეგიონშიც სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რაოდენობა კრიზისის პერიოდში თითქმის განახევრდა საკმარისია აღინიშნოს, რომ 1985 წელს 1000 ჰა სახნაუხე მოდიოდა 37 ტრაქტორი და 5 კომბაინი, 2002 წლისათვის ეს მაჩვენებელი 10-1 და 1,5-1 შეადგენდა.

რეგიონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რაოდენობა რაიონების მიხედვით 2002 წლის მონაცემებით შემდეგ სურათს იძლევა (იხ. ცხრილი 3.3.1). აღნიშნულ პერიოდში რეგიონის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს ემსახურებოდა 1433 ტრაქტორი, 98 სატრაქტორო სათესი, 663 სატრაქტორო გუთანნი, 215 კულტივატორი, 39 სასუქის შემტანი მანქანა.

ერთი შეხედვით ეს რაოდენობა შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად იმისათვის, რომ გლეხურ (ფერმერულ) მეურნეობებს პრობლემები არ ჰქონდეთ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მომსახურების საქმეში, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს ტექნიკა საკმაოდ მოძველებულია და ამის გამო ყოველთვის ვერ ხერხდება გლეხური (ფერმერული) მეურნეობის დროული და სრულყოფილი მომსახურება. ჩვენი აზრით, აუცილებელია ზრუნვა სამანქანო პარკის განახლებისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში აღმოჩნდება ისე, რომ რეგიონი მთლიანად დარჩება გამართული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გარეშე.

შესწავლით გამოირკვა, რომ სასოფლო-სამეურნეო მანქანების 65%-ზე მეტი 15 წელზე მეტი ხნისაა, 26%-10-დან 15 წლამდე, 8%-10 წლამდე ნაკლები წლის. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არსებული მანქანა-ტრაქტორთა

ტექნიკის დასახელება	1999										2003						
	საქონლის რაოდენობა	წყარო	საქონლის რაოდენობა	საქონლის რაოდენობა	საქონლის რაოდენობა	საქონლის რაოდენობა	საქონლის რაოდენობა	საქონლის რაოდენობა	საქონლის რაოდენობა	საქონლის რაოდენობა	საქონლის რაოდენობა	საქონლის რაოდენობა	საქონლის რაოდენობა	საქონლის რაოდენობა	საქონლის რაოდენობა	საქონლის რაოდენობა	საქონლის რაოდენობა
ტრაქტორი სულ	462	208	180	202	192	285	257	1786	340	170	160	180	170	212	201	1433	
მათ შორის გამართული	222	142	89	93	133	144	128	1001	182	135	78	85	127	131	112	850	
სატრაქტორო ავტომანქანები	386	250	184	212	89	382	243	1740	312	206	171	160	72	296	201	1348	
მათ შორის გამართული	169	89	92	96	46	301	108	901	152	77	86	86	42	240	96	779	
მარტვილის ასადები	4	-	9	-	8	27	-	48	1	-	5	-	4	17	-	27	
კომბანები სულ	1	-	3	-	3	20	-	27	1	-	2	-	3	12	-	18	
მათ შორის გამართული	3	16	5	1	13	4	1	43	3	8	4	1	10	4	1	31	
სატრაქტორო სათიბები	2	3	3	-	8	4	-	20	2	2	2	-	6	4	-	16	
მათ შორის გამართული	106	215	66	46	101	84	96	714	90	201	62	42	96	80	92	663	
სატრაქტორო ბუთანი	77	138	51	31	92	78	74	542	70	130	50	30	92	78	74	524	
მათ შორის გამართული	58	58	13	1	26	65	18	237	52	50	12	1	22	62	16	215	
კულტივატორი სულ	45	40	12	-	27	60	10	184	44	42	10	-	16	60	10	182	
მათ შორის გამართული	3	28	11	-	9	-	4	55	2	18	8	-	8	-	3	39	
სასუკების შემტანი მანქ.	3	11	5	-	6	-	2	27	2	10	4	-	5	-	2	23	
მათ შორის გამართული	21	9	19	2	23	35	2	111	18	9	18	2	19	30	2	98	
სატრაქტორო სათესლე	11	5	9	1	17	30	-	73	10	5	10	1	18	28	-	72	
მათ შორის გამართული																	

\* ცხრილი შედგენილია საქალკე რეგიონის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს მასალების საფუძველზე

